საქვეყნო
# კავკასიონი
ივლისი 1996 წ. 10-12
The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი №117-118 (411-412)
ფასი 40 თეთრი




მართლწესრიგი

## პოლიცია მოქმედებს, ყაჩაღები კოშკებში იმალებიან


შამილის ბრაუნინგი

### სამი ბანდა

კანონის ენაზე თითოეული მათგანი ძებნილია, მათი პარტიანებები კი — ყაჩაღური ჯგუფები. ზემო სვანეთში სამი ჯგუფი არსებობს. ხალხში მათ ასე მოიხსენიებენ: აფრასიძეების ბანდა, ქალდუების ბანდა, უშხვანების ბანდა. ჯგუფების წევრთა რაოდენობა სამიდან შვიდ კაცამდეა; დისლოკაციის ადგილებია: ეცერი, ხაიში, ბეჩო. ბრალად ედებათ: მოსახლეობის ძარცვა, მკვლელობები, პოლიციელებზე თავდასხმები. ბანდების შექმნის ხელისშემწყობი ძირითადი მიზეზები: დაუსჯელობის სინდრომი, აფხაზეთიდან დევნილთათვის იარაღის დიდი რაოდენობით ყაჩაღურად ჩამორთმევა და სვანეთის მოსახლეობაში გავრცელება; უპასუხისმგებლო განცხადებები იმის თაობაზე, რომ სვანეთში ყოველთვის ჰქონდათ და ახლაც აუცილებელია ცეცხლსასროლი იარაღი; დღემდე შემორჩენილი საზოგადოებრივი აზრი, თითქოს, სვანეთი განსაკუთრებული ზნეობრივი კანონების ზონაა, სადაც სისხლის აღება მორალური კატეგორიაა და არა სისხლის სამართლის დანაშაული.

იხილეთ მე—6 გვ.

კანონის მიღებამდე

## სჭირდება თუ არა თავისუფალ პრესას სახელმწიფოს დახმარება

თავისუფალ პრესას უმწიფარი დემოკრატიის ქვეყნებში ორი უმთავრესი საფრთხე ემუქრება: ერთი მხრივ, ხელისუფლების მიერ „მოთვინიერება", მეორე მხრივ კი, საკუთარი თვითნებობა და უპასუხისმგებლობა.

ამ ორი ფაქტორიდან ნებისმიერი ერთიც შეუძლებელს ხდის, თავისუფალმა პრესამ შეასრულოს თავისი უმთავრესი ამოცანა — საზოგადოებრივი კონტროლი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ამავე დროს, საფრთხეს ორივ მხრიდან კანონის უგულებელყოფა ასაზრდოებს. ქართული მას მედია, ჯერჯერობით, უკანონობის ლაბირინთშია ჩაკარგული. გზის გასაკვლევად სწორი ორიენტირების პოვნაში ჩვენი წვლილი რომ შევიტანოთ, გაზეთი „კავკასიონი" ხსნის ახალ რუბრიკას „კანონის მიღებამდე" და დაინტერესებულ მკითხველს სთავაზობს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებას თავისუფალი პრესის ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით.

დღევანდელი წერილის თემა, ვფიქრობთ, საკმაოდ აქტუალურია.

იხილეთ მე—13 გვ.

ეკონომიკა

## აქციზური მარკა — ბიუჯეტის შევსების წყარო თუ ბარიერი მეწარმეთათვის?

### ანუ სანამ ქვედა ფენებს შეუძლიათ ძველებურად ცხოვრება

მასალების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით პრეზიდენტის თანაშემწეს, ბატონ თემურ ბასილიას, პრეზიდენტის აპარატის სახელმწიფო ბიუჯეტის განყოფილების უფროსს, ბატონ მერაბ კვეკვესქირს, ფინანსთა მინისტრს, ბატონ დავით იაკობიძეს, ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ გივი ერქომაიშვილს.

იხილეთ მე—4 გვ.

## დაჭრეს „მაჭახელა"

გუშინ, 10 საათზე სასამართლოზე გასვლის წინ მსუბუქად დაჭრეს საგარეჯოს „მხედრიონის" ხელმძღვანელი დავით ოთიაშვილი, მეტსახელად „მაჭახელა" — განაცხადა იზოლატორის უფროსის მოადგილემ ჯიმშერ ბაწაშვილმა. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა, ვინ და რის საფუძველზე დაჭრა დავით ოთიაშვილი.

## სასამართლო გადაიდო

გუშინ უზენაეს სასამართლოში უნდა გამართულიყო ეროვნული გვარდიის ხაშურის ბატალიონის წევრების: გოჩა კაპანაძის, გოჩა შუბითიძის, გია ქიტიაშვილის, ალექსი მუმლაძის, ზაზა წიქარიშვილის, ბონდო ბიბილაშვილის და ანტონ გელაშვილის სასამართლო (მოსამართლე იური ტყეშელაშვილი), მაგრამ იგი ორშაბათამდე გადაიდო, იმ მიზეზით, რომ მსჯავრდებულების ჭირისუფლები ვერ მოურიგდნენ ადვოკატს, რომელიც დიდ თანხას ითხოვდა მომსახურებისთვის. გადაწყდა, მსჯავრდებულებს სახელმწიფო ხარჯზე დაენიშნოთ ადვოკატები.

რაც შეეხება ბრალდებას, მასში ნათქვამია, რომ გოჩა კაპანაძემ, მეტსახელად „რიჟამ" (არასრულწლოვანებისას ნასამართლევია მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისთვის) ეროვნული გვარდიის ხაშურის ბატალიონის მეთაურად ყოფნისას 1992 წლის იანვრიდან ჩამოაყალიბა ორგანიზებული შეიარაღებული ბანდა საწარმოებზე, ორგანიზაციებზე, დაწესებულებებზე და ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით. იგი თვითონვე იყო ამ ბანდის მეთაური. დაჯგუფებაში, ძირითადად, ამავე ბატალიონის მებრძოლები შედიოდნენ. მათ ბრალი ედებათ რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაში: ყაჩაღური თავდასხმები, მკვლელობები და სხვა.

**სოსო ბარნაბიშვილი**

## პური ჩვენი არსობისა

იმპორტიორ ფირმას შემოაქვს დაბალი კონდიციის ხორბალი, რომლისგანაც იწარმოება მესამე ხარისხის ფქვილი, ფირმა „აგროინვესტი" კი ამ ფქვილს პირველი ხარისხის პროდუქციად ასაღებს. ამდენად, პურის საწარმო იძულებულია ამ ფქვილით გამომცხვარ პურს შესაბამისი ხარისხის ფასი დაადოს და... სინდისის მოსაწმენდად რაიონის გამგეობას უთანხმებს პროდუქციისთვის სრულიად შეუფერებელ ღირებულებას.

იხილეთ მე—5 გვ.

## შემოიღეს კომენდანტის საათი

გასული დღე-ღამე ჩეჩნეთში „ტრადიციული" დაძაბულობით გამოირჩეოდა: სახეზე იყო ორმხრივი სროლა ფედერალურ ძალებსა და ჩეჩენ მებრძოლებს შორის, რის შედეგადაც რუსების სამი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა, ერთი კი უგზოუკვლოდ დაიკარგა. გარდა ამისა, 24-ჯერ დაიცხრილა მათი ბლოკ-პოსტები.

ორშაბათს, საღამოს გროზნოში მხეცურად მოკლეს ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირგაბმულობის უფროსი, მილიციის მაიორი ვიქტორ ზაიცევი და მისი ორი თანამშრომელი. ისინი მაიორის ბინაში შეიპყრეს, აწამეს, დახოცეს და მათი გვამები დაწვეს.

იხილეთ მე—2 გვ.

თეატრი

## როცა ასეთი... გულგრილობაა

„შემცდარია, ვინც ფიქრობს, რომ თეატრის მნიშვნელობა მხოლოდ ის იყოს, მოცლილი ხალხი გააცინოს და გაამხიარულოს. მაგისთვის ცირკი და კლოუნები არიან. არა; ჩვენი ტრუპპა სულ სხვაგვარად უყურებს ამ საქმეს: იმას სურს, რომ სასაცილო და საგულისხმო, სასიამოვნო და სასარგებლო ერთმანეთს შეუერთოს და ისე აჩვენოს სცენიდამ მაყურებლებს. უნდა, რომ დაანახვოს საზოგადოებას მისი ავი და მისი კარგი, იმათზე დააფიქროს, ხან ამხიარულოს და ხან დაანაღვლიანოს", — ასე წერდა მე-19 საუკუნის მიწურულს აკაკი წერეთელი. მას შემდეგ ბევრი რამ — კი, მაგრამ თეატრის ფუნქცია, მნიშვნელობა თითქმის არ შეცვლილა... და დღეს, როცა კონკრეტულად ერთ რომელიმე თეატრალურ დასში იწყება კონფლიქტი, დაპირისპირება, რომლის მიზეზიც — განსხვავებული ესთეტიკური ხედვის თანაარსებობის პრობლემაზე მეტი ოდენობით, — პიროვნული ამბიციებია, როცა დასს საკუთარი „ჭირის", „ავის" მოვლა უჭირს, ჩნდება უნდობლობა და, მის კვალად, შიში; შიში იმისა, რომ შემოქმედებითი კოლექტივი ფუნქციის, მისიის გარეშე რჩება. ამას მოსდევს, თუ ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება, ტრაგედიაც — იმ იდეალის მსხვრევა, რომელიც მაყურებლის მიერ მსახიობის სცენაზე თუ ეკრანზე ნახვის შემდეგ იქმნება...

სამწუხაროდ, ეტყობა, ამის გარეშე ვერ გადავრჩებით და თაროც, ვინ იცის, მსახიობისა თუ რეჟისორის მიერ თეატრიდან ნახვლის შესახებ ტკივილით დაწერილ კიდევ რამდენ წიგნს ელოდება... ვერ გადავრჩებით, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ დახიც ადამიანთა კრებულია. ჩვენ კი შემოქმედი, ხელოვანი ადამიანებისგან ჩვეულებრივ მოკვდავთა ცხოვრების წესისგან განსხვავებული კრიტერიუმებით ცხოვრებას ველოდებით, ვითხოვთ კიდეც. ეს ხელოვანის, გნებავთ, ბედია, გნებავთ — ბედისწერა... და ამ დროს, წარმოიდგინეთ მაყურებლის განბილება, როცა ხელოვანი მეორე ხელოვანის მიმართ აშკარა გულგრილობას იჩენს.

იხილეთ მე—11 გვ.

პოლიტიკა



## ილიას „პოდპორუჩიკის" მემკვიდრე — სტადიონის ძეგლთან მუხლმოყრილი რუსი გენერალი

იხილეთ მე—7 გვ.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია აცხადებს ღია კონკურსს და სამუშაოდ იწვევს 20-დან 45 წლამდე ასაკის კვალიფიციურ იურისტებს, ეკონომისტებს, ფინანსისტებს, ბუღალტრებს, გეოლოგებს, მშენებლებს, ინჟინრებს, ნავთობქიმიკოსებს, ანალიტიკოსებს, მართვის, სტანდარტიზაციის, სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგის სპეციალისტებს და თარჯიმნებს.

კანდიდატთა შერჩევა მოხდება სპეციალური ტესტირების საფუძველზე, მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინგლისური და სხვა უცხო ენის ცოდნას, აგრეთვე შრომით გამოცდილებას სპეციალობის მიხედვით. კანდიდატებმა წინასწარ უნდა წარმოადგინონ ანკეტა და ავტობიოგრაფია.

საბუთების მიღება იწარმოებს ა.წ. 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე.

ტესტირება იწარმოებს ა.წ. 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე.

მსურველებს გთხოვთ, წარმოადგინოთ საბუთები შემდეგ

მისამართზე: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი № 7, „ცეკავშირის" შენობა, მე-7 სართული, ოთახი 717.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის კანცელარია.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ,
ტელ: 93-23-42, 99-89-79


თანახმად საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებსა და აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმს შორის 1996 წლის 8 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულებისა „საქობათუმის ნავთობსადენის აღდგენის, რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ", დაიწყო აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის კასპიის რეგიონში ნავთობის მოპოვებისთვის აუცილებელი ტვირთების ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანში.

აღნიშნული საკითხის წარმატებით განხორციელებაზე უშუალოდაა დამოკიდებული ნავთობის მოპოვების, მისი შემდგომი ტრანსპორტირებისა და, შესაბამისად, დასავლეთის მილსადენის მშენებლობის საკითხიც.

გამომდინარე ზემოაღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება № 324 (1996 წლის 19 მაისი) „აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის ტვირთების საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების შესახებ", სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ ტვირთების ტრანსპორტირება მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, რათა განვითარდეს საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და საშუალებები.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ საქართველოს სატრანსპორტო კომპანიებთან აქტიური თანამშრომლობით, რაც საშუალებას მოგვცემს შემდგომში ერთობლივი ქმედებით დავამკვიდროთ ანტიმონოპოლიური და ჯანსაღი კონკურენციის გარემო.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულებისათვის სამინისტროებმა, სახელმწიფო და სხვა უწყებებმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ პროექტის განხორციელებაში. პროექტის შესრულების კოორდინაცია საქართველოს ტერიტორიაზე დავალებული აქვს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს, ბ-ნ გიორგი ჭანტურიას, როგორც პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს.

ჩვენ მადლობელნი დაგრჩებით, თუ მოგვაწოდებთ ინფორმაციას თქვენი კომპანიების საქმიანობისა და შესაძლებლობების შესახებ ამ გადაზიდვებთან დაკავშირებით და მიიღებთ მონაწილეობას ამ საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციაში, რომლის ჩატარების ადგილს, დროს, თარიღს დამატებით გაცნობებთ.

თქვენი მოსაზრებები გთხოვთ,
მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, 380007, თავისუფლების მოედანი №7,
„ცეკავშირის" შენობა, მე-7 სართული, ოთახი 717
ტელეფონი: 99-89-79, 93-23-42
ფაქსი: 93-57-44, 99-84-18

## აფიშა აფიშა აფიშა აფიშა აფიშა აფიშა

**„ამირანი"** —აშშ ფილმი „არის შანსი," ფასი 1 ლარი, დასაწყისი 12. 2. 4. 6 სთ.

**ვიდეობარი** — 2 ივლისიდან მექსიკური მხატვრული ფილმი „ველური გული", დასაწყისი 1. 3. 5. 7 სთ. ფასი 1 ლარი

**„კინოს სახლი"** — იტალიური კინოს ოსტატები, 8-13 ივლისი

8.07 „ჯულიეტა და სულები"

9.07 „BLOW UP", რეჟ. მიქელანჯელო ანტონინი, მთ. რ. ვ. რედრეივი, დ. პემინდსი, ს. მაილსი

10.07 „უკანასკნელი ტანგო პარიზში", რეჟ. ბერნანდო ბერტოლუჩი, მთ. რ. გ. ბრანდო, მ. შნაიდერი

11.07 „უდანაშაულო", რეჟ. ლუკინო ვისკონტი, მთ. რ. ჯ. ჯანინი, ლ. ანტონელი,

12.07 „ტარტარეს უდაბნო", რეჟ. ვ. ძურლინი, მთ. რ. ჯ. ჯემა, ვ. გასმანი, ჟან-ლუი ტრენტინიანი, ფ. მუარე

13.07 „ჩვეულებრივი სიგიჟის ამბავი", რეჟ. მარკო ფერერი, მთ. რ. ორნელა მუტი, ბ. გეზარა

დასაწყისი 14-00, —16-00 დიდი დარბაზი

**კ/თ „ივერია"** 8-14 —07 „ორენოვანი საყვარელი", მთ. რ. ორნელა მუტი, დასაწ. 12, 14, 16, 18 სთ. ეროტიკა

**კ/თ „რუსთაველი"** აშშ მხ. ფილმი „გამოუვალი მდგომარეობა", დასაწ. 11, 13, 15, 17, 19 სთ.

**მცირე დარბაზი** აშშ მხ. ფილმი „პროფესია წამშლელი", დას. 12, 14, 16, 18, სთ. მთ. რ-ში ა. შვარცნეგერი.

**კ/თ „ელისო"** 8 —07-დან ამერიკული სათავგადასავლო მხ. ფ. „პონდრას ღირსება", ფასი 1 ლარი, დას. 13, 15, 17 სთ.

### მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

11.07 „ცხოვრება იდიოტისა" რ. აკუტაგავა

12.07 „ზაფხულის ღამის სიზმარი" უილიამ შექსპირი

13.07 „ვეფხვი" გ. შისგალა *

14.07 „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" რ. ერისთავი

### საქართველოს კულტურის სამინისტროს სურათების ეროვნული გალერეა

წარმოდგენილია საქართველოს დამსახურებული მხატვრის მიხეილ ჭავჭავაძის ნამუშევრების გამოფენა. სცენოგრაფია, ფერწერა, გრაფიკა გამოფენა გაიხსნა 5 ივლისს.

1996 წლის 6 ივლისს 2 საათზე თბილისის ისტორიულ მუზეუმ „ქარვასლა"-ში გაიხსნა ჟანა ნავროზაშვილისა და მისი შემოქმედებითი ჯგუფის ნამუშევრების (ხელითნაქარგობა) გამოფენა-გაყიდვა. სულ წარმოდგენილია 127 ნამუშევარი. გამოფენა გასტანს 18 ივლისამდე

გამოფენას სპონსორობს — თბილისის სახელმწიფო საავიაციო საწარმოო გაერთიანება.

პანტომიმის თეატრს მივაკითხეთ ანონსის გასაგებად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თეატრმა სეზონი დახურა. სამაგიეროდ, შევხვდით პლასტიკური ხელოვნების მოამაგეს, ბატონ ამირან შალიკაშვილს, რომელმაც თეატრის პრობლემების შესახებ ისაუბრა. იმდენად სერიოზულად გვეჩვენა მისი მონათხრობი, საჭიროდ მივიჩნიეთ, მკითხველისთვისაც გაგვეცნო. იქნებ იქაც მიაღწიოს ხმამ, სადაც ჭერ არის.

თეატრმა სეზონი დახურა. ჩვენ გავესაუბრეთ ბატონ ამირან შალიკაშვილს. მასპინძელმა მოგვითხრო, რომ თეატრი უამრავი პრობლემის წინაშე დგას, კერძოდ, ტექნიკურად მოსაწესრიგებელია დარბაზი, ჩასატარებელია რემონტი, შესაძენია მუსიკალური აპარატურა, ინვენტარი. საკუთარი მწირი სახსრებით იძენენ გრიმს, ბამბას, ჟელეს, თმის სამაგრებს და ათასგვარ წვრილმანს, რაც აუცილებელია მსახიობისთვის. ხელფასი კი რვა ლარია. თეატრს სახელმწიფო მფარველობა სჭირდება. ბატონმა ამირანმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ სპონსორი საქართველოში ხელოვნებისთვის არ დებს ფულს, ამიტომ, მხოლოდ სახელმწიფომ უნდა მიხედოს თეატრს. ამჟამად, სამი თეატრია სახელმწიფო მფარველობის ქვეშ: ოპერისა და ბალეტის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები. დღეს ბატონი ამირანი პლასტიკის ხელოვნების გადასარჩენად იბრძვის. „ვიბრძვით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ოღონდ გადარჩეს ახალი პლასტიკური კულტურა", — განაცხადა ჩვენმა მასპინძელმა. დასს მძიმე პირობებში უხდება მოღვაწეობა. გულდასაწყვეტია, რომ თითქმის არავინ ცდილობს დახმარებას, თუმცა, მხარდაჭერის იმედი აქვს. აქ ჩვენმა თანამოსაუბრემ ჩარლი ჩაპლინის სიტყვები მოიშველია: „თქვენ იცინით, მე კი ღამეებს ვათენებ ერთი მოძრაობისთვის".

ბატონი ამირან შალიკაშვილი სამოღვაწეოდ მიიწვიეს საფრანგეთში, თურქეთში, გერმანიაში, მაგრამ საქართველოში სურს მოღვაწეობა, ახალი თაობის აღზრდა: „მე ვარ მზად მთელი ჩემი არსებით, ოსტატობით, გამოცდილებით იმისთვის, რომ საქართველოს გავუზარდო მომავალი თაობა. დღეს, რასაც ვაკეთებ, ეს არის ქართული თეატრის მომავალი დღე. ეს არის ჩემი მისია. პლასტიკის გარეშე თეატრი ვერ იარსებებს. ხელი უნდა შემიწყონ, რომ საიმედო ცვლას დავუტოვო მონაცემები, ნიჭიერება". მისი პრინციპია — „საქართველოდან არ უნდა წავიდეთ".

თეატრი სექტემბრიდან განაახლებს მუშაობას. სამუშაო საკმაოდ შრომატევადია, რადგან დასი ახალბედაა. ამჟამად, ორი სპექტაკლი აქვთ რეპერტუარში: „სტუმარ-მასპინძელი" და „კრიმანჭული". ძველი სპექტაკლებიდან უნდა აღორძინონ ორი: „კიდევაც დაიზრდებიან" და „ფიროსმანი".

„დუმილი ოქროა, სიტყვა-ვერცხლი. მე ოქროს ვეძებ" — ბრძანა ბატონმა ამირანმა

მასალები მოამზადეს:
სოფიკო ქვლივიძემ, თეა გეჯაძემ, ნინო ნადაშვილმა, მაკა ჭუფარაშვილმა


## თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1996-97 სასწავლო წლისთვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. იურიდიული ფაკულტეტი: სამართალმცოდნეობა.
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
3. ჟურნალისტიკა.
4. უცხო ენების ფაკულტეტი:
   - ინგლისური ენა და ლიტერატურა;
   - გერმანული ენა და ლიტერატურა;
   - ფრანგული ენა და ლიტერატურა.

ინსტიტუტში სწავლის საფასური მინიმალურია და არ იცვლება სასწავლო წლების განმავლობაში.

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 7
(თბილისის VI გიმნაზიის შენობაში).
უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან.
ტელ.: 23-40-67; 31-55-86; 31-53-90; 39-17-24.

# როცა ასეთი... გულგრილობაა



პირველი გვერდიდან

მას შემდეგ, რაც მარჯანიშვილის თეატრიდან რეჟისორი თემურ ჩხეიძე წავიდა, დასი, შვიდი წელიწადი, ფაქტობრივად, ხალმძღვანელის გარეშე დარჩა. შემდეგ სამხატვრო ხელმძღვანელად ოთარ მეღვინეთუხუცესი დაინიშნა. გადის მცირე დრო, თეატრში იწყება რეფორმა, რომელსაც 34 მსახიობი „ეწირება" — რეპერტუარში მცირედ ან საერთოდ დაუკავებლობის გამო, ისინი თეატრიდან დაითხოვეს. აქედან აგორდა კიდეც მღელვარების ტალღა...

მსახიობებმა, ბუნებრივია, ასე ადვილად არ დათმეს პოზიციები და ბევრ კითხვაზე კონკრეტული პასუხი მოითხოვეს: ვინ გადაწყვიტა მათი ბედი, რატომაა გასაიდუმლოებული კომისიის იმ წევრთა სია, რომლებმაც მათ გათავისუფლებას მოაწერეს ხელი, რა კრიტერიუმით მოხდა მსახიობთა გადარჩევა, რატომაა სამხატვრო ხელმძღვანელი მსახიობი და არა რეჟისორი. იქნებ ჯობდა, შინაური საქმეების მოგვარება აჟიოტაჟის გარეშე მოხერხებულიყო და შიდა სამზარეულოს ბევრი არცთუ საიამოვნო ფაქტი ფართო განსჯის საგანი არ გამხდარიყო, მაგრამ... თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილებმა, როგორც თავად გვითხრეს, ზემოაღნიშნული საკითხების გასარკვევად ორი თვის განმავლობაში ვერა და ვერ მიაღწიეს თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის საერთო კრების ჩატარებას და, ერთ მშვენიერ დღეს, პროტესტის ნიშნად, ქუჩა გადაკეტეს. გაფიცვის საინიციატივო ჯგუფს იმ დღესვე შეხვდნენ კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე და შეკრების თარიღიც დადგინდა.

გუშინწინ, 8 ივლისს, კრება მართლა შედგა. რა გადაწყდა ამ თავყრილობაზე, ცოტა მოგვიანებით ვიტყვით, მანამდე კი გთავაზობთ რამდენიმე გამომსვლელის სიტყვის ფრაგმენტს, რომლებიც კარგად ასახავს იქ შექმნილ ატმოსფეროს და განწყობას.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი **ვალერი ასათიანი**: **„დღევანდელობამ ახალი პრობლემები მოიტანა, ამიტომ რაღაც განსაკუთრებულად უჩვეულო, ჩვენში არსებული სირთულეების ფონზე, ვფიქრობ, არაფერი ხდება. ფაქტია, რომ მოხაძებნია ის გზები, რომლებიც წაადგება კულტურის, კერძოდ, თეატრის განვითარებას და არ შელახავს ადამიანის ღირსებას. თეატრალური მოწყობის საკითხები უნდა დაიხვეწოს, საქართველო 34 აკადემიურ თეატრს ვერ გაუძლებს. მაგრამ რა ვუყოთ იმ ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე თეატრთან არიან დაკავშირებულნი. ამასთან, ჩვენ მხარს ვუჭერთ რეფორმას, სწორად მიგვაჩნია, ხელშეკრულება გაფორმდეს იმ მსახიობთან, რომელიც დასაქმდება, რომელიც სჭირდება თეატრს. აღარ შეიძლება შევეგუოთ იმას, რომ რამდენიმე ათეული და ასეული ადამიანი წლების განმავლობაში სცენაზე არ გამოდიოდეს. თუმცა, რასაკვირველია, ყველა მათგანი სოციალურად დაცული უნდა იყოს. მე ახლავე მინდა გითხრათ, არც ერთი მსახიობი სოციალური გარანტიის გარეშე არ დარჩება, მაგრამ სამინისტრო არ მისცემს თავს იმის უფლებას, ვინმეს ურჩიოს, მიუთითოს, რომელ რეჟისორთან ან მსახიობთან გააფორმოს კონტრაქტი. უნდა გამოინახოს თეატრის მოწყობის ისეთი მექანიზმი, რომელიც არ შელახავს არც ადამიანურ, არც პროფესიულ და არც მორალურ ღირსებებს. არსებობს კანონპროექტი კულტურის, მათ შორის, თეატრის შესახებაც, მაგრამ ეს ძალიან ფაქიზი, დელიკატური თემაა, ამიტომ იგი მაქსიმალურად უნდა დაიხვეწოს..."**

ზანდა იოსელიანი: **„თქვენ გაქვთ უფლება, შეგვაფასოთ როგორც მსახიობები, მაგრამ არ გაქვთ იმის უფლება, ადამიანებად არ ჩაგვთვალოთ. გიფიქრიათ, რამდენი ადამიანია შეურაცხყოფილი, რამდენი ადამიანის სიცოცხლე განახევრდა, ღირსება შეილახა?!**

**თქვენ ლოზუნგად აქციეთ, წლობით სცენაზე არ გამოსულხართო. რატომ არ ვდგავართ სცენაზე, ეს კითხვა რატომ არ ისმის და ამაზე პასუხს რატომ არ გვცემთ. რა კრიტერიუმით შეამცირეთ ხალხი. მსახიობი, რომელიც 37 წელი სცენაზეა, არ არის იმის ღირსი, რომ დაუძახო, უთხრა: შენ უნდა წახვიდე, იმიტომ კი არა, რომ ულირსი ხარ, არამედ ასე სჭირდება თეატრს?! ეს არ უნდა შეგეშალოთ".**

სოფიკო ჭიაურელი: **„ვფიქრობ, დასში უნდა მომხდარიყო თვითლიკვიდაცია, მარტო მსახიობის კი არა, რეჟისორების ჩათვლით, ეს უნდა შეხებოდა მთელ თეატრს. მე არ მინდა, ოთარ მეღვინეთუხუცესი მარტოხელა მებრძოლად იქცეს, ვინმემ გამოიყენოს. იყო შემთხვევები, საშინელი მაგალითები, როცა ეს თეატრი ორად გაიყო, ნახევარი დასი რუსთავში წავიდა. ნუ გავიმეორებთ შეცდომებს. პატივი ვცეთ ერთმანეთს, ოთარ მეღვინეთუხუცესი თითქმის დათა თუთაშხიასთან გააიგივა ხალხმა და ამიტომ ძალიან მძიმეა მისი სხვა როლში ნახვა... სამწუხაროდ, დღეს მარჯანიშვილის თეატრს არ ჰყავს ლიდერი, ვინც გაუძღვება დასს. ამიტომ, ერთ კაცს რომ არ ავკიდოთ მხრებზე ყველაფერი, კვლავ უნდა აღდგეს სამხატვრო საბჭო..."**

სხვათა შორის, ბევრმა მოულოდნელად აღიქვა თეატრის დარბაზში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას გამოჩენა და რეპლიკა, თეატრის საქმე პოლიტიკოსების გასარჩევი არააო, როგორც თავად ქალბატონმა ირინამ თქვა, აშკარად მის ბოსტანში ნასროლი ქვა იყო. ამიტომ მან გამოსვლა, ერთგვარად, თავის მართლებით დაიწყო: „მე, გარდა იმისა, რომ პარლამენტარი ვარ, ვარ მარჯანიშვილის თეატრის აქტიური მაყურებელი და აქაც მხოლოდ ჩემი სურვილით მოვედი. სრული უფლება მაქვს, მაინტერესებდეს, რა ელის იმ მსახიობებს, რომელთა სანახავადაც თეატრში დავდივარ.

ჩვენ, პოლიტიკოსები, ისეთი დაუნდობელი პროფესიის ხალხი ვართ, შემოქმედი ადამიანები იქით უნდა გვასწავლიდნენ, მოგვიწოდებდნენ ადამიანობის, ზნეობისა და მორალისკენ. სწორედ ამიტომაა ჩვენი თავშესაფარი თეატრი, საერთოდ ყველაფერი, რასაც ხელოვნება ჰქვია. არავის უფლებებში არ ვიჭრები, მაგრამ როდესაც ჩემი პროფესიის ადამიანს რაიმე გაუკვირდება, ეს ნიშნავს, რაღაც მართლა მიუღებელი ხდება.

როდესაც მსახიობს ატოვებინებენ თეატრს, მაშინ, შიდა სამზარეულოზე ძნელია ლაპარაკი. ერთი მსახიობის ბედი უკვე აღარაა თეატრის საშინაო საქმე. მსახიობი მსახიობს, რომელსაც ისედაც საარსებო წყარო არა აქვს და მისი პროფესია კი მისთვის, უპირველესად, სულიერი საზრდოა, თეატრის გარეთ არ უნდა ტოვებდეს...

**ხანგრძლივი, აქვე უნდა შევნიშნოთ, საკმაოდ კორექტული კამათის შემდეგ, მოხდა, ალბათ, უპრეცედენტო ფაქტი — კულტურის მინისტრმა დარბაზშივე მოაწერა ხელი ბრძანებას, რომლის მიხედვითაც გაუქმდა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის 1996 წლის 26 აპრილის №4.01.01 ბრძანებულება. სწორედ მის საფუძველზე ჩატარებული კენჭისყრით დაითხოვეს ის 34 მსახიობი. ყველა მათგანს 1 სექტემბრამდე შეუნარჩუნდება დღეისთვის დადგენილი ხელფასები, ესე იგი, აღდგება სტატუს კვო.**

**კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოსა და იურიდიულ სამსახურს, პირადად მინისტრის პირველ მოადგილეს მაია კობახიძეს დაევალათ, თეატრის მოღვაწეთა კავშირთან, თეატრთან ერთად დაამუშაონ წინადადებები თეატრის ახალ, საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობამ დასი უნდა დააკომპლექტოს ყველა იურიდიულ ნორმის დაცვით და საქმის კურსში ჩააყენოს კულტურის სამინისტრო. მსახიობებს მიეცემათ უფლება, თავად აირჩიონ იმ კომისიის წევრები, რომელიც მათი თეატრში დარჩენა-არდარჩენის საკითხს გადაწყვეტს.**

**კიდევ ერთი პუნქტი: მარჯანიშვილის თეატრმა გააგრძელოს მზადება ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალისთვის.**

**ჩვენი გულწრფელი სურვილის მიუხედავად, არა გვგონია, საკითხის მოგვარების სექტემბრამდე გადადება, თეატრში მომწიფებული კონფლიქტის პიკი ენდად გამოდგეს. ჯერ ერთი, იგი უკან მიდევნებული ლამპარის შთაბეჭდილებას ქმნის, რადგან რეფორმის ლია ნესით, იურიდიული ნორმების დაცვით ჩატარება ადრეც შეიძლებოდა და ამდენი ჭაპანწყვეტა ნამდვილად არ იყო საჭირო; მეორეც: პირველი სექტემბრის შემდეგაც ზოგი წავა, ზოგიც — დარჩება. ორი თვის განმავლობაში ნაწერვიულები და შეურაცხყოფილი მსახიობი კი, თუნდაც კანონის ფარგლებში, ახლა უფრო რთულია, დაარწმუნო, შეაგუო იმ აზრს, რომ იგი თეატრში საჭირო აღარ არის...**

მეტიც: რეჟისორთა ლიგამ, თავის დროზე მოითხოვა თეატრალურ სფეროში ძირეული რეფორმების გატარება, გადაუდებლად მიიჩნია ისეთი პუნქტების მოგვარება, როგორიცაა, კულტურის შესახებ კანონის მიღება, თეატრალური დებულების ჩამოყალიბება, თეატრის მოღვაწეთა კავშირის რეორგანიზაცია უფრო ქმედითუნარიან სტრუქტურად და სხვა. აქედან გამომდინარე, რეჟისორთა ლიგამ მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობას რეფორმის გატარების განსხვავებული, უფრო უმტკივნეულო ფორმა შესთავაზა, მაგრამ იგი არ გაითვალისწინეს. თუ ლიგის წევრები პირველ ეტაპზე თეატრის ხელმძღვანელობის შეცვლას არ მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად, როგორც მათმა წარმომადგენელმა, რეჟისორმა დავით ანდღულაძემ გვითხრა, ახლა ისინი აპირებენ, უფრო სერიოზულად მიუბრუნდნენ ამ საკითხს.

* * *

**პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. ჟურნალისტები, თეატრის რეფორმის აუცილებლობაზე საუბრის უფლებას არ მივცემთ საკუთარ თავს. ჩვენი მსჯელობა უფრო ემოციის სფეროს განეკუთვნება, მით უმეტეს, რომ საქმე თეატრს, მსახიობებს შეეხება. მარჯანიშვილელთა 8 ივლისის შეკრებაზე ხშირად ისმოდა გამოთქმები: „არ შელახავს ადამიანის ღირსებებს", „თითოეული ადამიანის ბედი ძნელი გადასაწყვეტია", „პიროვნებას, მსახიობს, რომელსაც ადამიანის ბედი აბარია, მეტი პასუხისმგებლობა მართებს". ვფიქრობთ, სწორედ ადამიანის ბედისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ წარმოშვა კონფლიქტი. გასაგებია, თეატრს ვიღაც სჭირდება, ვიღაც — არა, ვიღაც დღეს წავა, ვიღაც — ხვალ, ეს დროის მოთხოვნაა. მაგრამ, როგორც ერთმა მსახიობმა თქვა, რეფორმას „რე"-ს გარდა, ფორმაც აქვს და სწორედ ეს ეთიკური ფორმაა დარღვეული. ამის გამო წავიდა თუ გაუშვეს შეურაცხყოფილი თეატრიდან ისეთი დიდებული მსახიობი, როგორიც თენგიზ არჩვაძეა...**

ირინე დეკანოიძე

ოლიმპიადა

## წინ ატლანტაა!

**18 ივლისს ამერიკის ქალაქ ატლანტაში იხსნება ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა კომენტარი გაუკეთა ამ ასპარეზობისთვის ქართველი სპორტსმენების მომზადებას და აღნიშნა, რომ ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტისა და რესპუბლიკის სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელთა მთავარი ამოცანა იყო, საქართველოს მიეღო თამაშებში მონაწილეობის რაც შეიძლება მეტი ლიცენზია. თავიდან, ნავარაუდევი იყო 20 „საგზური", მაგრამ დღეს რეალობაა, რომ ატლანტაში 36 ქართველი იასპარეზებს.**

**ნონა გაფრინდაშვილის პროგნოზით, ქართველ სპორტსმენებს მედლების მოპოვების შანსი აქვს ძიუდოში, ტყვიის სროლასა და ჭიდაობის ორივე სახეობაში. თუმცა, „სიურპრიზებისგან დაზღვეული არავინა. ბევრია დამოკიდებული კენჭისყრასა და კვალიფიციურ მსაჯობაზე", — დასძინა მან.**

**საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, სპორტსმენების გარდა, შედიან მწვრთნელები, სამედიცინო და ტექნიკური პერსონალი, ცხრა სპორტული ჟურნალისტი.**

**ნონა გაფრინდაშვილის თქმით, ქართველი ოლიმპიელებისთვის დაწესებულია საპრიზო ფონდი: ოქროს მედლისთვის სპორტსმენი მიიღებს 50 ათას დოლარს, ვერცხლისთვის — 30 ათას დოლარს, ბრინჯაოსთვის — 20 ათას დოლარს. ამ თანხის 20 პროცენტი მწვრთნელებს გადაეცემათ.**

**ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ გამოთქვა სინანული, რომ ბევრი ქართველი სპორტსმენი ოლიმპიადაზე რუსეთის, უკრაინის, თურქეთის, საბერძნეთისა და ისრაელის სახელით გამოვა.**

## სპორტსმენი — 36, მედალი —?

**დადგინდა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების საბოლოო სია 36 სპორტსმენის შემადგენლობით. რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას ატლანტაში დაიცავენ: ელდარ კურტანიძე, ზაზა თურმანიძე, ზაზა ტყეშელაშვილი, ავთანდილ გოგოლაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა); ბაკურ გოგიტიძე, ტარიელ მელელაშვილი, გელა პაპაშვილი, კობა გულიაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); დავით ხახალეიშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი, გოგიტა რევაზიშვილი, სოსო ლიპარტელიანი, ვლადიმერ დგებუაძე, მევლუდ ლობჟანიძე, გიორგი წმინდაშვილი (ძიუდო), კობა გოგოლაძე, თენგიზ მესხაძე, აკაკი კაკაურიძე, ბესიკ ვარძელაშვილი, გიორგი კანდელაკი (კრივი), მუხრან გოგია, ბიძინა მიქიაშვილი (ძალოსნობა); მაია აზარაშვილი, ელეირა ურუსოვა (მძლეოსნობა), არჩილ ლორთქიფანიძე (ფარიკაობა); ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე, თამაზ იმნაიშვილი (ტყვიის სროლა); ვლადიმერ გრუზდევი, გურამ ბიგანიშვილი (აფროსნობა); ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი); ხათუნა ქერიფიშვილი (მშვილდოსნობა); გოჩა გვახარია (წყალში ხტომა).**

Кавказ-Пресс

ახლადარჩეული პარლამენტი აქტიური საკანონმდებლო საქმიანობით გამოირჩევა. სახელმწიფოს მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე თანამედროვე დონის და საერთაშორისო სტანდარტების საკანონმდებლო ბაზის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საკანონმდებლო ხელისუფლებამ მუშაობის ერთ ციკლი უკვე დაასრულა. არჩევნებიდან ნახევარ წელზე მეტი გავიდა და აუცილებელია გაწეული მუშაობის დაჯამება, კონკრეტული შედეგების წარმოჩენა. გარდა ამისა, წელს საქართველოს ევროსაბჭოში სპეციალური სტუმრის სტატუსი მიენიჭა, რაც ევროპის საერთო სახლში გაერთიანების საწინდარია. ამ საკითხების შესახებ საუბრობს საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ლანა ღოღობერიძე.

# „საქართველოში ფეხს იკიდებს პარლამენტარიზმის იდეა"

— როგორ აფასებთ საგაზაფხულო სესიის მუშაობას?

— საქართველოში თანდათან მკვიდრდება პლურალისტური დემოკრატია. პლურალისტური დემოკრატია კი საწინდარია იმისა, რომ ჩვენ შევძლოთ ევროპის სრულუფლებიან წევრად გახდომა. ალმშენებლობის პროცესი ძნელად, გაჭირვებით, მაგრამ, მაინც მიმდინარეობს. პარლამენტში მუშაობა ძალზე სასარგებლო და ოპტიმალურად ქმედითია. ძირითადი აქცენტი გადატანილია კანონშემოქმედებით საქმიანობაზე და ეს სრულიად აუცილებელია იმ ვაკუუმის შესავსებად, რომელიც ჩვენს კანონმდებლობაში არსებობს. ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა უმძიმესი პროცესია — პრაქტიკულად მთელი კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს, რაც ძალიან ძნელი განსახორციელებელია.

საპარლამენტო თანამშრომლობის საინტერესო, ამავე დროს, სასარგებლო ურთიერთობები ჩამოყალიბდა მოქალაქეთა კავშირსა და ოპოზიციას შორის. სესიებზე საკითხთა განხილვისას მძაფრი კამათი მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილებას აქედან გამომდინარე ვიღებთ. პარლამენტის ოპოზიციურ ფრთასთან მიმართებით ახალი ტერმინი შემოვიდა — „ჯიბის ოპოზიცია"; მიმაჩნია, რომ შეფასება არ მიესადაგება სინამდვილეს. ჩვენ ზოგჯერ კარდინალურ საკითხში ვერ ვეთანხმებით ერთმანეთს. უმრავლესობის და ოპოზიციის ურთიერთობები — ეს არის საქმიანი ჭიდილი და არა ერთმანეთის შეურაცხმყოფელ სიტყვათა ცვენა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სიმპტომატურია დღევანდელობისთვის.

სისტემის შეცვლისას, ყველა სხვა პროცესთან ერთად, ხდება ცნობიერების, სტერეოტიპების რღვევა. ეს რთული პროცესია. ადამიანს ყველაზე მეტად თავისი თავის დაძლევა უჭირს. ტოტალიტარული მენტალიტეტისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი მტრის ხატის ძიებაა. სიტუაციიდან გამომდინარე, მტერი შეიძლება იყოს ყველა, ვინც ზუსტად ისეთი არ არის, როგორიც შენ ხარ. წინა პარლამენტი ამგვარი პოზიციის ტყვეობაში იყო; ახალი პარლამენტისთვის ამგვარი პოზიცია თავისი არსით მიუღებელია. ჩვენ პატივს ვცემთ საწინააღმდეგო აზრს, უფრო მეტი — განსხვავებული აზრის არსებობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წინაპირობად მიგვაჩნია. ჩვენც და ოპოზიციასაც (ეროვნული დემოკრატების სახით) კარგად გვესმის, რომ შეიძლება ერთი და იგივე პრობლემა რადიკალურად განსხვავებულად გესმოდეს მაგრამ ეს პირადი მტრობის საფუძვლად არ უნდა იქცეს. აქედან მომდინარეობს ურთიერთპატივისცემა და ნდობა ერთმანეთის მიმართ. მე ამას „ჯიბის ოპოზიციას" კი არა, პოლიტიკურ ძალთა შორის ცივილიზებული ურთიერთობების დამკვიდრების ეტაპს დავარქმევდი.

საქართველოში ფეხს იკიდებს პარლამენტარიზმის იდეა და ეს არის თანამედროვე, დემოკრატიული, ევროპული ტიპის ქვეყნის აშენების ქვაკუთხედი.

— რა მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა ახალ პარლამენტში?

— ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად მიმაჩნია პარლამენტში ანტიკორუფციული კომისიის შექმნა. კორუფცია ჩვენი მოგონილი არ არის, ის საერთოდ ადამიანის ბუნებაშია. და იმაზე ფიქრიც კი, რომ დღევანდელ პირობებში შესაძლოა კორუფცია საერთოდ და საბოლოოდ მოისპოს, შეუძლებელია, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენი აბსოლუტური ვალია, ვებრძოლოთ და შესაძლებელ მინიმუმამდე დავიყვანოთ იგი. კომისია ძალიან საინტერესო ხალხითაა დაკომპლექტებული და ძალიან სერიოზულად უდგება საკითხს. თავმჯდომარეა ადამიანი, რომელსაც ნამდვილად ვენდობით. კომისიის პრინციპი ანტიკორუფციული ტენდენციის დამკვიდრებაა საზოგადოებაში.



ქვეყანაში დაიწყო საკონსტიტუციო ინსტიტუტების მშენებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბება. ეს კი ერთ-ერთი წინაპირობაა იმისა, რომ ჩვენ ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო გავხდეთ. საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების ყველა შტოზე მაღლა დგას და არც ერთ ძალას არ ემორჩილება; ის თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში.

ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია კანონის მიღება ომბუცმენის შესახებ. ევროპის სტრუქტურებში გაერთიანებისთვის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ადამიანის უფლებების დაცვა.

ჩვენი პარტია და ფრაქცია იბრძვის, რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშიც და საზოგადოებაშიც დამკვიდრდეს აზრი — დამნაშავე, უპირველეს ყოვლისა, ადამიანია და მისი უფლებების დაცვაც ისევე აუცილებელია, როგორც საზოგადოების ყოველი წევრისა. ახევე სერიოზულად დგას ჩვენთან უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის პრობლემა; ადამიანი არ არის დამნაშავე მანამ, სანამ სასამართლო არ დაუდგენს დანაშაულს. ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საკმაოდ რთული მდგომარეობაა საქართველოში. სანამ ამ პრინციპებს არ გავითავისებთ, ბევრი სირთულე გვექნება ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განკერძოების შესახებ კანონის მიღებასთან არის დაკავშირებული ის მრავალრიცხოვანი კრედიტები, რომლებიც საქართველოში ნამოვიდა. ამაზე მნიშვნელოვანი რა შეიძლება იყოს.

პურის ფასების ლიბერალიზაცია ძალიან რთული პროცესი იყო. პარლამენტი მთელი სერიოზულობით მიუდგა ამ საკითხს და მკაცრ მარწუხებში მოაქცია ყველა შესაბამისი ინსტანცია. თავად ისინიც მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საკითხს, ვფიქრობ, პროცესი, ჯერჯერობით, ნორმალურად მიმდინარეობს. საგანგაშო არაფერი მომხდარა.

ჩვენს ქვეყანას განვითარების და კრიზისიდან გამოსვლის სწორი გზა აქვს აღებული. იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში სასიკეთო შედეგები საგრძნობი გახდება, თორემ პარლამენტმა რაგინდ კარგი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, თუ ისინი ცხოვრებაში არ აისახა, საქართველოს ყოველი მოსახლის მდგომარეობა თუ არ გაუმჯობესდა, ყოველი ჩვენი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდება.

საშემოდგომო სესიაზე ჩვენი ფრაქციის ინიციატივით პარლამენტში შეკითხვების საათი დამკვიდრდება. ყოველ პარასკევს, მთავრობა მთელი შემადგენლობით მოვა პარლამენტში და ორი საათის განმავლობაში ჩვენ მათ შეკითხვებს დავუსვამთ. ეს არ იქნება ფორმალური აქტი. შევეცდებით, მჭიდრო კავშირი გვქონდეს მოქალაქეებთან და მათთვის ყველა მტკივნეული პრობლემა დავსვათ მთავრობის წინაშე. ეს არის დემოკრატიული კონტროლის ყველაზე უფრო მნვავე მექანიზმი. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ცხოვრების დონემ აიწიოს.

— როგორ აფასებთ ევროსაბჭოში საქართველოს სპეციალური სტუმრის სტატუსით გაწევრიანებას?

— გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის ევროპასთან ინტეგრირების ახალი ეტაპი იწყება. ჩვენი საბოლოო მიზანია ევროპის საერთო სახლის სრულუფლებიან წევრად გახდომა. მთელი ჩვენი განვითარებით, ტრადიციებით, მიდრეკილებებით, მენტალიტეტით ევროპული ტიპის ქვეყანა ვართ, მე ამაში ეჭვი არ მეპარება და ამიტომ ევროპაში გაერთიანებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე ევროსაბჭოა, სადაც ჩვენ სპეციალური სტუმრის სტატუსით მიგვიღეს, სხვათა შორის, ძალიან დაჩქარებული პროცედურით. საქართველოდან ევროსაბჭოში მუდმივმოქმედი კომისია იმუშავებს. კომისიის თავმჯდომარე მე გახლავართ, წევრები არიან: კახა ჩიტაია, მიხეილ სააკაშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ვანო ხუხუნაიშვილი.

ევროსაბჭოში გაერთიანებისთვის საჭიროა სამი ძირითადი დემოკრატიული პრინციპისთვის დაქვემდებარება. ესენია: პლურალისტური დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა. გულწრფელად რომ ვთქვა, ჩვენ ჯერ ბევრი მუშაობა გვჭირდება ამ სამი პრინციპის დასამკვიდრებლად, თუმცა, მიმაჩნია, რომ პლურალისტური დემოკრატია ჩვენში უკვე არსებობს. მე ვერ ვხედავ ვერავითარ ცენზურას ჩვენში. ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებისთვის არასასურველი აზრის გამოთქმა სადმე იზღუდება. ამ მხრივ, მე მგონი, ვაჭარბებთ კიდეც. მხედველობაში მაქვს ადამიანის, პიროვნების პირადი შეურაცხყოფა. ჩვენთან ჯერ არ არის დამკვიდრებული სასამართლოს წესით ადამიანის შეურაცხყოფის განხილვა. ამჟამად ვმუშაობთ პრესის კანონზე, რომელშიც აბსოლუტურად უნდა იყოს დაკანონებული პრესის უფლებები და ის შეზღუდვები, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ დემოკრატია ანარქიად არ იქცეს. სადღეისოდ მოქმედი კანონით სასამართლოში საქმის გადაცემასაც არ აქვს აზრი, როდესაც კანონი დააწესებს ეკონომიკური სანქციებით ნათქვამზე პასუხისმგებლობას, მაშინ ჟურნალისტიც დაფიქრდება, აქვს თუ არა უფლება, შეურაცხყოფა მიაყენოს პიროვნებას.

აქვე უნდა ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანიც: ტოტალიტარიზმის რეჟიმიდან გამოსვლის გზაზე მასმედიის მუშაობა ძირფესვიანად შეიცვალა, სადღეისოდ მრავალი გაზეთი არსებობს, ყველას თავისი სახე აქვს, გაზეთებში ყოველგვარი პოზიცია აისახება, არსებობს გამოკვეთილი პროფილის გაზეთებიც, თუმცა, ჯერჯერობით, ზედმეტად დიდი მნიშვნელობა და ადგილი სკანდალებს ენიჭება. დასავლეთის პრესაში სკანდალური გაზეთების რაოდენობა ძალზე განსაზღვრულია. ყვითელი პრესის პრინციპები ზოგადად პრესას არ მოედოს. ეს ტენდენცია კი ჩვენში, ცოტა არ იყოს, ჭარბად არსებობს.

რაც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას და კანონის უზენაესობას, ეს საკმაოდ რთული პროცესია და ყოველმხრივ დაძაბული მუშაობა გვჭირდება.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროპის კულტურული კონვენცია (რომელიც 1954 წელს მიიღეს); ამ დოკუმენტის არსით ყოველი სახელმწიფოს კულტურული მონაპოვარი ევროპის საერთო საგანძური უნდა გახდეს. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის და დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ამ კონვენციის მიღება, ევროპის სტრუქტურებში გაერთიანება კი ამის საშუალებასაც გვაძლევს.

ევროსაბჭოს შეუძლია სერიოზული დახმარება გაგვიწიოს კანონების ექსპერტიზაში. ამჯერად ყველაზე საჩქარო და გადაუდებელია პრესის შესახებ კანონის მიღება. კანონპროექტის შექმნაში უსათუოდ მონაწილეობას მიიღებენ ევროსაბჭოს და დასავლეთის სპეციალისტები. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პრესის კანონი სრულყოფილი სახით მივიღოთ, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია. თანამედროვე საკანონმდებლო ბაზის შექმნის ტრადიცია ჩვენ არ გვაქვს, ევროპაში კი ამის დიდი გამოცდილებაა დაგროვილი და რაც უფრო კვალიფიციური დახმარება იქნება ამ მიმართულებით, მით უფრო საინტერესო და კარგია ჩვენთვის.

ამჯერად, ჩვენ ევროსაბჭოში უფრო დამკვირვებლები ვიყავით, რამდენიმე დღეში გავეცანით ევროსაბჭოს კომიტეტების, ფრაქციების, მთლიანად სისტემის მუშაობას. „მოქალაქეთა კავშირი" პოლიტიკურ ჯგუფში — „ლიბერალები, დემოკრატები, რეფორმატორები" — გაერთიანდნენ. ეს მიმართულება ჩვენი პარტიის იდეოლოგიაც არის. ეროვნულ-დემოკრატები „სახალხო პარტიაში" ჩაეწერნენ.

საქართველო საპარლამენტო ასამბლეის მონაწილეა. ასამბლეა ევროპული აღმშენებლობის საქმეში ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტადაა მიჩნეული.

ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ევროპაში საქართველოს იმიჯის შექმნა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დიდი ახსნა-განმარტება იყო საჭირო, რომ გაეგოთ, რა არის საქართველო. სადღეისოდ ეს ტენდენცია, პრაქტიკულად, დაძლეულია. საქართველოს ცნება საერთაშორისო ასპარეზზე უკვე დამკვიდრდა. ყოველივე ამის გამოც, ევროსაბჭოში მუდმივმოქმედი დელეგაციის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროსაბჭოში მართლაც კარგი დელეგაცია წარმოადგენს. ჩვენი ვიზიტის დროს შეხვედრები, საუბრები ევროპულ, თანამედროვე და თანასწორ დონეზე მიმდინარეობდა. საქართველოს დელეგაციის წევრები პრობლემებში ღრმად ჩაწვდომის უნარს იჩენდნენ.

ევროსაბჭოში ჩვენი ინტერესების სფერო საქართველოს იმიჯის შექმნა, ევროპის სტრუქტურებში ინტეგრირება, ქვეყნის პრობლემების ევროპისთვის წარმოჩენა გახლავთ.

ევროსაბჭოს და ევროპის სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების მუშაობის პრინციპების დამკვიდრება, მათდამი დაქვემდებარება შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ახლო მომავალში საქართველო ევროპის საერთო სახლის სრულუფლებიანი წევრი გახდეს.

ესაუბრა

ხათუნა რეხვიაშვილი

# სჭირდება თუ არა თავისუფალ პრესას სახელმწიფოს დახმარება




ევროპის რიგ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიაში ამ თვალსაზრისით ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ სახელმწიფო სხვადასხვა ბერკეტს ქმნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დასახმარებლად. დღეისთვის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ერთი უმთავრესი პრობლემაა — ინფორმაციო საშუალებებზე საკუთრების კონცენტრაცია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს არის მავნე ტენდენცია, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რაოდენობის მკვეთრ შემცირებას იწვევს და პლურალიზმს სასიკვდილო საფრთხეს უქმნის. დღეისთვის ეს უმთავრესი საკითხია, რაშიც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სახელმწიფოს დახმარება სჭირდებათ.

**ავსტრალიაში** ორი კერძო მესაკუთრე აკონტროლებს დედაქალაქის ყოველდღიური გაზეთების საერთო ტირაჟის 91 პროცენტს (70+21). 1992 წელს საპარლამენტო კომიტეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „კონცენტრაცია ვნებს შეხედულებათა პლურალიზმს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ინფორმაციის დამახინჯების რისკს ზრდის.“ კომისიამ აუცილებლად მიიჩნია, „მინიმუმამდე დავიდეს“ რისკი, რომელსაც შემდგომი კონცენტრაცია გამოიწვევს და ამისთვის საეჭვო საქმიანობის შესახებ კანონში შესაბამისი მუხლის შეცვლაც მოითხოვა.

**ავსტრიას** 1970-იანი წლებიდან მეორე ადგილი ეჭირა ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ყოველდღიურ გაზეთებზე საკუთრების კონცენტრაციით და „გაზეთების ამოშთობის“ პროცესი დღემდე გრძელდება. ქვეყანაში ათიოდე დამოუკიდებელი ყოველდღიური გაზეთი გამოდის, და სამ მათგანს მთელი საგაზეთო ბაზრის ორი მესამედი უჭირავს.

სახელმწიფო ახორციელებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახმარების პროგრამას, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა დახმარება „იმ მცირეტირაჟიანი გაზეთებისა, რომლებიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განსხვავებული პოლიტიკური თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.“ ამ ღონისძიებამ [illegible] ერთ ხელში კონცენტრაციის ტენდენცია კი შეასუსტა, მაგრამ მისი შეჩერება ვერ შეძლო. ამის გარდა, სახელმწიფო კრძალავს გაზეთის და რადიოსადგურის ერთი პირის მფლობელობაში გადასვლას, რადგან ამან შესაძლოა ბაზარზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია გამოიწვიოს.

**დიდ ბრიტანეთში** გაზეთები რამდენიმე მფლობელის ხელშია თავმოყრილი. ყოველდღიური საერთო ეროვნული გაზეთების 70 პროცენტი ოთხ ტრანსნაციონალურ კომპანიას ეკუთვნის. ეს კომპანიები ფლობენ, აგრეთვე, საკვირაო გაზეთების 80 პროცენტს და რეგიონულ გამოცემებსაც, ძირითადად, ისინი აკონტროლებენ.

ვაჭრობის მინისტრი უფლებამოსილია, შეზღუდოს პრესის კონცენტრაცია ერთი მფლობელის ხელში. იგი გამოცემათა შეერთების შესახებ წინადადებას მონოპოლიების და გაერთიანებების კომისიას [illegible] განსახილველად. კომისიამ უნდა [illegible], ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, „ავნებს თუ არა კერძო საკუთრების უფლებათა გადაცემა საზოგადოებრივ ინტერესებს. გასათვალისწინებელია მთლიანად არსებული ვითარება, კერძოდ, აუდიტორიის მოთხოვნილება, რომ არ შეიზღუდოს აზრის გამოხატვის თავისუფლება და მოვლენების ობიექტური გაშუქება“. თუ მყიდველი ისეთ გაზეთზე იძენს კონტროლს, რომლის ტირაჟი დღეში 500 ათას ეგზემპლარს აღემატება, ამ შემთხვევაში მინისტრის თანხმობა აუცილებელია. მინისტრი გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის წერილობით მოხსენებას ითვალისწინებს.

**გერმანიის** კანონმდებლობა პლურალიზმს მონოპოლიის აკრძალვით უზრუნველყოფს. ფედერაციული რესპუბლიკის კანონით, პრესის პლურალიზმი ნიშნავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფალ მოღვაწეობას, კერძო საკუთრების პლურალიზმს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონცენტრაციის შეზღუდვას, ჟურნალისტების მონაწილეობას სარედაქციო პროცესში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონცენტრაციის თუ პუბლიკაციების იმპორტის ლიბერალურ წესებს.

**კანადაში** კერძო საკუთრება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ორი ფედერალური შემოწმების მიუხედავად (მათ შორის ერთ-ერთია გაზეთების თაობაზე 1981 წელს შექმნილი სამეფო კომისია), მეტისმეტად კონცენტრირებულია. ამ სამსახურების დასკვნით, კონცენტრაციის არსებულმა ხარისხმა უკვე საფრთხე შეუქმნა ბეჭდვის თავისუფლებას. საგაზეთო დაჯგუფებებს გაზეთების ნაწილის გაყიდვაც კი ურჩიეს. სახელმწიფო უფლებას იტოვებს, კერძო საკუთრება განიხილოს რევიზიის შესახებ გაერთიანებული კანონის თვალსაზრისით, თუ მონოპოლიის ჩამოყალიბება ავნებს კანადის მოსახლეობას. ასეთი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფს არჩევანის საშუალებას პრესის ბაზარზე და იცავს კონკურენციას.

**ჰოლანდიაში** შექმნილია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საბჭო, საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ხელისუფლების მიერ დანიშნული ექსპერტებისგან შედგება. მათ რეკომენდაციებს ყოველდღიურ გაზეთებზე კერძო საკუთრების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრი განიხილავს და მოიწონებს ან უარყოფს.

**საფრანგეთში** 1986 წელს მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავს ერთი პირის მიერ შესყიდვას ან კონტროლს ყოველდღიურ გაზეთზე, თუ მისი ტირაჟი აღემატება მთელი საფრანგეთის მსგავსი გამოცემების 30 პროცენტს. ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ამ პირობას არ ითვალისწინებს, ბათილად გამოცხადდება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც კი ექვემდებარება.

**ნორვეგია, ესპანეთი, შვედეთი და ამერიკის შეერთებული შტატები** — სპეციალური კანონმდებლობით არ აწესრიგებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე კერძო მესაკუთრის უფლებებს, თუმცა, მათ შეუძლიათ პრესა ანტიტრესტულ და კორპორაციულ კანონებს დაუმორჩილონ.

**ავსტრალიაში, კანადაში, ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში** არსებობს შეზღუდვა სხვადასხვა სახის (გაზეთი, ტელევიზია, რადიო) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ერთდროულ ფლობაზე.

კერძო საკუთრების კონცენტრაცია პრესის თანამედროვე ცხოვრების რეალობაა, რომელმაც რედაქტორები მეტ-ნაკლებად დამოკიდებული გახადა გამომცემლებზე. ამ პრობლემას, ერთი მხრივ, სახელმწიფო აგვარებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონცენტრაციაზე კონტროლით; მეორე მხრივ კი, ჟურნალისტებიც კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ საკუთარი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად: **გერმანიაში** ჟურნალისტები ხმის უფლებით მონაწილეობენ სარედაქციო პოლიტიკის და მთავარი რედაქტორის არჩევნებში. **შვედეთში,** სადაც გაზეთების უმრავლესობა პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნის, თითოეულ გაზეთს ორი მთავარი რედაქტორი ჰყავს: ერთი სარედაქციო სვეტს აკონტროლებს, მეორე კი — ყველაფერ დანარჩენს. **ნორვეგიაში** 1953 წელს შეიქმნა (და 1973 წელს გადაიხედა) რედაქტორთა კოდექსი, რომელიც მთავარ რედაქტორს მასალის შერჩევის შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებს. ასეთი შემთხვევაც იყო, როდესაც გაზეთი იმის გამო გაკოტრდა, რომ არ დაემორჩილა გამომცემელს და გამოაქვეყნა სტატია ამ გამომცემლის საოჯახო ბიზნესზე.

ასე რომ, კოდექსის და სარედაქციო ავტონომიის აქტიურ მხარდაჭერას ჟურნალისტების მხრიდანაც ის მიზანი აქვს, რომ შესუსტდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე კერძო საკუთრების კონცენტრაციის ნეგატიური გავლენა.

არსებობს კიდევ ერთი სერიოზული ბერკეტი, რომლითაც სახელმწიფო გაზეთის ინტერესებს იცავს. ეს არის სამთავრობო სუბსიდიები — ფულადი ან ნივთიერი დახმარება. პრესის სუბსიდირების, ანუ სახელმწიფოს მხრიდან პრესის ფულადი თუ ნივთიერი დახმარების საკითხზე დასავლეთში სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთნი მიიჩნევენ, რომ იგი აფერხებს მოდერნიზაციას და ბუნებრივ საბაზრო განვითარებას, მეორენი კი იმ თვალსაზრისს ემხრობიან, რომ სახელმწიფოს დახმარება აუცილებელია პლურალიზმის შესანარჩუნებლად.

ასეა თუ ისე, **ავსტრიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვედეთის და დანიის** ხელისუფლება საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევს, ფინანსურად დაეხმაროს პრესას.

**ავსტრიის** მთავრობა აბსოლუტურად ყველა ყოველდღიურ გაზეთს ეხმარება ფინანსურად. ბოლო ხანს ყველა გაზეთი (მათ შორის, ბაზრის ლიდერებიც) თანაბარ დოტაციას იღებდა და დახმარების საერთო თანხამ წელიწადში 100 მილიონ ავსტრიულ მარკას (9,1 მილიონ დოლარს) გადააჭარბა. ავსტრიის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ სუბსიდირების მიზანია, რაც შეიძლება მეტ გაზეთს შეუნარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა. ამით ხელისუფლება მხარს უჭერს თვალსაზრისთა ფართო სპექტრის არსებობას მის ქვეყანაში.

**საფრანგეთში** 1974 წლიდან არსებობს ყოველდღიური საინფორმაციო გამოცემების სუბსიდირების პრაქტიკა, რომელიც, აგრეთვე, მიზნად ისახავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით თვალსაზრისთა მრავალფეროვნების ასახვას.

**ჰოლანდიაში** 1967 წლამდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ხელისუფლების მხარდაჭერა გამოიხატებოდა საგზაო და საფოსტო დანახარჯების შეღავათებში და გაყიდვიდან ბეგარის მოხსნაში. 1967 წელს კი ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ფინანსურად დაეხმაროს ბეჭდვით ორგანოებს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რასაც მათ რადიო-ტელევიზიის საშუალებით გადაცემული კომერციული რეკლამა აყენებდა. 1970 წლიდან ეს დახმარება მხოლოდ ყოველდღიურ გაზეთებს და ახალი ამბების ჟურნალებს ეძლეოდა.

1960-იანი წლებიდან სპეციალური გაზეთების დროებითი დახმარების სისტემა შეიქმნა. 1974 წელს დაფუძნდა პრესის ფონდი, რომელიც ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნილ გაზეთებს და ჟურნალებს ეხმარება. მისსავე მოვალეობას შეადგენს ახლად დაარსებული ყოველდღიური გაზეთების დახმარება.

კანონში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ ხაზგასმულია ორი მოთხოვნა ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად: 1) გაზეთი ვალდებულია, ჰქონდეს სარედაქციო წესდება; 2) გაზეთი უსათუოდ შეთავაზებული უნდა იქნეს გასაყიდად. ამასთან, პრესის ფონდი უზრუნველყოფს იმას, რომ დახმარება გაეწევა მხოლოდ ფინანსურად სიცოცხლისუნარიან გაზეთებს. ფონდის დახმარება სჭირდება ახალ გამოცემებს, რომელთა სასტარტო კაპიტალი ახალ ტექნოლოგიებში დიდ კაპიტალდაბანდებებს ვერ უზრუნველყოფს.

ჰოლანდიაში პრესის ფონდის მოღვაწეობაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება კეთილდღეობის, ჯანმრთელობის და კულტურის მინისტრს, რომელიც ფონდის ფულადი სახსრების ოდენობას განსაზღვრავს და გამგეობის წევრებს ნიშნავს. მთავრობა უფლებას იტოვებს, საჭიროების შემთხვევაში, განკარგულებები გამოსცეს ფონდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

**ნორვეგიაში** მთავრობა დოტაციას უნევს იმ გაზეთებს, რომელთა ფინანსური მდგომარეობა მძიმეა. ნებისმიერი გაზეთი, რომელიც კვირაში ორჯერ მაინც გამოდის და არ არის ყველაზე დიდი მოცემულ რეგიონში, იღებს დახმარებას, რომლის სიდიდე გაზეთის ტირაჟზეა დამოკიდებული. თუმცაღა, გამოცემა, რომელიც მომგებიანია და საკუთარ მოგებას კომპანიის განვითარებაში არ დებს, კარგავს დახმარების მიღების უფლებას.

გაზეთმა, რომელიც ფინანსურ გაჭირვებას განიცდის, ყოველწლიურად უნდა მოითხოვოს დახმარება, რომლის მიღება გამოცემის და მისი მთავარი რედაქტორის დამოუკიდებლობის წინაპირობად უნდა იქცეს. მიაჩნიათ, რომ ასეთი მხარდაჭერა აუცილებელია ნორვეგიის გაზეთების უმრავლესობისთვის, რადგან დახმარების გარეშე ისინი სიცოცხლისუნარიანობას დაკარგავენ. სუბსიდიებმა ნორვეგიას თავიდან აცილა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონცენტრაციის მავნე შედეგები, რაც ბევრ ქვეყანაში სახეზეა.

**შვედეთში** ყველაზე დიდი ფინანსური დახმარება ეძლევა ე.წ. „მეორე გაზეთებს“, ე.ი. იმ გაზეთებს, რომლებსაც რეგიონში მეორე ტირაჟი აქვთ. მიზეზი ისაა, რომ ამ გაზეთების სარეკლამო შემოსავალი მცირეა. დახმარება შეადგენს გაზეთების წლიური ბრუნვის მხოლოდ სამ პროცენტს, მაგრამ ზოგიერთი გაზეთისთვის ეს დახმარება გადარჩენის ერთადერთი წყაროა — მათ შორის, ორი მსხვილი ყოველდღიური გაზეთისთვის (Arbetet და Svenska Dagbladet).

**დანიური** სისტემა სუბსიდირებისა იმით არის საინტერესო, რომ დახმარების უმეტესი ნაწილი გაიცემა დროებით, „განსაკუთრებული საჭიროების“ შემთხვევებში. ძირითადად ეს ეხება ახლად შექმნილ გამოცემებს ან ამა თუ იმ გაზეთის მძიმე ფინანსურ პერიოდს.

ბევრი სახელმწიფო — **ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, ნორვეგია, შვედეთი, აშშ** — „ირიბი“ სუბსიდირების გზას მიმართავს: გაზეთებს დაბალ საფოსტო და სატელეფონო ტარიფებს უწესებს; აგრეთვე, გარკვეული (ვთქვათ, დამატებითი ღირებულების) გადასახადებისგან ათავისუფლებს.

ამგვარი „ირიბი“ სუბსიდირება თითქმის არავითარ კრიტიკას არ იწვევს და მთელ მსოფლიოში პრესის ჭეშმარიტ მხარდაჭერად მიიჩნევა.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აბსოლუტურად ყველა პრობლემა ქართული მასმედიისთვისაც აქტუალურია, ოღონდ, ჯერჯერობით, მეტ-ნაკლებად.

ხოლო ზოგადად საკითხი იმის შესახებ, **სჭირდება თუ არა თავისუფალ პრესას სახელმწიფოს დახმარება,** ვფიქრობთ, სათუოა და კითხვით ფორმას აღარ საჭიროებს. საკითხავი და ასაწონ-დასაწონი მხოლოდ ის რჩება, ამ ეტაპზე თავისუფალი პრესისთვის რა სახის და ოდენობის დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენს სახელმწიფოს.

**ია ანთაძე**

იურისტთა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის — Article 19 — მასალების მიხედვით.

პრესმერიდიანი

# ელცინის და კლინტონის საიდუმლო მიმოწერა

## მოსკოვი სთხოვს ვაშინგტონს, გავლენა მოახდინოს ბალტიისპირელებზე

ივნისის მეორე ნახევარში, რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, ბორის ელცინმა ბილ კლინტონს წერილი გაუგზავნა.

არც პრესაში, არც რუსეთის ოფიციალურ პირთა განცხადებებში, ამ ფაქტის შესახებ შეტყობინება არ ყოფილა. წერილი მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს ატარებდა და ბალტიის ქვეყნებს (პირველ რიგში, ესტონეთს და ლატვიას) შეეხებოდა.

რატომ მაინც და მაინც იმ მომენტში გადაწყვიტა ელცინმა „მეგობარი ბილისთვის" მიემართა და რატომ ამოირჩია მან რუსეთ-ამერიკის ურთიერთობისთვის არც თუ ისე დამახასიათებელი ეპისტოლარული ჟანრი? ამის მიზეზი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამი ბალტიელი პრეზიდენტის ვიზიტი, რომელიც გასული თვის ბოლოს შედგა.

ამ გამგზავრების მზადებისას, არ იყო იმის გარანტია, რომ ბალტიელი პრეზიდენტები — ლენარტ მერი, გუნტის ულმანისი და ალგირდას ბრაზაუსკასი — თეთრ სახლში აუდიენციას მიიღებდნენ. თუმცა, ელცინის წერილის გაგზავნამდე ზუსტად ერთი დღით ადრე კლინტონმა დადებითი გადაწყვეტილება მიიღო: „შეხვედრა შედგება!"

„არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე პრეზიდენტს არ შეუძლია იგნორირება გაუკეთოს არამარტო ბალტიის დიასპორას, არამედ ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებიდან მრავალრიცხოვან გადმოსახლებულებსაც, — მიიჩნევს მაღალი რანგის ამერიკელი დიპლომატი — ბალტიაც და ცენტრალური ევროპაც ნატოსკენ მიელტვიან, ამიტომ, მაგალითად, გავლენიანი პოლონური დიასპორა ამერიკაში ყურადღებით ადევნებს თვალყურს ალიანსის გაფართოების მიმართ ადმინისტრაციის მიდგომის ყველა ნიუანსს".

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბალტიის ლიდერებთან ამერიკის პრეზიდენტის შეხვედრა შედგება, რუსეთის დიპლომატიის წინაშე ორი მთავარი ამოცანა დადგა: პირველ რიგში, არ უნდა დაეშვათ ის, რომ ამერიკელებს ხახალხოდ დაეჭირათ მხარი ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ნატოში შესვლის იდეაისთვის. გარდა ამისა, რუს დიპლომატებს უნდა დაერწმუნებინათ კლინტონი, რომ საჭირო იყო მერისთან, ულმანისთან და ბრაზაუსკასთან საუბრისას, მათ ქვეყნებში რუსულენოვანი მოსახლეობის დისკრიმინაციის თემასაც შეხებოდა.

სწორედ მაშინ, მოსკოვში ჩნდება ელცინის პირადული, ამასთან, უთუოდ კონფიდენციალური წერილის იდეა. ამერიკის პრეზიდენტის მიმართ სახალხო მიმართვას შეიძლებოდა ვაშინგტონში უკმაყოფილება გამოეწვია — საქმეა, ამერიკის საზოგადოებრივი აზრის აღშფოთებას მოყოლოდა იმას, რომ თეთრი სახლის ბატონ-პატრონს სხვები ურჩევენ, თუ რა თემებზე და როგორ ისაუბროს უცხოელ სტუმრებთან. კრემლში ითვალისწინებდნენ რუსეთის მოქალაქეთა შესაძლო ნეგატიურ რეაქციასაც იმ მცდელობებზე, რომ ამერიკელები მოსკოვსა და ბალტიის დედაქალაქებს შორის საშუამავლო მისიით მიეწვიათ. ნაციონალ-პატრიოტებს თავისუფლად შეეძლოთ დაედანაშაულებინათ პრეზიდენტი, რომ იგი უძლურია აშშ-ს დახმარების გარეშე გადაჭრას „ახლო საზღვარგარეთში" წამოჭრილი პრობლემები.

წერილს თავიდან ბოლომდე მეტად მკაცრი ტონი გასდევს. მოსკოვი ტალინს და რიგას „ადამიანის უფლებათა დაცვის უხეში და მასობრივ დარღვევებში" ადანაშაულებს. კრემლი ბოლო პერიოდში, ბალტიისპირეთში რუსულენოვანი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ვერავითარ ნიშანს ვერ ხედავს. ელცინი უკმაყოფილებას გამოხატავს ბალტიის ქვეყნებში რუსების მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების პასიურობისა და აშშ-ს გულგრილობის გამოც.

„ხშირად ლატვიასა და ესტონეთში მზად არ არიან, ყური უგდონ დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტების, ჩვენი აზრით, თავშეკავებულ რეკომენდაციებსაც კი, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს ჟენევაში, ტალინსა და რიგაში ეუთოს მისიის დასკვნებს იმის შესახებ, რომ აუცილებელია, შიდა კანონმდებლობის და ადმინისტრირების პრაქტიკის კორექტირება.

ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ნეგატიური მიდგომა დაკავშირებულია ესტონელების და ლატვიელების პირდაპირ ან ირიბ მხარდაჭერასთან. ეს თანადგომა, სამწუხაროდ, ტალინსა და რიგაში არ აღიქმება როგორც სტაბილური სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის წახალისება, როგორც დემოკრატიის გამყარების, ადამიანის უფლებათა პატივისცემის მხარდაჭერა. უფრო მეტად გაიგება, როგორც რუსულენოვანი მოსახლეობის ძირითადი უფლებების და თავისუფლების შელახვის, მათ მიერ გატარებულ კურსზე თანხმობა.

ამავე დროს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბოლო ხანებში, რატომღაც, პირიქით, შეასუსტა გავლენა ტალინსა და რიგაზე".

წერილის იმ ვერსიაში, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფართო პუბლიკას წარუდგინა, ნახსენები არ არის მეორე თემა, რომელსაც საიდუმლო „ბარათში" ელცინი საკმაოდ ზედმიწევნით ეხება — ესტონეთთან ტერიტორიული დავა. მიუხედავად ესტონელი პოლიტიკოსების განცხადებისა იმის თაობაზე, რომ ტალინს ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია, ელცინმა გარკვევით გამოხატა მოსკოვის პოზიცია. ვიდრე ესტონეთი 1920 წლის ტარტუს ხელშეკრულების აღიარებას მოითხოვს, რუსეთი მიიჩნევს, რომ ესტონეთი მის ტერიტორიას იჩემებს (ტარტუს ხელშეკრულების თანახმად, ფსკოვის და ლენინგრადის მხარის ნაწილი ესტონეთის კუთვნილებად არის აღიარებული).

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მომენტი: რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა კლინტონს აცნობა, რომ მისი ქვეყანა „წინ არ აღუდგება ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ევროგაერთიანებასთან სწრაფვას". შესაძლოა, ამით ელცინი მიანიშნებს, რომ ევროგაერთიანებაში შესვლა ბალტიისთვის ნატოში გაწევრიანებაზე უარის ერთგვარ კომპენსაციად უნდა იქცეს. ეს იდეა დასავლეთში ბოლო დროს აქტიურად განიხილება. კერძოდ, იგი აისახა აშშ-ს უმსხვილესი კვლევითი ცენტრის „რენდ კორპორეიშენ"-ის პუბლიკაციებში. ამ ცენტრს კი ამერიკასა და ევროპაში პოლიტიკოსებზე დიდი გავლენა აქვს.

რაც შეეხება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ჩრდილოეთატლანტიკურ ალიანსში შესვლას, ამ საკითხში მოსკოვის პოზიცია შეუვალი რჩება. უფრო მეტიც — ელცინის წერილის მიხედვით, საუბარიც კი არ შეიძლება იმ ჰიპოთეტურ შესაძლებლობაზე, რომ ნატოს გავლენის სფერო ბალტიის ქვეყნებზეც გავრცელდეს. რუსეთისთვის ასეთი პერსპექტივა კატეგორიულად მიუღებელია და ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს იგი აფასებს, როგორც საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების შელახვას.

წერილი შეიცავს არაორაზროვან მინიშნებას იმის შესახებ, რომ თუ დასავლეთი ყურად არ იღებს მოსკოვის არგუმენტებს, მაშინ რუსეთმა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ შეთანხმება, შესაძლოა, მთლიანად არ დაიცვას.

მოახერხა კი ელცინმა დასახული მიზნების მიღწევა? ბალტიისპირეთის სახელმწიფოების დიპლომატები აღიარებენ, რომ ნატოში მათი ქვეყნების მიღების საკითხში ბილ კლინტონისგან მეტ სიცხადეს ელოდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კი შემოიფარგლა დაპირებით, რომ ალიანსში გაერთიანების მსურველთა სიაახლანდელი პრეტენდენტებით (იგულისხმება ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი). არ ამოიწურება. ამერიკელი ლიდერის ასეთი თავშეკავება, მიმომხილველთა აზრით, უპირველეს ყოვლისა, ელცინის წერილით აიხსნება.

რუსეთის დიპლომატები არანაკლებ მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევენ იმას, რომ კლინტონი ბალტიის პრეზიდენტებთან საუბრისას არათუ რუსულენოვანი მოსახლეობის მდგომარეობას შეეხო, არამედ, არც კი უცდია პრესისთვის მისი შინაარსის დამალვა. თუმცა, მოსკოვში ლატვიის საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომლის აზრით, აშშ-ს პრეზიდენტს ამ საჩოთირო თემისთვის ისეთი ყურადღება არ მიუქცევია, რომ ულმანისის და მერის მძაფრი რეაქცია გამოეწვია. „იგი ამას ელცინის წერილის გარეშეც გააკეთებდა. რიგაში ამასწინანდელი ვიზიტისას კლინტონმა საკუთარი ინიციატივით წამოჭრა რუსების უფლებათა დაცვის საკითხი, — აღნიშნა დიპლომატმა.

კონსტანტინე ეგერტი

გაზეთი „იზვესტია"

უკრაინა

# კონსტიტუციის ჩარჩოებ

როგორც ადრე გაუწყეთ, 28 ივნისს, უკრაინის უმაღლესმა საბჭომ 23-საათიანი სხდომის შემდეგ მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია (მის მიღებას მხარი დაუჭირა 315-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 36, თავი შეიკავა 12-მა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია 30 პარლამენტარს). უმაღლესმა საბჭომ აგრეთვე დაამტკიცა კანონი უკრაინის კონსტიტუციის ძალაში შესვლის შესახებ, რომლის თანახმადაც, 1978 წლის კონსტიტუცია და კონსტიტუციური შეთანხმება პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ძალას კარგავს.

კონსტიტუციის მიღების აქტს ესწრებოდა ეკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა. ქვეყნის ძირიადი კანონის მიღებას მან „ისტორიული მოვლენა" უწოდა, რომელიც, მისი თქმით, „უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიკავებს უკრაინის უახლეს ისტორიაში".

მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, უკრაინა სუვერენული, დემოკრატიული, სოციალური, სამართლებრივი და უნიტარული სახელმწიფოა, რომელშიც დამკვიდრდება ერთიანი მოქალაქეობა. ქვეყნის სახელმწიფო დროშად ლურჯ-ყვითელი ალამი გამოცხადდა, ხოლო გერბად დამტკიცდა „მთავარ ვლადიმერ დიდის სახელმწიფოს ოქროსფერი ნიშანი ლურჯ ფონზე".

სახელმწიფო ენად უკრაინული ენა გამოცხადდა, თუმცა, ამავე დროს, გარანტირებულია რუსული და სხვა ეროვნული ენების განვითარება.

კონსტიტუციის თანახმად, უკრაინის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და, სუვერენიტეტის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციის დაცვის გარანტს წარმოადგენს (იგი 5 წლის ვადით აირჩევა), ხოლო უკრაინის პარლამენტი „უმაღლეს საბჭოდ" ინოდება და 450 დეპუტატისგან შედგება. პარლამენტის ძირითად ფუნქციებში შედის კანონების მიღება, პრეზიდენტისთვის თანხმობის მიცემა პრემიერმინისტრის დანიშვნაზე. მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამების განხილვა და დამტკიცება და ა.შ. მინ ტრთა კაბინეტი კი აღმასრულებ ხელისუფლების სისტემაში უმა ორგანოს წარმოადგენს. „გარდამა ლი დებულებების" მიხედვით, უკ ინის მინისტრთა კაბინეტის ფორ რება უნდა მოხდეს კონსტიტუც მიღებიდან სამი თვის განმავლობა

„დებულებების" საფუძველზე, რლამენტის მომავალი არჩევ 1998 წლის მარტში გაიმარ ხოლო პრეზიდენტის არჩევნები 1999 წლის ოქტომბერში. ამავე რდამავალი დებულებების" თანახ კონსტიტუციის მიღებიდან წლის განმავლობაში, პრეზიდენ პრემიერმინისტრის თანხმობის ძეელზე, შეუძლია გამოსცეს გან გულებები იმ ეკონომიკურ საკით ბზე, რომლებიც კანონმდებლობით არის დარეგულირებული. შემდეგ განკარგულებების მტკიცდება უმ ლესი საბჭოს მიერ.

კონსტიტუციის საბოლოო ტ ტში ჩართულია თავი ყირიმის ტონომიური რესპუბლიკის შეს ბაც, რომელსაც, ძირითადი კანონ მიხედვით, აქვს საკუთარი კონს ტუცია. უკრაინის კონსტიტუც მიხედვით, მისი მიღების დღი შეზღუდული დროით დაშვებუ უკრაინის ტერიტორიაზე არსებუ სამხედრო ბაზების გამოყენება უ ხოური ჯარის მიერ, ხოლო უცხო რი ბაზების არსებობა გათვალისწ ნებულია მხოლოდ არენდის პირო ბით.

უკრაინის კონსტიტუცია ით ლისწინებს აგრეთვე საკონსტიტუც სასამართლოს არსებობას, რომელშ შევა 18 — პრეზიდენტის, პარლამ ნტის და მოსამართლეთა ყრილო მიერ წარდგენილი ექვს-ექვსი, მო მართლე.

უკრაინის ფულის ერთეულ ცხადდება გრივნა, მაგრამ ძირითა კანონის ეს პუნქტი ძალაში შ მხოლოდ ქვეყანაში ფულადი რეფ რმის გატარების შემდეგ. კონსტიტ ცია აძლევს მოქალაქეებს კერ საკუთრების (მათ შორის, მიწაზ უფლებას.

# ნატოსთან თანამშრომლობა რუსეთთან დაპირისპირებას არ ნიშნავს

გასული თვის ბოლოს სააგენტო „ინტერფაქსმა" გაავრცელა ინფორმაცია უკრაინის სურვილის შესახებ, თითქოს ამ უკანასკნელს სურს გახდეს ნატოს ბლოკის ასოცირებული წევრი. აღნიშნულმა განცხადებამ გარკვეული საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია.

19-23 ივნისს ვარშავაში, ნატოს მეცამეტე საერთაშორისო სემინარზე გამოსვლისას, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ.უდოვენკომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოხატა ქვეყნის პოზიცია და აღნიშნა, რომ უკრაინა მხარს უჭერს ნატოსთან „განსაკუთრებულ პარტნიორობას" და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან შესაბამისი შეთანხმების გაფორმებას. ნატოს შესაძლო გაფართოების კონტექსტში მინისტრმა შენიშნა, რომ უკრაინა მზად არის რუსეთთან ნატოს მჭიდრო ურთიერთობების ანალოგიური მექანიზმის შემუშავების პროცესში თანმიმდევრული თანამშრომლობისთვის.

უკრაინის სახელმწიფოს ხელმძღვანელობის არაერთხელ გამოხატული პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ნატოს გაფართოებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა დაინტერესებული ქვეყნის, უპირველეს ყოვლისა კი, უკრაინისა და რუსეთის უსაფრთხოების ინტერესები. ნატოსთან განსაკუთრებული პარტნიორობისკენ უკრაინის მისწრაფება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რუსეთთან ანალოგიური კონტაქტების უარყოფას. რუსეთის ფედერაცია უკვე ხანგრძლივი დრო მანძილზე აწარმოებს მოლაპარა ბებს ნატოს ალიანსთან სტრატეგი ლი თანამშრომლობის მექანიზმის სამუშაოებლად და უკრაინა ყოველ ვის მხარს უჭერს ამ პროც ამიტომ გაკვირვებას იწვევს ზოგ რთი, განსაკუთრებით კი, რუსეთ საინფორმაციო საშუალებების გა რთლებელი რეაქცია ნატოსთან უ რაინის თანამშრომლობის გაფარ ებისა და გაღრმავების ფაქტზე.

უკრაინა რჩება სახელმწიფო რომელიც არცერთ ბლოკში არ გაერთიანებული და უახლოეს მო ვალშიც არ ისახავს მიზნად ნატო შესვლას. ამასთან, ვითარდება ნატ სთან „გაღრმავებული და გაფარ ებული ურთიერთობები", უკრა აგრძელებს ჩრდილოატლანტიკ ალიანსთან „განსაკუთრებული პარ ნიორობის" ურთიერთობების მექან ზმის შემუშავებას და შესაბამ შეთანხმების გაფორმებას. უკრაი პოზიცია ამასთან დაკავშირებით ვე გადაეცა ნატოს ხელმძღვანელო 1995 წლის სექტემბერში.

ნატოსთან მჭიდრო პარტნიორ ბის განვითარება არ ნიშნავს და შეიძლება ნიშნავდეს რუსეთთან უ რაინის რუსეთთან თანამშრომლო უარყოფას, მათ შორის, დსთ-ს მექანიზმების ფარგლებში, რომლ შიც უკრაინა მონაწილეობს.

საქართველოში უკრაინ
საელჩოს პრეს-სამსახურ
მასალების მიხედვი

იქ, უცხოეთში



# ლინ სნოუდენი

## (ამერიკელი ჟურნალისტი)

# როგორ გავიხადე



„მიდი! მიდი! ყველაფერი გაიხადე!" — რამდენიმე კაცის წინ გახდისა მრცხვენია, პერსპექტივაში კი, უცნობ ადამიანთა ბრბოს წინაშე მომიწევს გახდა! ფულისთვის თავში იდიოტური აზრი მიტრიალებს: ჩემი საცოდავი დედიკო, ალბათ, სხვისთვის მზრდიდა.

...ბიუტის წინ დათრობა გა-...ნყვიტე. მთავარია, პირველს ...ეძლო, მეორე, ალბათ, ადვი-...იქნება.

...ბარში გახდა უფრო ადვილი ...ნდა, ვიდრე პლაჟზე. პუ-...კეთილად იყო განწყობი-... და, რა უცნაურადაც უნდა ...ვენოთ, პატივისცემითაც, ...ჩემთვის დიდი სიურპრიზი ...

...ჩემს დამრიგებელ ჯიოას, ...ში, ოცი წლის სტაჟი ...„კაბარე ბურბონში" (ახალ ...ში ყველაზე ცნობილი ...) ჩემი პირველი გამოს-... მითხრა: „ისე წადი, ...ს მაღაზიაში საყიდლებზე ...ხარ. იცი, რაც გინდა, და ...ლად მიიღებ მას. მუ-... გახსოვდეს: კარგ გუნებაზე ...".

...იდან რამდენიმე ნაბი-...დაშორებული გასახდელ ...წრეს ვარტყამ. თვით ...ნახევრად მრგვალია. ცე-...ში კი მეტალის ჭოკი დგას. ...სტრიპტიზიორის უცვლელი და-... ხის სკამი, კედლის სა-...ირეკლება. კედელთან პა-... მაგიდებიცაა იმათთვის, ... გოგოებთან ახლო სურს ...

...სრულიად ფხიზელი ვარ. ...ს დროა. ავდივარ სცე-... და ჯიოას დარიგებას ...ებ, ვცდილობ მთელი პუ-...კა შიშველი წარმოვიდგინო. ...მლაც არაფერი გამომდის. ...ვცდილობ, თავი დავირწ-...მ, რომ ირგვლივ მყოფნი ...მატერიალურები არიან. უფ-... სწორედ, ვითომ ის, რაც ...ვლივ ხდება სრული ჰალუ-...ციაა, მე კი მარტოობაში ...ვარ! მგონი, გამოვიდა, მა-...მ, უცებ მეზღვაურის ფორ-...ტიპი დავინახე, როგორ ...ვარდა სცენისკენ.

...ხუთი წუთის წინ მხიარუ-...ლაყბობდით ბარში. ახლა — სცენაზე ვარ. მას თვა-... დაუჭყეტია და ხელში ...ლარებს ჭმუჭნის.

„თვალის არიდება არც კი ...ქრო, — მარიგებდა ჯიოა, ...ვიცი, ძნელია. სხვანაირად ... ვერ იშოვი". ეტყობა, ...თალია. სტრიპტიზიორისთ-... თვალებში ყურების სწავ-...ა მთავარი, დანარჩენი მონ-...ება.

როცა ვამბობ, სტრიპტიზი-...დ ვმუშაობ-მეთქი, თანამო-...რეებს მხოლოდ ერთი აინ-...ტერესებთ — სულ' ვიხდი თუ ... ერთნი მოწონებით იქნევენ ...ს, როცა ჩემი საბოლოო ...ვეულების დამამტკიცებელ ...ს ვერ მიიღებენ, სხვები, ...ქით, კაოცებულნი კითხუ-...ობენ: „განა ეს სტრიპტიზია?" ... არც ერთს თავში არ მოს-...ს, რომ „სულ" თუ „ნახევ-..." ძალიან მკაცრად არის ...საზღვრული ყოველი შტა-...ს კანონით. მაგალითად, ლუ-...ხანაში, ის ადგილი აუცილე-ბლად იფარება, თუნდაც, პაწაწ-კინტელა სამკუთხედით. მაშ ასე, სულ ვიხდი თუ არა? აბა, სცადეთ და მოაზომეთ თქვენს შორისს საფოსტო მარკაზე ოდნავ მოზრდილი სამოსი, მაშინვე ჩაცმულად იგრძნობთ თავს!

სამსახურში კოლეგები მეგობრულად მექცევიან, მაგრამ „კარგი კლიენტის დასათრევი" კონკურენცია მაინც არის. „კარგი" ნიშნავს სქელ ჯიბიანს. მთავარია, ასეთმა ტიპმა მიგიპატიჟოთ, შიშველმა რომ იცეკვო მის მაგიდაზე.

„ცეკვა მაგიდაზე", მიუხედავად სახელწოდებისა, სრულიადაც არ ნიშნავს მაგიდაზე ცეკვას. მას მაგიდის ზვერდით გამოშვერილ ხის სადგამზე ასრულებენ. ამ სიამოვნებისთვის კლიენტი ფულს იხდის. ასე რომ, დიდი სცენა ერთგვარი „სავიზიტო ბარათია".

მამაკაცთა უმრავლესობა მაგიდაზე ცეკვას, გაოცებული ბავშვებივით პირღია უყურებენ. არც ერთი ავხორცული ჟესტი. დიახ, ხორცშესხმული ავხორცობა — მე ვარ.

რატომღაც ყველა მამაკაცს სურს გაიგოს რა მქვია. იქნებ, აქ, ამ დუქანში ექსპრეზიდენტის შვილიშვილს ან ყველასგან მივიწყებული კინოვარსკვლავის შვილსაც ელიან? ჩემი სცენური ფსევდონიმია — დოლორეს გეიზი. მოკლედ კი, ვლადიმერ ნაბოკოვის რომანის გმირის, ლოლიტას სახელი მაქვს.

ჯიოა კი, ოლდოს ჰაქსლის რომანის პერსონაჟის სახელია. სახელის შერჩევა ძალზე ფაქიზი საქმეა. კარგად შერჩეული ფსევდონიმი შეიძლება კარგი გასამრჯელოს საწინდრად იქცეს.

„დოლორეს გეიზი? ის დოლორესი?" — აღფრთოვანებულმა შესძახა ჭაღარა ბატონმა. იგი მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელი აქტიორი და ცოტა სცენარისტიც აღმოჩნდა. მაშინვე ენად გავიკრიფე: როგორ ჩავაბარე ოდესღაც კინოსკოლაში; არავითარი ნაცნობობა არ მქონდა, მაგრამ ერთხელ მაინც გადამიღეს ეპიზოდურ როლში. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, მან ფული მაჩუქა და მითხრა: „შეგიძლია არ იცეკვო. ფული შენია".

„დღისით რას აკეთებ?" — აინტერესებს ყოველ მეორეს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ სტრიპტიზიორს დღისით არაფერი საქმე არ აქვს.

მეორე იდიოტური კითხვა: „სცენაზე აღიგზნები ხოლმე?" მინდა ვუპასუხო: მაშინვე როგორც კი გასამრჯელოს მივიღებ-მეთქი. მაგრამ გამოცდილი სტრიპტიზიორი სხვას თვალს არასოდეს აუხელს: დიახ, ჩვენ ფულის გამო როდი ვმუშაობთ. თქვენი და საკუთარი სიამოვნებისთვის ვიღწვით მხოლოდ.

გაოცებული დავრჩი, როცა მივხვდი, თუ როგორ ბრაზდებიან მამაკაცები, როცა მათი გადახდის უნარიანობა გვაინტერესებს. ერთი ბიჭი მთელი საღამო მიღიმოდა, მაგრამ ერთი ცენტიც არ მოუცია. როცა შოუ დამთავრდა, მივედი და ვკითხე, როგორ მოგეწონა-მეთქი. გაუმართავი ინგლისურით მითხრა, — ძალიანო. ფრანგი აღმოჩნდა, ფრანგები კი, ჩვეულებრივ, ძუნწები არიან გასამრჯელოს გაცემაში.

„თუ მოგეწონეთ, გადამიხადეთ", — ვუთხარი.

„ამიტომ მიღიმოდი? — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა, — მხოლოდ ამიტომ? ფულისთვის?"

დიახ, დიახ, ამიტომ, შტერო!

გამეგო, სტრიპტიზიორები კვირაში სამი ათას დოლარამდე აკეთებენო. ჩემმა ჯერალდოელმა კოლეგამ გულგრილად მითხრა: „ძვირფასო, ღამეში ხუთას დოლარზე ნაკლებად პალტოსაც არ გავიხდი, შენ რამდენი გაქვს?"

„- დაახლოებით ამდენივე", — ვიცრუე მე და უცბად მივხვდი, რატომ მალავენ სტრიპტიზიორები თავიანთ შემოსავალს. განა სისულელე არ არის, რომ ფულის გამო შიშვლდები და თანაც მაშინვე გამოტყდე, რომ შემოსავალი არც ისე დიდი გაქვს.

ბევრ სტრიპტიზიორთან ვყოფილვარ სტუმრად. თითქმის არც ერთის ბინა საცხოვრებლად ვარგისი არ იყო. ყველგან „გასამგზავრებელი" განწყობილება იგრძნობოდა.

დღეს ერთი ახალბედას დებიუტია, ამასწინათ შეუსრულდა ჩვიდმეტი წელი. „მეც ჩვიდმეტი წლისამ დავიწყე, — ამბობს კოლეგა ტრაში. — „საძაგელ გოგოდ" ყოფნა მომწონდა. ჩემი მეგობრები, მათივე მონაყოლით, უამრავ ფულს შოულობდნენ. ვიფიქრე, რითი ვარ ამათზე უარესი-მეთქი. მას შემდეგ თერთმეტმა წელმა გაიარა. ეს სამუშაო პიროვნებას ანგრევს. გგონია, რომ სხვა რამეს უკვე ვერასოდეს გააკეთებ"...

გამოსვლის შემდეგ მაგიდასთან მივდივარ, მგონია, რომ ფულის შადრევანი დამხვდება, ის კი მეუბნება: „იცით, თითქმის ყველა გოგონა, რომელიც ასეთ ადგილას მუშაობს, კოლეჯში სწავლას თავს ანებებს". საინტერესოა, რატომ ფიქრობენ მამაკაცები, რომ ქალებს არ სურთ თავით მუშაობა? „თქვენ მართალი ხართ, — ვპასუხობ. — მე თვითონ ჟურნალისტი ვარ და ძალიან მინდა დავუბრუნდე ჩემს პროფესიას. აი შევაგროვებ მასალას სტატიისთვის და...".

თარგმნა

მარიამ კობრავამ

## მოზაიკა

* * *

აშშ-ის მთელი რიგი სამეცნიერო ცენტრების თანამშრომელთა მიერ ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებს, რომ 65 მილიონი წლის წინ ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, ჩრდილოეთ დაკოტაში, უზარმაზარი მეტეორიტი ჩამოვარდა, რამაც ფლორისა და ფაუნის ბევრი სახეობის განადგურება გამოიწვია.

* * *

უძველესი სამაგიდო თამაში ნაპოვნია იორდანიაში, მისი ასაკი 7900 წელია. მსგავსი თამაში მანკალა ახლაც პოპულარულია ამ ქვეყანაში.

* * *

მცურავი ბაზარი არსებობს ტაილანდში, ბანკოკის ახლოს. ვაჭრობა პირდაპირ წყალში მიმდინარეობს, გამყიდველიც და მყიდველიც ნავებით დაცურავენ, უცხოელი ტურისტები კი პატარა გემით. აქ ყიდიან ხილს, ბოსტნეულს, ხორცს და სუვენირებს. ორიგინალური ბაზარი 1868 წლიდან მუშაობს.

* * *



ანტარქტიდაში თვრამეტი ქვეყნის 68 სამეცნიერო სადგური მუშაობს. აქ ტურისტებიც არიან. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ყინულოვან კონტინენტზე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენი გროვდება. ზამთარში ტემპერატურა აქ მინუს 90 გრადუსს აღწევს და ბანანის კანის გახრწნასაც კი 100 წელი სჭირდება. როდემდე გაუძლებს იქაური ეკოსისტემა დაბინძურებას? მეცნიერთა აზრით, ანტარქტიდაში ბევრია სასარგებლო წიაღისეული (ქვანახშირი, ოქრო, ტიტანი, სპილენძი, კობალტი, ურანი). მათი მოპოვება კი ერთობ დააზიანებს მატერიკს ეკოლოგიური თვალსაზრისით. არადა, სწორედ აქ ინახება დედამიწაზე ერთადერთი დაუბინძურებული მტკნარი წყლის მარაგი.

* * *

ამერიკული ფირმა „იზოტერმიქსი" სპობს ბინებში ტარაკანებს, ჭიანჭველებს, რწყილებს, ჩრჩილს, ტერმიტებს და სხვა მუქთახორებს იმგვარი ტემპერატურით, რომელსაც მწერები ვერ უძლებენ. ოთხი საათის განმავლობაში ისინი ბინას 66 გრადუსამდე ახურებენ და ყველა მწერი იღუპება. რა თქმა უნდა, ასეთი „საუნის" წინ ბინიდან უნდა გაიტანონ ნივთები, რომლებიც, შეიძლება, გახურებამ დააზიანოს.

* * *

ფრანგმა არქეოლოგებმა კაიროს ახლოს აღმოაჩინეს პირამიდა, რომელიც ერთ-ერთი ფარაონის ცოლს ეკუთვნოდა. მისი სიმაღლე ოდესღაც 20 მ იყო, მაგრამ ახლა ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ამგვარად, ცნობილი ეგვიპტური პირამიდების რაოდენობა 93-მდე გაიზარდა.

* * *



ამერიკელი მოქანდაკე პატრიკ ბრემერი ხისგან ჭრის მწერთა გადიდებულ ფიგურებს. იგი სხვადასხვა ჯიშის და ფერის ხეს იყენებს. ბრემერის ქანდაკებები გამოფენილია მუზეუმებსა და ზოოპარკებში.

* * *

ამერიკელმა მსახიობმა დენის უივერმა სახლი აიშენა 3500 საბურავისა და 20 000 კონსერვის ქილისგან.

* * *

სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი ლუდის ქარხანაში დაამზადეს ლუდი რეცეპტით, რომელიც ძველ ბაბილონში თიხის ფილაზე იყო ჩაწერილი 4000 წლის წინ. იგი შეიცავს ქერს, პურს, ფინიკს და თაფლს. ძველი სასმელი ახლაც პოპულარობით სარგებლობს.

* * *

ავსტრიელი სტატისტიკოსების მიერ შეკრებილი მონაცემებით, ადამიანები ქუჩაში და სამსახურში უფრო ფრთხილად და ყურადღებით იქცევიან, ვიდრე შინ ან შვებულებაში. ამიტომ ავსტრიაში წელიწადში საშუალოდ 1400 კაცი იღუპება ავტოავარიებში, და 2000 კაცი სახლში უბედური შემთხვევის გამო.

* * *



სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) ბიოლოგებმა დაადგინეს, რომ თაგვების დაჭერისას ბუ სმენას კი არა, მხედველობას ენდობა.

* * *

ჩვენი გალაქტიკის ყველაზე შორეული ვარსკვლავი აღმოაჩინეს ამერიკელმა ასტრონომებმა. იგი ჩვენგან 160000 სინათლის წელიწადითაა დაშორებული. აქამდე ითვლებოდა, რომ ჩვენი გალაქტიკის ზომა 100000 სინათლის წელიწადს არ აღემატებოდა.

* * *

ერთმა კანადელმა პროგრამისტმა ანეკდოტების კომპიუტერული ბანკი შექმნა. ამჟამად მასში ათასზე მეტი ანეკდოტია და მას სატელეფონო ხაზით შეიძლება შეუერთდეთ პერსონალური კომპიუტერის მეშვეობით.

* * *

ლონდონის პოლიციისთვის ავტომობილი „ლენდროვერი" ამფიბიად გადააკეთეს. წყალში იგი საათში 13 კმ-ს გადის.

მოამზადა

რუსუდან ამირეჯიბმა

# მინდა „წიგნები ვიკითხო“



როგორც ჩანს, აშშ-ში ახალი ანტისატელევიზიო მოძრაობა დაიწყო. „ცისფერ ეკრანთან“ ბრძოლის ერთ-ერთმა ინიციატორმა, ჩიკაგოელმა ჯინ ლოტუსმა ჟურნალ „თეთრი წერტილის“ გამოცემა დაიწყო, რომელიც მონოდებულია, აღმოფხვრას ხალხში ტელევიზორის ყურების მავნე ჩვევა. ეს საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან, ბევრი მშობლისთვის ტელევიზორი მისწრებაა, როცა მათ ბავშვებისგან დასვენება სურთ. ჯინს თავადაც ჰყავს ერთი წლის შვილი, რომელსაც თვალითაც არ უნახავს „ყუთი“.

ამერიკელი პოლიტიკოსები სულ უფრო და უფრო იშვიათად უყურებენ ტელევიზორს და ბევრ ქვეყანაში განათლებული ადამიანები იშვიათად რთავენ მას. ეს მოდურიც კი გახდა. ისინი ამბობენ: მომაშორეთ ტელევიზორი, მინდა წიგნი წავიკითხო.

# ათასწლეულის ვირუსი

ამერიკის კონგრესის ერთ-ერთმა კომიტეტმა განიხილა პრობლემა, რომელიც მომდევნო საუკუნის დასაწყისში შესაძლოა მსოფლიო ქაოსის მიზეზად იქცეს. საქმე სრულებითაც არ ეხება სამხედრო დაჯგუფებების გაძლიერებას ან ბირთვული იარაღის გავრცელებას. პრობლემას კიბერნეტიკული ხასიათი აქვს და მას „ათასწლეულის ვირუსი“ ეწოდება.

ქვეყნიერების დასასრული არაერთხელ უწინასწარმეტყველებიათ, მაგრამ ახლა მეცნიერებიც ადასტურებენ, რომ 2000 წლის 1 იანვარს მართლაც მსოფლიო მასშტაბის კატასტროფაა მოსალოდნელი. წლების მანძილზე წლის აღსანიშნავად პროგრამისტები ორციფრიან ველს იყენებდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „1996“ წელს კომპიუტერი იცნობს, როგორც „96“-ს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი საუკუნის დასაწყისში კომპიუტერთა უმრავლესობა „2000 წელს“ წაიკითხავს როგორც „1900“. ეს პრობლემა თუ არ გადაიჭრა, შეიძლება აღმოცენდეს ვირუსი, რომელიც ერთდროულად მრავალ კომპიუტერს შეეყრება ბევრ ქვეყანაში. ზოგი კომპიუტერი გაჩერდება, სხვები კი არასწორ ინფორმაციას მოგვცემენ. საფრთხე ყველაფერს დაემუქრება: კომპიუტერებს, რომლებიც პერსონალურ საბანკო ანგარიშებს ბეჭდავენ და იმ კომპიუტერებსაც, რომლებსაც ამერიკელი სამხედრო სტრატეგები იყენებენ.

აშშ-ის კონგრესის კომიტეტმა ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო და დაასკვნა, რომ კომპიუტერული სისტემების გადაკეთება მარტო აშშ-ის მთავრობას 30 მილიარდი დოლარი დაუჯდება. თუკი არაფერს მოიმოქმედებენ, კატასტროფა გარდაუვალია, რომელიც შეეხება როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო სექტორსაც.



მოამზადა

რუსუდან ამირეჯიბმა

„პინგვინი“ — 96

# აბიტურიენტების დასახმარებლად

გაზეთ „კავკასიონის“ რედაქციის თანამშრომლებს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე მონაწილეობის დიდი გამოცდილება გვაქვს. ამჯერად, გადავწყვიტეთ, ჩვენი გამოცდილება აბიტურიენტებს გავუზიაროთ. კერძოდ, ვაქვეყნებთ ნაწყვეტებს (ეგრეთ წოდებულ „მარგალიტებს“) საგამოცდო ნაწერებიდან, ნიმუშად იმისა, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს საგამოცდო თხზულება.



■ „ისევე, როგორც ილია აკაკიც იყენებდა თავის კალამს, როგორც იარაღს და დაუნდობლად ურჭობდა მტერს. უწყინარი ჩონგურიც კი მის ხელში მძვინვარე ავტომატზე დაუნდობელ საშუალებად იყო ქცეული... (იქვე) სისხლმოწყურებული პოეტი ოცნებობდა იმ დროზე როდესაც მტრის სისხლში ბანაობის საშუალება მიეცემოდა.“

■ „იქ, სადაც თოვლითა და ყინულით დაფარულ დიდებულ მყინვარს ორბნი და არწივნი ვერ სწვდებიან და მათი ჟრიამული მყუდროებას ვერ არღვევს, იყო გამოქვაბული, რომელსაც ბეთლემს უწოდებენ დღესაც. ძველად აქ იკრიბებოდნენ სხვადასხვა ჯურის უსაქმურები, რომელნიც გაურბოდნენ ჯანსაღ ცხოვრებას და ამ საშინელ სიცივესა და მდუმარებაში იაფასიანი სასნაულებით ერთობოდნენ.“

■ „ასტამი — რა ძვირფასი და სათუთია ეს სურნელოვანი სიტყვა — იგი ხომ უმანკო დედოფლის სისხლით არის მოსვრილი. იაკობ ცურტაველს მხოლოდ ეს ერთი სიტყვა რომ დაეწერა, მისი სახელი მაინც სამარადჟამოდ დარჩებოდა ქართული მწერლობის ისტორიაში. ასტამი ხომ ნათელი დადასტურებაა იმ დიადი კულტურისა, რომელიც ქართველი ხალხის უჭკნობმა გენიამ შექმნა.“

■ „ქვიშა, ქვიშა და მხოლოდ ქვიშა... ასეთ ტროპიკულ უდაბნოდ იყო ქცეული საქართველო გრიგოლ ხანძთელის დროს. ამგვარ პირობებში საუცხოოდ გრძნობდნენ აქლემებზე ამხედრებული არაბები, მაგრამ ძალიან უჭირდათ ანკარა წყაროებს მიჩვეულ ქართველებს. სწორედ ასეთ უდაბნოში ააშენა გრიგოლ ხანძთელმა დიდებული ქალაქი ტაო-კლარჯეთი.“

■ „ვაჭართუხუცესის მეუღლე ფატმანი ქერივი იყო, მიუხედავად ამისა იგი განუწყვეტლივ ღალატობდა ქმარს, რომელსაც ისეთი სახე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა.“

■ „მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ბუმბერაზმა მოღვაწემ მიჯაჭვული ამირანის მსგავსად მისთვის საძულველ მყინვარწვერზე თამამად აღმართა ბრძოლის დროშა, რომელზეც ეწერა: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

■ „პირსისხლიანი ბასილი კეისარი ცდილობდა ბულგარელების გადასანსვლას, რომელთაც სხვა ერების მსგავსად საქართველოში ეპოვათ თავშესაფარი, მაგრამ გიორგის კარგად ესმოდა, რომ ბულგარელების გადასანსვლა მხოლოდ მიზეზი იყო და ძაღლთაპირ კეისარს სინამდვილეში ტურფა საქართველოს დაპყრობა სურდა.“

■ „ჩვენდა სამწუხაროდ პირველივე ქართული ნაწარმოების გმირი მოღალატე და ავადმოსახსენებელი პიროვნებაა. მან შეარცხვინა და ვერ გაამართლა ძველი ქართული ანდაზა: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“.

■ „ქალმა სთხოვა განდეგილს ეჩვენებინა მისთვის როგორ აყრდნობდა წიგნს მზის სხივებზე, განდეგილმა ეს ვერ შესძლო და გამწარებული შურდულივით გადაეშვა ქარაფიდან, ხოლო რა ბედი ეწია მწყემს ქალს ეს საიდუმლოდ დარჩა, თუმცა ილიას სჯეროდა რომ მომავალი თაობა შესძლებდა მის ამოცნობას და პოემის დედააზრის გასიგრძეგანებას.“

■ „მთელი ქართული მწერლობა თამამად შეიძლება შევადაროთ კავკასიონს თავისი ცადატყორცნილი მწვერვალებით, მხოლოდ შ.რუსთაველია გამონაკლისი, რომელიც თავისი მასშტაბებით კავკასიონს სცილდება და მხოლოდ პიმალაებს თუ შეედრება.“

## კროსვორდი

თარაზულად: 1. XIX ს. ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი; 7. წყლის ხერხემლიანი ცხოველი, რომელიც ლაყუჩებით სუნთქავს; 10. უმდაბლესი წოდება ძველ ინდოეთში; 11. კაწის მძიმე, გადამდები დაავადება; 12. განცხადება ან ლოზუნგი, რომელიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოზე ზემოქმედებას; 13. პერუელი ... ძველი იარაღი; 14. ქვის ხანის ბოლო ეპოქა; 16. საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი; 19. წითელი ფერის მინერალი; 22. ინდოელი მოჭადრაკე; 23. ირლანდიის პრეზიდენტი; 28. ნატოს გენერალური მდივანი; 29. ევროპის სახელმწიფო; 30. მრავალსერიანი ფილმის „სანტა-ბარბარას“ პერსონაჟი; 31. უცხოური საავტომობილო ფირმა; 32. მტაცებელი ცხოველი; 35. ჩასაბერი საკრავი; 37. დისციპლინა, რომელიც სწავლობს ადამიანური კულტურის საერთო კანონზომიერებებს; 38. მოხელე, რომელიც დაკავებულია საქმის წარმოებით ან ანგარიშების შედგენით; 40. გალლობილ ნიადაგზე შემხმარი ან გაყინული ნავალი; 43. სპორტის სახეობა; 49. მონეტის, მედლის უკანა მხარე; 50. ოთხტაეპიანი ლექსი; 51. ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი; 52. ჯუჯა არსება დასავლეთევროპულ მითოლოგიაში; 53. ქალაქი საფრანგეთში; 54. სახელმწიფოს სახმელეთო შეიარაღებული ძალები; 55. იტალიელი კინომსახიობი.

ვერტიკალურად: 1. ყაჩაღთა და მძარცველთა ბრბო; 2. იტალიელი არბიტრი, სჯიდა თბილისის „დინამოსა“ და იენის „კარლ ცეისის“ მატჩს; 3. სიახლის შიში, შაბლონის დაცვა; 4. ორი შემსრულებლის ცეკვა კლასიკურ ბალეტში; 5. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 6. ყველის სახეობა; 8. რაიმე ცნების პირობითი გამოსახულება; 9. ბერძნული სამყაროს ერთ-ერთი უძველესი მხარე მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროსთან; 15. ფრჩხილის ქვეშ ინფექციის შეჭრით გამოწვეული თითის ანთება და დაჩირქება; 17. სატირული სიმღერა დასავლურ კომიკურ ოპერებსა და მუსიკალურ წარმოდგენებში; 18. ბიბლიური პერსონაჟი; 20. ინგლისელი მწერალი; 21. სხვადასხვა ავტორის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული; 24. სახელმწიფო აფრიკაში; 25. ტროპიკული ხე, რომლის თესლისგან მზადდება შოკოლადი; 26. ზღვის ან მდინარის მიუდგომელი, კლდოვანი ნაპირი; 27. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების პერსონაჟი; 33. მსუბუქი ნამცხვარი; 34. გემის კურსი ქარის მიმართ; 36. წვრილი ქვა; 39. რაიმეს მარაგი; 41. ქალაქი იტალიაში; 42. ავსტრიელი კომპოზიტორი; 44. ნივთი, საგანი; 45. ცომის მოსაზელი ჭურჭელი; 46. ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 47. ბელურების ოჯახის ყანის ჩიტი; 48. პოეტ-მომღერალი ძველ კელტურ ტომებში.







რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

მორიგე რედაქტორი დავით კახაბერი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.

ბიბლიოთეკა

## საქართველო

### „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ ახალი თავმჯდომარე აირჩიეს

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, წესდების თანახმად, აირჩიეს ვანო ჩხარტიშვილი.

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ საზოგადოებრივი ცენტრის ვიცე-პრეზიდენტის იმედა დვალიძის განმარტებით, ბანკის წესდების მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ერთი წლის ვადით ირჩევა ბანკის თანათავმჯდომარეთაგან. რიგითობა განისაზღვრება კონსესუსით.

ბანკის ამჟამინდელი თავმჯდომარე თამაზ მაღლაკელიძე თანათავმჯდომარის პოსტს დაიკავებს.

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ საზოგადოებრივი ცენტრი

## დედაქალაქი

### თბილისის ზღვას წყალი მიეწოდება

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის საცხენისის ჰიდროკვანძზე მეწყერული პროცესების განვითარების შედეგად ავარიული მდგომარეობა შეექმნა სწრაფმდენსა და სადაწნეო მილსადენს, რომელიც აშენებულია 1962 წელს და ერთ-ერთ უნიკალურ საინჟინრო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენს.

მოსალოდნელი ავარიით შესაძლებელი კატასტროფული შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ზემო მაგისტრალურ არხს შეუწყდა სარწყავი წყლის მიწოდება, რითაც ეჭვქვეშ დადგა წლევანდელი მოსავლის მიღების შესაძლებლობა გარდაბნის რაიონის ათასობით ჰექტარი სავარგულებიდან. მოსალოდნელი იყო, აგრეთვე, შეფერხებები თბილისის სასმელი წყლით მომარაგებაში.

მეწყერული პროცესების შესწავლისა და სალიკვიდაციო ღონისძიებების შესამუშავებლად შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, წამყვანმა სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებმა და ცნობილმა სპეციალისტებმა. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი.

სხვადასხვა ვარიანტის განხილვის და შეჯამების შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: წლევანდელი მოსავლის გადასარჩენად, ექსტრემალურ პირობებში, უმოკლეს ვადაში განხორციელებულიყო არსებული ნაგებობების საავარიო-აღდგენითი დროებითი ღონისძიებები. ამასთან, პარალელურად მიმდინარეობს ტერიტორიის დეტალური გეოლოგიური შესწავლა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს შემდგომში კაპიტალური ღონისძიებების ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებას, რომელიც 1997 წელს უნდა განხორციელდეს.

საავარიო-აღდგენითი სამუშაოები კონცერნ „საქგვირაბმშენის“ გამოცდილი სპეციალისტების მონდომებითა და თავდადებით წარიმართა და დათქმულ ვადაში — 6 ივლისს სწრაფმდენის აღდგენა დამთავრდა. გახსნა კი 6 ივლისს შედგა.

ამჟამად, სარწყავი წყალი სისტემაში გაშვებულია და მიეწოდება 20 ათას ჰა-ზე მეტ სავარგულებს, თბილისის ზღვას და საგარეჯოს.

მაკა შანიძე

## მართლმსაჯულება

# «იაპონჩიკი» ამჯერად ამერიკის ციხეში მოიხდის სასჯელს

გუშინ ნიუ-იორკში დასრულდა ვიაჩესლავ ივანკოვის („იაპონჩიკის“) სასამართლო პროცესი, თუმცა, ჯერ კიდევ ორშაბათს არავის ჰქონდა მისი ასე ადრე დამთავრების იმედი, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურ სასამართლოში რუსეთის დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის „საქმის გარჩევა“ წელიწადზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. ჭექა-ქუხილს „იაპონჩიკის“ თავზე, თითქოს, არაფერი მოასწავებდა — ივანკოვი და მისი გარემოცვა თამამად „ცვლიდნენ“ სხდომების დროს რეპლიკებს ადვოკატებთან და თუ რაიმე სიახლეს ელოდნენ, ეს საკითხის დადებითად გადაწყვეტა იყო.



ბრალდებულთა თავზე „ღრუბლების შეყრა“ გუშინ ადგილობრივი დროით საღამოს ხუთ საათზე დაიწყო. როგორც წესი, მოსამართლეები ამ დროს ამთავრებენ მუშაობას და სხდომას მეორე დღეს აგრძელებენ, სამშაბათს კი სათათბიროდ გასული ნაფიცი მსაჯულნი კარგა ხანს დარბაზში აღარ დაბრუნებულან. ბოლოს მოსამართლემ გამოაცხადა: „დღეს გამოცხადდება განაჩენი“.

სასამართლოს ყველა წევრი ერთსულოვანი იყო ბრალდებულთან მიმართებაში — გაისმა სიტყვა: „დამნაშავეა!“ ივანკოვის ორ თანამონაწილეს პირდაპირ სასამართლო დარბაზში დაადეს ხელბორკილები. ახლა მათ „იაპონჩიკთან“ ერთად კიდევ რამდენიმე კვირის ლოდინი მოუწევთ, ვიდრე მოსამართლე კეროლ ეიმონი სასჯელის ზომას გამოაცხადებს.

ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, რუს მაფიოზს 10-დან 20 წლამდე პატიმრობა ელის.

მამუკა ალთუნაშვილი

## ჩეჩნეთი

# შემოიღეს კომენდანტის საათი

პირველი გვერდიდან

გუშინ, 18 საათზე კი ვადა გაუვიდა ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების ხელმძღვანელის ვიაჩესლავ ტიხომიროვის ულტიმატუმს, რომლის თანახმადაც, თუ ჩეჩენი მებრძოლები ამ დროისთვის არ გაათავისუფლებდნენ დაკავებულ ხალხს, მაშინ „ბოევიკების“ მიმართ გატარებული იქნებოდა „ადეკვატური ზომები“. რუსი სამხედროების ხელმძღვანელმა ჩეჩნეთის ოპოზიცია ნაზრანში მიღწეული შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა.

„მე ვუცხადებ ზელიმხან იანდარბიევს, რომ ცხრა საათისთვის მან განმარტება უნდა მომცეს ყველა ფაქტზე, ხოლო 18 საათისთვის დაუყოვნებლივ დააბრუნოს გროზნოში დაკავებული ხალხი, პირველ რიგში, ქალები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული იქნება საპასუხო კონტრღონისძიებები“, — მძვინვარებდა ტიხომიროვი.



ჯოხარ დუდაევის პოლიტიკურ მემკვიდრეს რუსების მოთხოვნაზე პასუხი არ გაუცია, რის შემდეგაც დღეიდან, ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე კომენდანტის საათი გამოცხადდა, რომელიც საღამოს ცხრა საათიდან დილის ხუთ საათამდე იმოქმედებს.

ტიხომიროვმა თავისი მუქარა მალევე შეასრულა: გუშინ, დღის მეორე ნახევარში, ფედერალურმა ძალებმა განახორციელეს სამხედრო ოპერაცია საბრძოლო ვერტმფრენების გამოყენებით, მოახერხეს „უსაფრთხოების დერეფნის“ ორგანიზება და მძევლად აყვანილი ქალების ტყვეობიდან გამოხსნა.

მსხვერპლის შესახებ საინფორმაციო საშუალებები არ იტყობინებიან.

თამარ ლაბაძე

## ისლამი და პოლიტიკა

# ისლამისტები — ხელისუფლების სათავეში



ბოლო პერიოდში მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში თურქეთი აღმოჩნდა, სადაც ორშაბათს პრემიერ-მინისტრ ნეჯმეთინ ერბაქანის ისლამისტურმა კოალიციამ პარლამენტში ნდობის ვოტუმი მოიპოვა. ეს პირველი შემთხვევაა ბოლო 73 წლის განმავლობაში, როდესაც ისლამისტები ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. თუმცა, ერბაქანისთვის ადვილი არ უნდა იყოს ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნა — მართალია, მან ორშაბათს გაიმარჯვა, მაგრამ პარლამენტის წევრთა საკმაოდ დიდი რაოდენობა მაინც ოპოზიციაში უდგას. ერბაქანმა, გარკვეული მიზეზებით, პოლიტიკური კარიერის გასამტკიცებლად, უკვე ზურგი აქცია მისი „კეთილდღეობის პარტიის“ წინასაარჩევნო პროგრამის ზოგიერთ რადიკალურ პრობლემას (კერძოდ, თურქეთის არმიის საკითხს).

ქვეყნის პოლიტიკოსები ფხიზლად არიან და გამოთქვამენ შიშს, რომ თურქეთის ამჟამინდელი პოლიტიკური მდგომარეობა თვალსაჩინოა და იგი მომავალში, შესაძლოა, შეიცვალოს — ნეჯმეთინ ერბაქანს სურს, რომ ისლამისტებმა სრული დომინირება მოახდინონ თურქეთის ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტზე.

# „რელიგიური აგრესია“ რუსეთში — ბრძოლა გრძელდება

წამყვანი პოლიტოლოგების აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისლამური ფუნდამენტალიზმი მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროსთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხეა. მისი ლოზუნგი — „არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი“ — ბრძოლით იმკვიდრებს ადგილს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: „სარწმუნოებისთვის მებრძოლნი“ მზად არიან, სიცოცხლე გაწირონ მსოფლიოში ისლამის დასამკვიდრებლად. ისლამისტი ფანატიკოსები, ამავე დროს, შეიარაღებულ ბრძოლას კარგად უთავსებენ „გონებრივი პოტენციალის გადაბირების“ ტაქტიკას.

ამ მიმართულებაზე განსაკუთრებითაა აქცენტი გადატანილი ნეიტრალურ მუსლიმანურ ქვეყნებზე, მათ შორის, რუსეთზე. მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ჩათრეული აღმოჩნდა ისლამისტ ფუნდამენტალისტებთან ბრძოლაში ავღანეთში, ტაჯიკეთში და ჩეჩნეთში.

ამიტომ აგრესიულად განწყობილი ისლამისტებისთვის ყურადღების ობიექტად იქცნენ დეიდეოლოგიზებული რუსეთის მუსლიმანები, რომლებიც ცდილობენ, ახალ დემოკრატიულ ტალღაზე აღორძინონ წინაპრების ეროვნული და რელიგიური ტრადიციები. ორიოდოქსების აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლამ შექმნა წინაპირობა ძველი ოცნების — „მუსლიმანური ჩრდილოეთის“ დასაარსებლად, რომლის დანიშნულებაა ვოლგისპირეთის და ჩრდილო კავკასიის დანარჩენ ისლამურ სამყაროსთან გაერთიანება. შიიტური და სუნიტური ფუნდამენტალისტური ძალების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ბაზას, ძირითადად, ირანი და საუდის არაბეთი წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთისა და დსთ-ს მუსლიმანების უმრავლესობა სუნიტები არიან, ფუნდამენტალიზმის იდეის განვითარება პოსტსაბჭოურ სივრცეში ახლო აღმოსავლეთში არსებული საზოგადოებრივი და რელიგიური მუსლიმანური ორგანიზაციების მეშვეობით ხდება.

„ისლამური მოწოდებისა და გადარჩენის მსოფლიო საბჭო“ არის ერთ-ერთი უდიდესი რელიგიური ცენტრი, რომელიც პროპაგანდას უწევს „წმინდა“ ისლამის იდეას (ცენტრის შტაბ-ბინა კაიროშია). ეს ცენტრი ისლამის პროპაგანდის ხელშემწყობ საშუალებებს ამუშავებს მსოფლიოს ყველა რეგიონში ამუშავებს. იმ მუსლიმანებს შორის, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ, საბჭოს ფუნქციონერების მიერ სპეციალურ ცენტრებში ირჩევა კანდიდატები შემდგომი სწავლებისთვის. მომავალში ისინი აგიტატორებად იგზავნებიან იმ ქვეყნებში, სადაც მუსლიმანები რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ. მუსლიმანების უმრავლესობა, რომლებიც ისლამურ პროპაგანდისტულ ცენტრებში სწავლობენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ.

კერძოდ, ჩეჩნეთის ომის დაწყებისთანავე საუდის რელიგიური წრეების წარმომადგენლებმა, ერ-რიადის ხელშეწყობით, ფართომასშტაბიანი კომპანია გაშალეს, მუსლიმანური საზოგადოების დეზინფორმაციის მიზნით. უპირველეს ყოვლისა, აქცენტი გაკეთდა კონფლიქტის ხასიათზე და მიზეზებზე — თითქოს, ჩეჩნეთი პირველი სახელმწიფოებრივ-მუსულმანური წარმონაქმნია, რომელიც გამოვიდა რუსეთის დაქვემდებარებიდან და ებრძვის მართლმადიდებლობას.

პროპაგანდისტული მიზნებით იქნა გამოყენებული ჰაჯი — წმინდა მუსლიმანური ადგილების მონახულების რიტუალი. 1996 წ. მაისში ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან ჰაჯის შესასრულებლად ჩასული, 181-კაციანი ჯგუფი წარმოდგენილი იყო, როგორც ჩრდილო კავკასიის რეგიონში რუსეთის რელიგიური აგრესიის მსხვერპლი. სამშობლოში დაბრუნებული ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მუსლიმანები, შედეგად, რადიკალური ისლამური იდეოლოგიის გამავრცელებლები გახდნენ.

საუდის ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ რუსეთის მუსლიმანების რელიგიურ განათლებას. ფონდი „იბრაგიმ ალ-იბრაგიმი“, საუდის არაბეთის ისლამის საქმეების სამინისტროსთან ერთად, რუსეთის სხვადასხვა რეგიონში ისლამის თემატიკის პროგრამით გათვალისწინებულ სემინარებს აფინანსებს, 1996წ. ზაფხულში ასეთი სემინარები გაიმართა ყაზანში, უფაში, ტიუმენსა და სარატოვში. ამას გარდა, სამინისტრო აფინანსებს რუსეთის 60 მუსლიმანი სასულიერო პირის სწავლას ერ-რიადის ისლამურ უნივერსიტეტში. აღნიშნული პირები, ძირითადად, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდან არიან.

ისლამური რელიგიური განათლების ქსელის გაფართოების გარდა, საუდიელები იდეოლოგიურად დაქვემდებარებულ მუსლიმანურ ორგანიზაციებს აფინანსებენ რუსეთში.

1996წ. ზაფხულში მოსკოვში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „რუსეთის მუსლიმანების კავშირი“. მის ამოცანებში შედის: დაქუცმაცებული მუსლიმანური ორგანიზაციების გაერთიანება და მათი უფლებების დაცვა, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, მუსლიმანების (მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად) შეყვანა სამთავრობო და საპრეზიდენტო სტრუქტურებში. ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ახმედ ხალიტოვი, რომელსაც ჟირინოვსკის პარტიაში ერთ დროს ნომერი 2 პაჭბილეთი ჰქონდა. თანათავმჯდომარედ არჩეულ იქნა დაღესტანში რელიგიური განყოფილების უფროსი ნადირ ხაჩილაევი, რომელიც რადიკალური შეხედულებებითაა ცნობილი. 1996 წ. მარტში მან მახაჩყალაში ჩაატარა ისლამური კონფერენცია „ჯიჰადი“, რომლის მონაწილეებმა დაღესტნისა და, საერთოდ, რუსეთის ტერიტორიაზე წმინდა ომი გამოაცხადეს და განაცხადეს, რომ ამ ნაბიჯს ქვეყნის სულიერი განწმენდა მოჰყვება.

საუდიელების გარდა, ამ საქმეში „დიდი წვლილი“ შეაქვთ კუვეიტის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით მყარი პოზიციები უკავია „მსოფლიო ისლამურ საქველმოქმედო ორგანიზაციას“, რომლის შტაბბინაც ელ-კუვეიტში იმყოფება.

ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიზანი იყო საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ისლამის პოპულარიზაცია, გაჭირვებული მუსლიმანების სულიერი და მატერიალური დახმარება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. პრაქტიკულად კი, ქველმოქმედებას ამოფარებული ეს ორგანიზაცია ეწევა მიზანმიმართულ პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა, განსაკუთრებით იმ საკითხების გაშუქებაში, რომლებიც ბოსნიის, ტაჯიკეთის და ჩეჩნეთის პრობლემებს ეხება. მისი ორგანიზატორების აზრით, ასეთი მოქმედებები უცხო ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე, არაბული ნაციის ინტერესებიდან გამომდინარე, გავლენის მოხდენის საშუალებას იძლევა.

დღესდღეობით, „მსოფლიო ისლამური საქველმოქმედო ორგანიზაცია“ სხვა ორგანიზაციებთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში ისლამური სკოლების ქსელს აყალიბებს. ხდება მეჩეთების მშენებლობების დაფინანსება, გამოჩნდნენ სპონსორები რელიგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში.

აღსანიშნავია, რომ კუვეიტის ისლამური მოძრაობისა და საქველმოქმედო ფონდების აქტიური მოღვაწეობა ძლიერ აღაშფოთებს თვით კუვეიტის სხვაც სამსახურებსაც, რომლებიც ადრე ლოიალურად უყურებდნენ მათ საქმიანობას. არცთუ დიდი ხნის წინ, ეგვიპტის სამართალდამცავმა ორგანოებმა კუვეიტს დამადასტურებელი დოკუმენტაცია იმის წარუდგინეს შესახებ, რომ კუვეიტში საქველმოქმედოდ შეგროვებული სახსრები საზღვარგარეთ ფუნდამენტალისტური დაჯგუფებებისა და მათი რადიკალური მიმდინარეობების მიერ უცხო ქვეყნების კანონიერი მთავრობების წინააღმდეგ გამოიყენება. არც ისაა გამორიცხული, რომ მსგავსი პრაქტიკა გამოიყენება რუსეთშიც, რომელმაც ბოლო პერიოდში თვითონ დაინახა და გამოსცადა ისლამური ექსტრემიზმის რეალური ძალა.

ასე რომ, „ჯიჰადი“ გრძელდება...

მოამზადა

ირინა გეჯაძე

**ძნელია საქართველოში ხელმძღვანელის დასახელება, რომელიც ისეთ გავლენას ახდენდეს თავის რეგიონზე, როგორსაც თეიმურაზ შაშიაშვილი იმერეთზე. თვალის ერთი გადავლებით ძნელია იმის შეფასება, რაც ქუთაისში ხდება, მაგრამ რამდენიმე დღის წინ შაშიაშვილთან სტუმრობამ გარკვეული წარმოდგენები მაინც შექმნა. მაშ ასე, რა ხდება იმერეთში?**

# სოციალისტური მეთოდებით კაპიტალიზმისკენ

# ანუ შაშიაშვილისეული „საბაზრო ეკონომიკა" მოქმედებაში

## ბიუჯეტი ვერ შესრულდა, სამაგიეროდ...

ქუთაისმა ვერ შეასრულა ნახევარი წლის ბიუჯეტის გეგმა, თუმცა, ქალაქის მერი მაინც კმაყოფილია. „ბიუჯეტი წარმომიდგენია, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, მოსახლეობის სოციალური დახმარების, ეკოლოგიის დაცვის მექანიზმი. მეხვეწებოდნენ, რომ დაბალი ბიუჯეტი ამეღო, 6-7 მილიონი, მაქსიმუმ — 10 მილიონი ლარის ფარგლებში, მაგრამ არ დავთანხმდი და შეგნებულად ავიღე მაღალი ბიუჯეტი", — ამბობს თეიმურაზ შაშიაშვილი. ქალაქში ტრიალებს საკმაო რაოდენობის ფული, — მიაჩნია მერს, — რომელიც დაბალი ბიუჯეტის პირობებში კორუფციის აყვავებას შეუწყობდა ხელს. ახლა კი ფულის მოზრდილი ნაწილი ბიუჯეტში მიდის, რადგან ყველა იძულებულია, მთელი ძალით იზრუნოს გეგმის შესრულებაზე. „სახელმწიფოს მხოლოდ ერთი ჯიბე უნდა ჰქონდეს — ბიუჯეტი", — ამბობს შაშიაშვილი. ექვს-შვიდ მილიონიანი ბიუჯეტის შესავსებად ქუთაისს არც მერი სჭირდებოდა და არც საგადასახადო, თავისთავად შეივსებაო, — მიაჩნია მას და ჩამოთვლის მაღალი ბიუჯეტის უპირატესობებს: იმის მაგივრად, რომ მასწავლებლებს 7-10 ლარი ხელფასი ჰქონოდათ, დღეს ისინი საშუალოდ ორმოცდაათ ლარს იღებენ, აქედან, მინიმუმი ცხრამეტნახევარი ლარია, მაქსიმუმი კი ორასამდეც აღწევს; უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა საშუალო ხელფასი ასი ლარია, თეატრის მსახიობების — 100-150 ლარი, პენსია — 18 ლარი, ყოველთვე ყველაზე გაჭირვებულ ადამიანებს 6-10 ლარი ურიგდებათ და ასე შემდეგ. „მე თვითონ საშუალოდ, თვეში სამოციდან ას ლარამდე გამომდის ხელფასი და არ მესმის იმ ხელმძღვანელი მუშაკების, რომლებიც ათ და ოც ლარზე მუშაობენ", — ამბობს შაშიაშვილი.

წლის პირველ ნახევარში ქალაქში კულტურული პროგრამების დაფინანსებას 654 ათასი ლარი მოხმარდა, მილიონ ხუთას ორმოცი ათასი ლარი — განათლებას, საბავშვო ბაგა-ბაღებში შვიდი ათასი ბავშვი სწავლობს უფასოდ. ბიუჯეტი რომ დაბალი ყოფილიყო, განათლების სფეროში ამ თანხის ნახევარი უნდა დახარჯულიყო, კულტურაში — მეათედი. ასე რომ, თუმცა ბიუჯეტი ვერ შესრულდა, სამაგიეროდ, ქუთაისი მაინც სხვებზე წინაა — მიაჩნია შაშიაშვილს.

## ცივილიზებული გზით მიმავალი ქუთაისი ანუ ევროპული ყაიდის ეროვნული ქალაქი

თემურ შაშიაშვილის ეს პროგრამა-მაქსიმუმი კარგადაა ცნობილი ყველა ქუთაისელისა და არა მხოლოდ მათთვის, მაგრამ ქალაქის მერის დაუდგრომელი ხასიათის წყალობით, პროგრამა ხშირად განიცდის ცვლილება-შევსებებს. ქუთაისელები იმასაც კი ამბობენ, ამერიკაში ყოფნის შემდეგ შაშიაშვილმა მოითხოვა, ქუთაისელმა პოლიციელებმა ზაფხულში შორტებით იარონო და თან შიშობენ: წელს ჩვენი მერი ვენეციაში მიდის და, ვაითუ, ჩამოსვლის შემდეგ რიონის დატბორება მოინდომოს და ყველას ნავები გვაყიდინოსო.

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ შარშან გამართული ქუთაისური დღეების შემდეგ შაშიაშვილმა გამოაცხადა: ერთადერთი, რაც უცხოელებს ჩვენთან არ მოეწონათ, სველი წერტილებია და მომდევნო წელი მათი მშენებლობა-კეთილმოწყობის წელი უნდა იყოსო. არ ვიცი, ქალაქში რა წარმატებით ხორციელდება ეს პროგრამა, თვითონ ქალაქის მერიაში კი ამ მხრივ, რაიმე სერიოზული ცვლილება არ შეინიშნება.

სამაგიეროდ, წარმატება სხვა სფეროებშია მიღწეული: ქალაქში, ფაქტობრივად, აღარ არის გარე ვაჭრობა, თითქმის არ დარჩა ჯიხურები, მინიმუმამდე შემცირდა ბაზრების რაოდენობა. მართალია, ამით ქალაქის ბიუჯეტმა იზარალა, სამაგიეროდ, ქუთაისში ბევრად უკეთ კონტროლდება გასაყიდი სურსათის ხარისხი და ეკოლოგიური სისუფთავე, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. „ქუჩის მოვაჭრეებს, მთელი ქვეყანა რომ უჭერს მხარს, მე მხარს ვერ დავუჭერ. როცა ქუთაისში არ იქნება არც ერთი ბაზრობა, შემოსავლები მეტი იქნება. ბაზრობაზე ყველაფერი ალურიცხავია, ეს ქვეყნისთვის უბედურებაა, ხალხის შეგნებული მოწამვლაა. ჯიხურები წარსული საუკუნეა, თურქეთში ახლა დაიწყეს მათი აღება. უცხოეთში თუ სადმე ჯიხური დგას, იქ ყველაფერი მოწყობილია საამისოდ — აქვთ მაცივარიც, კონდიციონერიც, სველი წერტილიც", — ამბობს ქალაქის მერი.

აკრძალულია ეთილირებული ბენზინის გაყიდვა, არც მანქანიდან ან კონტეინერიდან ვაჭრობაა დაშვებული. „ჩვენ ცივილიზებული გზით ნავედით", — მიაჩნია შაშიაშვილს. მისი თქმით, იგივე მდგომარეობაა საავთიაქო კანონმდებლობაშიც. „ეს არის ყველაზე ცივილიზებული გადაწყვეტილება, მსგავსი არც გვინახავსო", — უთქვამთ ამერიკელ ექსპერტებს, თუმცა, ქუთაისელთა გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ზოგადქართულ კანონმდებლობას. „შესაბამის კანონს ოქტომბერში მივიღებთ, მანამდე კი, მართლები ხართ, მაგრამ უფლება არა გაქვთ თქვენი გადაწყვეტილება ცხოვრებაში გაატაროთო", — ეუბნებიან ქუთაისელებს.

## „ცივილიზებული პროფკავშირი" და მოქალაქეთა უფლებების დაცვა

„მე მივესალმები გააქტიურებულ, თანამედროვე, ცივილიზებულ პროფკავშირს, რომელიც მოქალაქეთა ინტერესებს დაიცავს", — ამბობს შაშიაშვილი და თან პროფესიული გაერთიანებების მოქმედების სფეროსაც განსაზღვრავს: პროფკავშირებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ მოქალაქეთა სამუშაო დღე რვა საათს არ აღემატებოდეს, მინიმალური ხელფასი კი ორმოცდაათ ლარს არ ჩამოუვარდებოდესო. ამ „მთავარ ციფრს" — ორმოცდაათ ლარს — თვითონ ქალაქის მერი აკონტროლებს ყოველი თვის ოცდახუთ რიცხვში პირდაპირი ტელეგადაცემების საშუალებით. ქუთაისელ დამოუკიდებელ ექსპერტებს გამოუთვლიათ, რომ ორმოცდაათ ლარად ადამიანს თავის რჩენა შეუძლია და ამის მიხედვით დაუდგენიათ მინიმალური ხელფასი.

მოქალაქეთა უფლებების დაცვა საჭიროა, მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შაშიაშვილის მოთხოვნები, იქნებ, ცოტა მკაცრადაც მოგვეჩვენოს: თუკი რომელიმე გაუბედურებული წარმოება, ან ახლადფეხადგმული მეწარმე და მისი თანამშრომლები წელზე ფეხს იდგამენ და დღე და ღამე მუშაობენ, თანაც ორმოცდაათ ლარზე ნაკლებ შემოსავალზე, იმ იმედით, რომ ამგვარი გარჯით ხვალინდელ დღეს ჩაუყრიან მკვიდრ საფუძველს, მათთვის ამ საქმიანობის აკრძალვა არა მგონია გამართლებული იყოს.

## „რეგულირებადი" საბაზრო ეკონომიკა

„საბაზრო ეკონომიკას განვითარების ორი გზა აქვს — ჯუნგლის კანონი, როცა ომის და ჩხუბის გზით თვითონ დალაგდება ყველაფერი, და ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ რეგულირება: შეერთებული შტატები თავიდან პირველი გზით მიდიოდა, მაგრამ დღეს იქაც ხდება ეკონომიკის რეგულირება — მინიმალური ხელფასის, ზოგიერთ პროდუქტზე მაქსიმალური ფასის დაწესება და სხვა", — ამბობს თეიმურაზ შაშიაშვილი. ქუთაისმაც რეგულირების გზა აირჩია, ხშირად საკმაოდ მკაცრად რეგულირებულიც. კონკურსი ცხადდება ყველაფერზე. როგორც ქალაქის მერი ამბობს, „მანქანური მოდელირებით" ხდება გამოთვლა, თუ რამდენი აფთიაქი სჭირდება ქალაქს და რომელია ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლის დროსაც წამალი ყველაზე იაფი ეღირება, რამდენმა ავტობუსმა უნდა იაროს თბილისამდე, რამდენი ტაქსი უნდა მოძრაობდეს, რამდენი პროფილაქტიკა უნდა იყოს ქალაქში და სხვა. თუ ფანტაზიის უნარი არ გვიმტყუნებს, სიის გაგრძელება ჩვენითაც შეგვიძლია — რამდენი გაზეთი უნდა გამოდიოდეს, რამდენი ნაყინი იყიდებოდეს, რამდენი მზესუმზირის გამყიდველი იყოს ქალაქში...



ამგვარი მიდგომა ხშირად იძლევა უკეთესი ვარიანტის მოძებნის საშუალებას. მაგალითად, საქალაქთაშორისო ავტობუსებზე კონკურსის გამოცხადების შემდეგ, ქალაქის მერი აპირებს, ლიცენზია იმ მძღოლებს მისცეს, ვინც უკეთეს პირობებს შესთავაზებს მგზავრებს — გაზეთი, ტელეფონი, საპირფარეშო, ქუთაისი-თბილისის სამარშრუტო ავტობუსებზე ჩვეულებრივ ამბად უნდა იქცეს. თუმცა, ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის" შაშიაშვილისეული პროგრამა კარგად თავსდება „რეგულირებადი ეკონომიკის" ჩარჩოებში, მაგრამ შორს დგას „საბაზროს" გაგებიდან. მაგალითად, ქალაქის მერი აქტიურად ილაშქრებს მცირე პროფილაქტიკების წინააღმდეგ, რომლებიც „პატარა გარაჟებშია გახსნილი. მე, როგორც მერი, ვაყალიბებ მოთხოვნას — მხოლოდ ეტალონური პროფილაქტიკა ქუთაისში. მცირე პროფილაქტიკები არის დამალული შემოსავალი, ამის გამო სპეციალისტები დიდი პროფილაქტიკებიდან გაიქცნენ, ხალხი მათთან აღარ დადის. ორი წლის შემდეგ ეს პატარა პროფილაქტიკები აღარ იქნება. ამას ჩვენი განვითარების ლოგიკა არ დაუშვებს. დღეს ვკლავთ იმას, რომელზეც უნდა იგებოდეს სახვალიო პოლიტიკა. თბილისში ხომ გაკეთდა ერთი პროფილაქტიკა — გაგინათდება ყველაფერი, შიგ რომ შეხვალ. ქუთაისი ნამდვილად იქნება ევროპული ყაიდის ეროვნული ქალაქი — აქეთ მივყავართ ლოგიკას".

საბაზრო ეკონომიკის ყველა წესი და ლოგიკა გვასწავლის, რომ ვერავითარი „მანქანური მოდელირება", ვერანაირი „განვითარების ლოგიკა" და ცხოვრების ევროპულ თუ ამერიკულ ყაიდაზე მოწყობის სურვილი ვერ შეცვლის ბუნებრივი განვითარების გზას. თუკი ავტომანქანების მფლობელები გვერდს უვლიან დიდ პროფილაქტიკებს და მცირე გარაჟების მომსახურებას არჩევენ, ესე იგი, იქ მათთვის უფრო ხელსაყრელი პირობებია და არ შეიძლება ამ პროცესში ხელოვნური ჩარევა. ხოლო, თუ ხელისუფლება ვერ ახერხებს მათ დაბეგვრას და გადასახადების ამოღებას, საგადასახადო სამსახურის უუნარობისა და [illegible]დიხიერების ბრალია და პრობლემის გასაღებიც ამ სფეროს მოწესრიგებაში უნდა ვეძებოთ და არა წვრილი მეწარმეების შევიწროებაში. არავინ იცის, რომელია ხვალინდელი „ეტალონური პროფილაქტიკა" — დღეს გარაჟში მოთავსებული წვრილი სარემონტო თუ რომელიმე გუშინდელი ბობოლას მიერ ჩალის ფასად ხელში ჩაგდებული მსხვილი პროფილაქტიკა, რომლის ამუშავებაც მას ვერ მოუხერხებია და ახლა კონკურენტების დამარცხებას ცდილობს არა უკეთესი და უფრო იაფი სერვისის შექმნის გზით, არამედ ხელისუფალთა დახმარებით. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკა კონკურენციის პრინციპით თავად არეგულირებს რა ტიპის საწარმოები იქნება უფრო რენტაბელური და „ბუნებრივი გადარჩევაც" ამის მიხედვით ხდება.

იგივეს თქმა შეიძლება სხვა დარგებზეც. ქალაქის მერს ისევ „მანქანური მოდელირებით" გამოუთვლია, თუ რამდენი აფთიაქი უნდა მოემსახუროს ქალაქს და რამდენმა ტაქსმა უნდა იაროს ქუთაისში. „ჩვენთან საბაზრო ეკონომიკა ცოტა სხვაგვარად არის წარმოდგენილი, — ამბობს ქალაქის თავი, — გავთვალე და ვიცი, რომ ქუთაისში ოთხმოცი ტაქსის პირობებში მგზავრობა ყველაზე იაფი იქნება." ახეთივე „გათვლის" ქუთაისში უნდა 100 აფთიაქი უნდა დარჩეს. სხვა საქმეა, რომ აფთიაქიცა და ტაქსიც უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, მაგრამ მათი რაოდენობის ხელოვნური განსაზღვრა ძნელად თუ მიიჩნევა „ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის" დამახასიათებელ ნიშნად და ამგვარ „მოდელირებას" საბჭოურ სისტემასთან მეტი საერთო აქვს, ვიდრე თავისუფალ ეკონომიკასთან.

## საკადრო პოლიტიკა და „სახელმწიფო წყობა" ქუთაისში

ქალაქის მერი გადაჭრით აცხადებს, რომ კურსი პატიოსან პროფესიონალებზე აქვს აღებული და არ დაუშვებს ამ სფეროში გარეშე ძალების ჩარევას. „შემომთავაზეს, რომ პარტიული ნიშნით დამენიშნა ორი ვიცემერი, სურდათ, ერთპარტიული საბაჟო დაგვეკომპლექტებინა. სხვადასხვა ძალები აქტიურად ერევიან რაიონების გამგებლების, პოლიციის უფროსების, მოსამართლეების დანიშვნაში, მაგრამ მე ამას არ დავუშვებ", — ამბობს თეიმურაზ შაშიაშვილი.

ქუთაისში შექმნილია ორპალატიანი სათათბირო, რომელთაგან ერთ პალატაში ოცდაჩვიდმეტი პარტიის წარმომადგენელია, თითო პარტიიდან ორი კაცი, მეორეში კი — ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, ფინანსისტები, იურისტები... სათათბიროში მონაწილეობაზე უარი უთქვამთ არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებს — მოქალაქეებსა და ეროვნულ დემოკრატებს, თუმცა, შაშიაშვილი ამის გამო დიდად არ წუხს და ამბობს — „ბედნიერებაა, რომ ქუთაისს აქვს ორპალატიანი სათათბირო".

ადგილობრივი „პარლამენტის" არსებობა, ალბათ, გამართლებულია, თუ იგი ხალხის მიერაა არჩეული, მაგრამ სათათბიროების დაკომპლექტების მეთოდი საკმაოდ საეჭვოს ხდის ამგვარ „ბედნიერებას". საქართველოში მრავლად არიან პარტიები, რომლებმაც არჩევნებში ხმების ნახევარი პროცენტიც კი ვერ მოიპოვეს და მათთვის „პოლიტიკური დონის" ამაღლების მიზნით ქალაქის მართვის ჩაბარება საეჭვო ექსპერიმენტია.

ერთიც უნდა ითქვას. მერიისა და სამხარეო აპარატში მრავლად არიან ახალგაზრდები, რომლებიც ერთგულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და მხარში უდგანან გუბერნატორს. ისე, თუ ვინმეს პროფკავშირების ქომაგობა სჭირდება, პირველ რიგში ამ ახალგაზრდებზე ითქმის. ქალაქის მერის დაძაბული სამუშაო რიტმის გაძლება ადვილი საქმე ნამდვილად არ არის.

შაშიაშვილის მონდომებით და ინიციატივით ქუთაისსა და, ზოგადად, იმერეთის მხარეში ბევრი საინტერესო ექსპერიმენტი ხორციელდება. პრობლემები, რომელთა შესახებ საქართველოს სხვა კუთხეებში მხოლოდ მსჯელობენ, ქუთაისში ნაწილობრივ, გადაწყვეტილია, ან დაწყებულია მათი გადაწყვეტის გზების ძიება. თუმცა, მეორე მხრივ, ქალაქის მერის ამგვარი ინიციატივიანობა და სურვილი — აკონტროლოს ყველა სფერო — ხშირად ეწინააღმდეგება თავისუფალი ეკონომიკის პრინციპებს და უფრო ახლო წარსულის ხელმძღვანელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**სოზარ სუბელიანი**

# აქციზური მარკა — ბიუჯეტის შევსების წყარო თუ ბარიერი მეწარმეთათვის?

მრავალმხრივმა დაკვირვებებმა და ეკონომიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში იმპორტირებული თუ საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის აღურიცხაობას ქვეყნის ბიუჯეტი მძიმე მდგომარეობამდე მიჰყავს.

ის ფაქტი, რომ დანამდვილებით არც ერთმა სამსახურმა არ იცის, რეალურად რა რაოდენობის საქონელს ატარებს საქართველოს ეკონომიკური საზღვარი, სახელმწიფოს მშენებლობის ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რადგან, ფაქტობრივად, უხელფასოდ დარჩენილი მოსახლეობის ნაწილის სამომხმარებლო კალათა თანდათან ცარიელდება და ასეთ შემთხვევაში ქვეყანა ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს იმ სიტუაციის ზღვარზე, „როცა ქვედა ფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება“...

**სახელმწიფო ხელისუფლების და მთავრობის კულუარებში უკვე ხმამაღლა გაისმის განცხადებები იმის თაობაზე, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობისა და საბაჟო სამსახურის მოუქნელი მუშაობის გამო, გასულ წელს საქართველოს ბიუჯეტმა დაახლოებით 200-300 მილიონი ლარი დაკარგა. აქედან, 50 მილიონი იმ საქონელზე მოდის, რომელიც ოფიციალურად დაფიქსირდა რესპუბლიკის საბაჟოზე, როგორც იმპორტული პროდუქცია, რომელზეც საგადასახადო შეღავათების არსებობის გამო, შემომტან ორგანიზაციებს ბიუჯეტში არაფერი გადაუხდიათ.**

მიმდინარე წლის 1 მარტიდან აღნიშნული შეღავათები გაუქმდა. წინასწარი გაანგარიშებით, დღეისთვის მდგომარეობა უნდა გამოსწორებულიყო და ბაზარიც სათანადოდ უნდა დარეგულირებულიყო, მაგრამ, რეალურად სხვა სურათი მივიღეთ — მიუხედავად რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შესამჩნევი გააქტიურებისა, გაჩნდა (უფრო ზუსტად, გაძლიერდა) გადასახადებისგან თავის არიდების გზა, რომლითაც ისევე ადვილად მოითბეს ხელი იმპორტული პროდუქციის შემომტანებმა, როგორც საგადასახადო შეღავათების პირობებში ახერხებდნენ — დაიწყო მასიური კამპანია ტვირთის რეექსპორტად გაფორმებისა. შემოტანილი იმპორტული პროდუქცია ფორმდება ისე, თითქოს იგი საქართველოს ტერიტორიას ტრანზიტით გაივლის და გავა მის საზღვრებს გარეთ (ასეთ შემთხვევაში ტვირთი თავისუფლდება გადასახადებისგან). სინამდვილეში საქართველოს ტერიტორიას ტოვებს მხოლოდ დოკუმენტაცია, ტვირთი — ჩვენი რესპუბლიკის ბაზარზე რჩება და მოგება, ბიუჯეტში ყოველგვარი გადასახადის გარეშე, ხუფთად ჩაედინება საქონლის ჩამომტანის ჯიბეში.

მეტი სიცხადისთვის, მოვიყვანთ ციფრობრივ მონაცემებს:

როგორც აღვნიშნეთ, 1 მარტამდე რიგი ორგანიზაციები ფლობდნენ საგადასახადო შეღავათებს, ამიტომ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში დაიწყო აქციზური პროდუქციის შემოტანის „ბუმი“. ასე მოხვდა ჩვენს ბაზარზე 16 მილიონ 600 ათასი ლარის ღირებულების სიგარეტი (ეს ის რაოდენობაა, რაც საბაჟოზე დაფიქსირდა), რომელიც, შეიძლება ითქვას, მთელი 4 თვის მარაგია. სამაგიეროდ, მარტის თვეში დაფიქსირებული არ არის არც ერთი ყუთი სიგარეტის შემოტანა (?!). აპრილში შემოვიდა 63000 ლარის ღირებულების სიგარეტი, მაისში — 51000 ლარის ღირებულებისა.

თუ ამ მონაცემებს დავუჯერებთ, ახლა დახლებზე, ძირითადად, იანვარ-თებერვალში შემოტანილი სიგარეტი უნდა ეწყოს, რადგან, მიუხედავად შეღავათების გაუქმებისა, რესპუბლიკის ბიუჯეტს ამ პროდუქციიდან ამოღებული გადასახადებით არაფერი შეტყობია, ოფიციალური მონაცემები კი ამტკიცებს, რომ პირველ კვარტალში საშუალოდ 35-40 მილიონი ლარია გადახდილი მარტო სიგარეტიდან. თავისთავად, ეს ციფრი დიდად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ უხეში მათემატიკური გაანგარიშებაც კი ნათელს ჰფენს, რა რაოდენობის თანხა იკარგება და რამდენი სიგარეტია შემოტანილი აღურიცხავად (დავუშვათ საქართველოში 1500000 მწეველია. წელიწადში მათ დაახლოებით 540 მილიონი კოლოფი სიგარეტი სჭირდებათ, კვარტალში — 130 მილიონი კოლოფი. ოფიციალურად დაფიქსირებულია, რომ პირველ კვარტალში სულ 40 მილიონი კოლოფი სიგარეტი შემოვიდა. მაშ, როგორ ეყო მილიონნახევარ მწეველს 40 მილიონი კოლოფი სიგარეტი? ისიც ხომ ფაქტია, რომ სიგარეტის დეფიციტი საქართველოს ბაზარზე ჯერ არავის უგრძვნია. აქედან დასკვნა, სულ ცოტა 90 მილიონი კოლოფი სიგარეტი მაინც შემოვიდა საქართველოში საბაჟოს გვერდის ავლით, რაც ცოტას არ შემატებდა საქართველოს ბიუჯეტს, გადასახადების გადახდის შემთხვევაში).

საქართველოს იმპორტი და ბიუჯეტში გადარიცხული თანხა 1996 წლის იანვარ—ივნისში




როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკის საბაჟო სამსახურმა ბოლო ხანს გაააქტიურა მუშაობა და მის მიერ ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ 1996 წლის იანვარ-ივნისში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია: იანვარში ბიუჯეტში შეტანილია მილიონ 345 ათასი ლარი, თებერვალში — მილიონ 526 ათასი, მარტში — 3 მილიონ 980 ათასი, აპრილში — 4 მილიონ 147 ათასი, მაისში — 5 მილიონ 347 ათასი, ივნისში — 6 მილიონ 564 ათასი (მეტი სიცხადისთვის გთავაზობთ დიაგრამას), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია, რადგან საბაჟოს გააქტიურების პირდაპირპროპორციულად გაიზარდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით ტვირთის „გატანის“ ტენდენცია:

იანვარში ტრანზიტად გაფორმდა 17000 ყუთი სიგარეტი, თებერვალში — 48000 ყუთი, აპრილში — 96000 ყუთი, მაისში — 129000 ყუთი, ივნისში — 123000 ყუთი...

**თუ პრობლემას მთლიანობაში გავიაზრებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ბიუჯეტის შევსებისთვის არსებობს რეზერვი, რომელიც აუცილებელ გამოყენებას საჭიროებს:**

1) ა) აღურიცხავი პროდუქცია, რომელიც იმპორტირებულია საქართველოში;

ბ) აღურიცხავი პროდუქცია, რომელიც ექსპორტირებულია საქართველოდან;

2) თანხა, რომელიც საბანკო სისტემის გარეთაა დარჩენილი (ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დაახლოებით 110-120 მილიონი ლარი ტრიალებს ბანკების გვერდის ავლით).

3) ე.წ. „მაქოსებური“, ანუ აღურიცხავი ბიზნესი;

4) „გრანტები“, ანუ თანხა, რომელსაც ჩვენი თანამემამულეები, ნათესავები გზავნიან საზღვარგარეთიდან დახმარების მიზნით (რადგანაც საქართველოში ჯერ არ არსებობს დეკლარირების პრინციპი, თანხა ნაღდი სახით შემოდის).

**ბუნებრივია, ყველა ამ რეზერვის გამოყენებისთვის სათანადო კანონპროექტების შემუშავებაა საჭირო. ერთი ასეთი დოკუმენტი — „საბაჟო სამსახურის სრულყოფის შესახებ“, უკვე დამტკიცებულია. გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც შეიქმნება საბაჟო ტერმინალები თბილისში, ბათუმში, ახალციხეში, ნატახტარში, ფოთში, ქუთაისსა და ხაშურში. შემოსულ** ტვირთს ამ ტერმინალებში მიიღებენ და აქვე მოხდება მისი განბაჟება (ანუ ყველა გადასახადის ამოღება). თუ ტვირთი რეექსპორტისთვისაა განკუთვნილი, მას სპეციალიზებული მოძრავი ავტოკოლონა გადააცილებს საქართველოს საზღვარს იქით. რამდენად ეფექტური აღმოჩნდება კონტროლის ეს სისტემა, ჯერ ნაადრევია ამაზე საუბარი, რადგან არსებობს საშიშროება, საბაჟოს მოხელეებს კიდევ ერთი საშუალება მიეცეთ ხელის მოთბობისა; თუ მთავრობის ოფიციალურ პირებს დავუჯერებთ, საბაჟო სამსახურის სტრუქტურული დახვეწა, მისი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების იმგვარად შერწყმა რეალობასთან, როგორც ეს პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ ბრძანებულებაშია, ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში შემოსული ტვირთების აღრიცხვისა და მისი საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების საკითხების მოწესრიგებას.

ამავე საკითხის დარეგულირებისა და ბიუჯეტის შევსების პრობლემის გადაჭრისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქციზური მარკების შემოღებას, რის თაობაზეც ჩვენი გაზეთი რამდენჯერმე წერდა.

საკითხი აქციზური მარკების შემოღებაზე ჯერ კიდევ გასულ წელს დადგა დღის წესრიგში, მაგრამ მაშინ, რატომღაც, არ მიიჩნიეს ეს საქმე საშურად. შედეგად რა მივიღეთ, სახეზეა. არადა, დღემდე, თუ აქციზური მარკები დაწესდებოდა, აშკარად „ამაღლდებოდა ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაციის დონე, შემცირდებოდა კონტრაბანდის გზით საქართველოში საქონლის შემოტანა და დამყარდებოდა ჩვეულებრივი, გაჭრობის ცივილიზებული ნორმები“. სხვათა შორის, ამის შესახებ შესანიშნავად იციან საქართველოს მთავრობაში და ზემოთ ციტირებული პროგნოზიც მათი დასკვნიდანაა ამოწერილი, მაგრამ, როგორც ჩანს, მიზნის მიღწევა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

**შარშან რესპუბლიკის მთავრობაში განსახილველად და დასამტკიცებლად შევიდა რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურის პროექტი „აქციზური მარკების შემოღების თაობაზე“; პროექტი განუხილველად დაიკარგა (?!).**

**წელს ეკონომიკურ საბჭოს წარედგინა ორი პროექტი, ორივე ფინანსთა სამინისტროს ვგიდით — ე.წ. „საბაჟოს“ და „საგადასახადოს“ ვარიანტები. საბაჟო სამსახურის ვარიანტს, როგორც ჩანს, ლობირებას უწევდა ფინანსთა სამინისტრო. ამ პროექტის მიხედვით, აქციზური მარკების შეძენისას გადაიხდევინება მხოლოდ მარკის ნომინალური ღირებულება, საგადასახადო სამსახურის ვარიანტის მიხედვით კი — მეწარმე აქციზური მარკების შეძენასთან ერთად გადაიხდის ყველა გადასახადს (აქციზი, საბაჟო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციის გადასახადი და სხვა).**

**ფინანსთა სამინისტრო საბაჟო სამსახურის ვარიანტს არჩევს, რადგან, თუ მეწარმე მხოლოდ აქციზური მარკის ნომინალურ ღირებულებას გადაიხდის, საქონლის იმპორტიორს არ შეექმნება ფინანსური პრობლემა გადასახადების წინასწარ გადახდის გამო; საგადასახადო სამსახურის ვარიანტის გასვლის შემდეგ კი, როცა მეწარმემ წინასწარ უნდა გადაიხადოს ყველა გადასახადი, არსებობს საშიშროება, მკვეთრად შემცირდეს საქონლის იმპორტი ჩვენს ქვეყანაში.**

პრეზიდენტის მითითებით, ფინანსთა სამინისტროს, საბოლოოდ, ამ ორი ვარიანტის მიხედვით შეჯერებული დოკუმენტი უნდა წარედგინა ეკონომიკურ საბჭოზე განსახილველად. 4 ივლისს ამგვარი დოკუმენტი წარედგინა სხდომას, მაგრამ მისი დამტკიცება არ მოხერხდა, რადგან პროექტის მიმართ სერიოზული შენიშვნები აღმოაჩნდათ საბჭოს წევრებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ბატონ თემურ ბასილიას შენიშვნაა, რადგან იგი მთლიანად ეთანხმება „საგადასახადოს ვარიანტს“ და მიიჩნევს, რომ „საქციზო მარკებმა უნდა უზრუნველყონ საქონლის იმპორტზე დაწესებული ყველა გადასახადის ამოღება, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის შემოსავლების გარანტირებულ მობილიზაციას“.

ხვალ, 11 ივლისს ეს საკითხი კვლავ წარდგება განსახილველად ეკონომიური საბჭოს სხდომაზე. ალბათ, საბოლოოდ დადგინდება, რა სახით იქნება შემოღებული აქციზური მარკა, როგორ დავიზღვევთ თავს გაყალბებისგან, როდიდან იქნება დაწესებული და შემოღებული იგი და რეალურად რა შემოსავალს მისცემს მისი შემოღება ბიუჯეტს, მაგრამ ერთი რამ შეიძლება დღესვე ითქვას — აქციზური მარკების ერთ სტრუქტურაში შეძენა და გადასახადების მეორე სტრუქტურაში გადახდა უფრო მეტ სირთულეს შეუქმნის მეწარმეებს, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობს. ალბათ, მართლა სჯობს, ასეთ შემთხვევაში იმპორტული საქონლის შემომტანთ ერთ სტრუქტურასთან ჰქონდეთ საქმე, რომ გამოირიცხოს ბიუჯეტში გადასახადებისგან თავის დაძვრენის კიდევ ერთი გზა.

**ეკონომიკური რეფორმის ამ ეტაპზე, ალბათ, ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ დღეს, სახელმწიფოებრივ მშენებლობასთან ერთად, ეკონომიკური მშენებლობის პროცესიც მიმდინარეობს და საკითხის მხოლოდ იმ კუთხიდან დანახვა, რა უფრო გააადვილებს მუშაობას, ხვალ სასიკეთო შედეგს ვერ მოგვცემს. რადგან, თუ მოსახლეობის სამომხმარებლო კალათა არ შეივსო, ბიუჯეტი არ გამდიდრდა და ბაზარი გარკვეულ სისტემაში არ მოექცა, ცალკე ჩრდილოვანი ეკონომიკა წაგვლეკავს და ცალკე სხვა ქვეყნების ხელებში საწყალობელი ცქერა, ვგება, რამე გადმოგვიგდონო.**

**ბუნებრივია, ამ პრობლემების ადვილად მოგვარება წარმოუდგენელია და მას სათანადო საკანონმდებლო ბაზა სჭირდება. დღეისთვის მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო სისტემის სრულყოფის, დამატებული ღირებულების გადასახადის და საბიუჯეტო სისტემებისა და უფლებების შესახებ კანონების მისაღებად.**

**სავარაუდოა, რომ დღითიდღე დაიხვეწება ყველა ეკონომიკური სტრუქტურა, რაც ხვალ საქართველოს ნორმალური, ცივილიზებული ქვეყნისთვის შესაფერისი ცხოვრების საშუალებას მისცემს.**

**მაია ტორაძე**

---

## თვალსაზრისი

„კავკასიონში“ გამოქვეყ... და პუბლიკაციების სერია სა... ქართველოს საბანკო სისტე... მის შესახებ. გაზეთის ფურც... ლებზე თავისი პოზიცია გა... მოხატეს როგორც ეროვნული ბანკის, ისე სხვა ბანკები... ხელმძღვანელებმა. მათ გამო... სვლებს არაერთი გამოხმაურე... ბა მოჰყვა. ამჯერად გთავა... ზობთ ერთ-ერთ მათგანს ... აქვე გაუწყებთ, რომ ჩვენ... გაზეთის ფურცლებზე მოგა... ლშიც სიამოვნებით დავუთ... მობთ ნებისმიერ ჯანსაღსა ... კონსტრუქციულ (შესაძლო... პოლემიკურ ან კრიტიკულ... მოსაზრებებს, რომლები... ხელს შეუწყობს საქართვე... ლოს საბანკო სისტემის სრუ... ლყოფას.

# საბანკო სისტემაში წესრიგი დამყარდება, ეს ყველას როდი აძლევს ხელს

ამ, ერთი შეხედვით, ტრივია... ლურ ჭეშმარიტებამდე მივა ყველა მეტ-ნაკლებად საქმეში ჩახედული ექსპერტი თუ ჟურნალისტი, ვინც სულ ახლახანს პარლამენტის სა... ფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოსმენის თაობაზე ატეხილ უსა... ფუძვლო და ყოვლად უადგილო აურზაურს დააკვირდება. ეტყობა, მავანს ხელს აძლევს, საქართვე... ლოს სახელმწიფოს ბანანის რეს... პუბლიკად გადაქცევა, სადაც პარ... ლამენტს არც უფლება ექნება და არც საშუალება თავისი კონსტი... ტუციური უფლება გამოიყენოს და ამა თუ იმ უწყებისგან ანგარიში მოითხოვოს, მის კომიტეტს კი გეგმიური და ლოგიკური საკითხის განხილვა ლამის ძირგამომთხრელ საქმიანობად ჩაეთვლება. არ იქნება ლოგიკური განსჯა, თვალსაზრისე... ბის შეჯერება — ბანანის რესპუ... ბლიკის მოქალაქეებს ხომ მხოლოდ ის ევალებათ, რომ გუნდრუკი უკმიონ რომელიღაც „ურდოში“ მიღებულ ცრუავტორიტეტებს.

24 ივნისს საფინანსო-საბიუჯე... ტო კომიტეტში გამართულ მოსმე... ნაზე დაფიქსირდა ეროვნული ბან... კის საქმიანობაში ბოლო დროს არსებული სერიოზული ხარვეზები. ამან უკიდურესად გააღიზიანა ეროვნული ბანკის ამჟამინდელი პრეზიდენტის თაყვანისმცემლები. არადა, ჩვენ 90-იანი წლების საქართველოში ვცხოვრობთ, რომელსაც პარლამენტი ჰყავს, პარლამენტს — საფინანსო —საბიუჯეტო კომიტეტი და იმედია, არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მიიჩნევს ვინმე უშე... ცდომო ორაკულად.

ყველამ უნდა შევიგნოთ ერთი რამ. არანაირი იმიჯი, რომელიც ზოგჯერ ხელოვნურად და მიზან... მიმართულად არის შექმნილი, არ იცავს არც ერთ პიროვნებას და არც ერთ თანამდებობის პირს შეცდომებისა და დარღვევებისგან. დროა, შევწყვიტოთ ყოვლად უსა... გნო ლუღლუღი იმის თაობაზე, რომ მავანის უკან გავლენიანი პოლიტიკური ძალები, საფინანსო და მრეწველთა ჯგუფები დგას და ა. შ. სამწუხაროდ, ბოლო 5 წლის ანარქიის შედეგად ჩვენში მოხდა ცნებათა აღრევა, რამაც „ყავლგა... სულად“ აქცია ისეთი ცნებები, როგორიცაა მაფია, შეთქმულება, საბოტაჟი, ეროვნული ინტერესები, საქართველოს მტერი და საქართველოს მოყვარე. ამაზე ბევრმა იხეირა. სწორედ მაფიის იარლიყის მიკერების შიშით დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათე... ბელი საფინანსო-სამრეწველო და კომერსანტთა ჯგუფები საქართვე... ლოში არ ჩამოყალიბებულა, ლო... ბირების მექანიზმები არ განვითა... რებულა, დემოკრატიულ პროცე... სებს არ მიეცა ლოგიკური განვი... თარების საშუალება, პარტიები

იხილეთ მე—5 გვ.

პურის ფასების ლიბერალიზაციის პროცესს, თავისი წინაპირობებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, დღემდე რაიმე გართულება ან კრიზისული სიტუაცია არ მოჰყოლია. მოსახლეობაც გაგებით მოეკიდა მთავრობის მიერ გატარებულ პურის რეფორმას და, ასე თუ ისე, თავი გაართვა ახალ ფასებს, მაგრამ არის ერთი საგულისხმო ფაქტორი, რომელმაც დედაქალაქში ბოლო სამი დღის განმავლობაში იჩინა თავი: ვაკისა და საბურთალოს რაიონების უმრავლეს მაღაზიებში დახლებიდან გაქრა აქამდე პირველ ხარისხად წოდებული პური (ფასი 45 თეთრი) და მისი ადგილი 52 თეთრად ღირებულმა გაურკვეველი „უმაღლესი" ხარისხის პურმა დაიკავა.

ამ შემთხვევაში სრულიად გასაგებია საბურთალოს რაიონში, ზაქარიაძის ქუჩაზე მდებარე №19 პურის მაღაზიაში მისული მომხმარებლის გულისწყრომა: გარდა იმისა, რომ აქამდე შედარებით ხელმისაწვდომ ფასებში გასაყიდი პირველი ხარისხის პური ბოლო სამი დღის განმავლობაში არ გასულა სამომხმარებლო ბაზარზე, დღეს „უმაღლეს ხარისხად" წოდებული ფქვილისგან გამომცხვარი პური არამცთუ ვერ ამართლებს მის უმაღლეს ხარისხიანობას, უფრო მეტიც, არც „გარეგნობით" ჰგავს მის წინამორბედს — რეფორმამდე სარეალიზაციოდ გამოტანილი უმაღლესი ხარისხის პურს. გაურკვეველი ფორმის, დახეთქილი, თაროებზე დაყრილი პური, ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანად იწვევს მოსახლეობის აღშფოთებას.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ მეწარმე, რომელიც კონკურენციის პირობებში დაინტერესებული უნდა იყოს საკუთარი პროდუქციის ხარისხიანობით და რეალიზაციით, მაინც უშვებს უხარისხო პურს იმ იმედით, რომ ხალხი იძულებულია და პურს, როგორიც არ უნდა იყოს, იყიდის, ეს, როგორც ითქვა, ერთი შეხედვით, მაგრამ საქმის არსში ღრმად გარკვევამ სულ სხვა პრობლემა წარმოაჩინა.

პური ჩვენი არსობისა

# თუ კვლავაც გაგრძელდა ხარისხით ხელის მოთბობა, რეფორმას საფრთხე დაემუქრება

სააქციო საზოგადოება „პური არსობისას" (ყოფილი № 6 პურის ქარხანა) დირექტორთან ვიტალი კვინიხიძესთან საუბარშიც ნათლად გამოიკვეთა, რომ დღეს უხარისხო პურის წარმოების პრობლემა, სამწუხაროდ, შეიძლება, კიდევ უფრო გამწვავდეს და ხელთ ისიც აღარ შეგვრჩეს, რაც გვაქვს.

ბატონმა ვიტალიმ ცალსახად განგვიცხადა, რომ სამომხმარებლო ბაზარზე პირველი ხარისხის პურის არარსებობა, საწარმოს მარაგში პირველი ხარისხის ფქვილის უქონლობითაა გამოწვეული. ამიტომაც, საწარმოს ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა, ვიდრე მარაგში არსებული უმაღლესი ხარისხის დაძველებული ფქვილი სარეალიზაციოდ სრულიად უვარგისი გახდებოდა, მისგან გამომცხვარი პური გაეტანა ქსელში გასაყიდად. მართალია, საწარმომ დღეიდან მოახერხა პირველ ხარისხად წოდებული ფქვილის შეძენა, მაგრამ, დირექტორის თქმით, ეს ფქვილიც ძალიან დაბალი ხარისხისაა და სავსებით არ შეესაბამება პირველი ხარისხის სტანდარტებს. თავად იმ ფირმას, რომელსაც ფქვილი შემოაქვს, მოსახლეობისთვის პირველ ხარისხად ცნობილი ფქვილი, თურმე, მესამე ხარისხის „სტატუსით" აქვს შემოტანილი და მას პირველ ხარისხად ასაღებს.

ვინაიდან, ფასების ლიბერალიზაციის პირობებში პურზე ფიქსირებული ფასების ზრდა ჯერ კიდევ ნებადაურთავია, თავად სააქციო საზოგადოება „პური არსობისას", მწირი საბრუნავი საშუალების გამო, სადღეისოდ ხარისხიანი ფქვილის საკუთარი არხებით მოძიების საშუალება არ გააჩნია და მთლიანად ფქვილის შემომტან ფირმაზეა დამოკიდებული. კრიზისული ვითარება. აგრეთვე განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საწარმოს საერთოდ არ ჰქონდა ხარისხიანი ფქვილის მარაგი. ამდენად, საწარმოს ხელმძღვანელობის განცხადებით, არ აქვთ ხარისხიანი ფქვილი და პურის გამოსაცხობად იყენებენ იმას, რაც დღეისთვის მოეპოვებათ.

„იმდენმა დაბნეულობამ იჩინა თავი პურით თბილისის მომარაგების საქმეში როგორც ხელისუფლების, ისე მერიის და ჩვენი მხრიდან, რომ დღეს, შეიძლება ითქვას, კატასტროფულ ვითარებაში აღმოვჩნდით", — გვითხრა **ვიტალი კვინიხიძემ**. მისი თქმით, ეკონომიკის მინისტრის ლადო პაპავას მიერ გაანგარიშებული ათპროცენტიანი რენტაბელობა სასაცილოა, ვინაიდან, ასეთი კალკულაციური დაანგარიშება, ფაქტობრივად, სისტემის შეუფერხებლად მუშაობას ვერ უზრუნველყოფს.

სერიოზული პრობლემების მიუხედავად, საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რეფორმის განხორციელება გარდაუვალი იყო, თუნდაც გაჭირვების ხარჯზე.

გაჭირვება გაჭირვებად, მაგრამ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ნეგატიური პროცესი? ამასთან დაკავშირებით, ცალსახად გვპასუხობენ: მანამ, ვიდრე ცუდი ხარისხის ხორბალი და ფქვილი იქნება...

პროცესის დადებითად წარმართვას კი ისევ სახსრების უქონლობა აფერხებს. ფირმა „აგროინვესტი", რომელიც ფქვილით ამარაგებს საწარმოს, თანხების წინასწარი გადარიცხვის გარეშე უარს აცხადებს ფქვილის მიწოდებაზე. თავის მხრივ, პურის მაღაზიების სახით საწარმოსაც ჰყავს დებიტორები, რის გამოც, საწარმო დროულად ვერ უხდის „აგროინვესტს" ფქვილის საფასურს, დებიტორულმა დავალიანებამ 90 ათას ლარს მიაღწია, ნულზეა დასული პურის ქარხნის საბრუნავი საშუალებები.

სიტუაციის გამოსწორების მიზნით, საწარმოს ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია, დროულად მოიხსნას პურზე ფიქსირებული ფასები, რათა მეწარმეს საკუთარი არხებით ხარისხიანი ფქვილის შეძენის შესაძლებლობა მიეცეს. „დღეს კი მონოპოლიაა აღებული ხორბლის შემოტანაზე, ფქვილზე. ხორბალი გათავისუფლებულია ყველანაირი გადასახადისგან და მხოლოდ ერთ ორგანიზაციას შემოაქვს. ფქვილი იბეგრება 25-30 პროცენტით და სხვადასხვა ფირმა ეწევა მის რეალიზაციას. ასე შემოაქვთ ხორბალი, შემდეგ კი ფქვილი, მოგწონს თუ არ მოგწონს, იძულებული ხარ, იყიდო. ასეა დაპყრობილი როგორც ბენზინის, ისე ხორბლის ბაზარი. არავისთვის უცხო აღარ უნდა იყოს, რომ ამ ორ სფეროზე ტაბუა დადებული", — გულისტკივილით გვითხრა საწარმოს დირექტორმა.

ყველნაირად ცდილობს, საჯარიმო სანქციების ჩვენს საწარმოზე გავრცელებას. თუკი ამ განუკითხაობას დროზე არ მოეღო, პურის ქარხანაც გაჩერდება, 400 მუშახელიც უმუშევარი აღმოჩნდება და ვაკე-საბურთალოს მოსახლეობაც უპუროდ დარჩება. უნდა ითქვას, რომ დღეს „კალაშნიკოვის" ნაცვლად, კალმით გვაყაჩაღებენ".

ხოლო რაც შეეხება მოსახლეობის დღევანდელ შეშფოთებას უხარისხო „უმაღლესი" ხარისხის პურთან დაკავშირებით, გაირკვა, რომ „აგროინვესტის" მიერ მიწოდებული ფქვილი საწარმოს უმაღლესი ხარისხის ფქვილად აწერია და ვაკისა და საბურთალოს რაიონების გამგებლებთან შეთანხმებით, კრიზისის პირობებში პურის ქარხნის მესვეურნი იძულებული გახდნენ, ეგრეთ წოდებული უმაღლესი ხარისხის ფქვილისგან გამომცხვარი პური გაეტანათ სარეალიზაციოდ, თორემ გასაყიდი პური რომ უმაღლეს ხარისხს არ შეესაბამება, ეს თავადაც შესანიშნავად უწყიან და მათთვის მოსახლეობის აღშფოთება სრულიად გასაგებია.

საწარმოში გვითხრეს, რომ უკვე შემოტანილია პირველი ხარისხის ფქვილი და დღეიდან მისგან გამომცხვარი პური გაიყიდება სამომხმარებლო ბაზარზე. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, არც

ასე რომ არ იყოს, სხვა მხრივ, საწარმოს არ უნდა გასჭირვებოდა თუნდაც დაბუღრილი, მისთვის სასურველი ხარისხის ფქვილის შემოტანა, მაგრამ როგორც საწარმოს ხელმძღვანელობა ამბობს, ფოთიდან ფქვილის ჩამოტანა მაღალ საბაჟო გადასახადთანაა დაკავშირებული და, თანაც, აქ ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ასეთი საქმის წამოწყება გამორიცხულია. ყოველივე ამის გამო, ბატონი ვიტალის თქმით, „გონებაზეც და ხელ-ფეხზეც ბორკილდადებულნი" არიან.

ზემოთქმულთან ერთად, საწარმოს დირექტორი საგადასახადო სამსახურის მიმართაც გამოთქვამს გულისწყრომას: „საგადასახადო ინსპექცია პრეზიდენტის ადრინდელი ბრძანებულებების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძანებულებების შემდეგ საწარმოებს მრავალგზის შეეხო საჯარიმო „ამნისტიები", ყო-

ეს პირველი ხარისხის ფქვილი შეესაბამება საკუთარ მაჩვენებლებს და ვაკე-საბურთალოს მაცხოვრებლებს ჯერ კიდევ გაურკვეველი ვადით, უხარისხო პურის მირთმევა მოუწევთ.

შექმნილმა ვითარებამ ცხადყო, რომ პურის რეფორმის პროცესი, რომლის სრულფასოვანი განვითარებაც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნისთვის ერთობ აუცილებელი და მნიშვნელოვანია, არცთუ ისე უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

პურის რეფორმიდან ერთი თვეც არ გასულა და უკვე გამოჩნდა ხორბლისა და ფქვილის იმპორტირების მონოპოლიზების საშიშროება. როგორც ჩანს, სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ ის უწყებები, ვისაც ევალება ტენდერის ობიექტურად ჩატარება და ანტიმონოპოლიური ღონისძიებების განხორციელება. შემაშფოთებელი, უფრო ზუსტად კი, აღმაშფოთებელია სააქციო საზოგადოება „პური არსობისას" დირექტორის, ვიტალი კვინიხიძის მიერ დასახელებული ფაქტები, თავად განსაჯეთ:

იმპორტიორ ფირმას შემოაქვს დაბალი კონდიციის ხორბალი, რომლისგანაც იწარმოება მესამე ხარისხის ფქვილი, ფირმა „აგროინვესტი" კი ამ ფქვილს პირველი ხარისხის პროდუქციად ასაღებს. ამდენად, პურის საწარმო იძულებულია ამ ფქვილით გამომცხვარ პურს შესაბამისი ხარისხის ფასი დაადოს და... სინდისის მოსაწმენდად რაიონის გამგეობას უთანხმებს პროდუქციისთვის სრულიად შეუფერებელ ღირებულებას.

ეყოფა კი ამის შემყურე მოსახლეობას მოთმინება და ეს ყბადაღებული გაგება? ანდა, რა ქნან მოქალაქეებმა, რომლებმაც სრულიად გაიაზრეს პურის რეფორმის აუცილებლობა. ირწმუნეს ხელისუფლებისა, მაგრამ მავანნი თვალში ნაცარს აყრიან? მერამდენედ შეიძლება გაუცრუვდეს ხალხს იმედი ხელისუფლების დაპირებაზე და მხოლოდ იმიტომ, რომ ზედა ეშელონებიდან წამოსული დირექტივა ერთია, აღმასრულებელთა ქმედება კი სხვა?! ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დადგეს დრო, როცა ხელისუფლება თავადვე დაიცავს საკუთარ პრესტიჟს და მხოლოდ „ხალხი გაგებით მოეკიდა"-ს იმედად აღარ დარჩება?!

ვიდრე ეს კითხვები იარსებებს, ნებისმიერი რეფორმის, ყოველი კეთილი საქმის განხორციელება ეჭვქვეშ დადგება.

**დიანა ბაბროშვილი**

თვალსაზრისი

# საბანკო სისტემაში წესრიგი დამყარდება, ეს ყველას როდი აძლევს ხელს

მე—4 გვერდიდან

ისევ ცალკეული პიროვნებების პარტიებია და არა ამა თუ იმ სოციალური ფენისა. ხოლო ბანკირების, კომერსანტების თუ სხვა საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა გაერთიანება, იწყებ-ერად კრიმინალურ შარავანდედში ეხვევა, რადგან სხვანაირი არსებობისთვის არც სხვანაირი გარემოა, არც ცნობიერება და არც საკანონმდებლო საფუძველი. ხოლო წარმატების მოლოდინით მსურველი ჩვენი სახელმწიფოს, საქართველოს მასშტაბით კი არ იღვწის და ინტერესებს, არამედ რომელიმე „ურდოში" ეხრება მთას იქით ეძებს დასაყრდენს, ხან ჩვენს მეგობრებთან და ხანაც ჩვენს მტრებთან.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა კონკრეტული პროფესიული და პროფესიონალური მოსაზრებები და ფაქტები წამოწია წინ. ამას ასევე კონკრეტული პასუხები ან აღიარება უნდა მოჰყვეს, და არა — მომხრეების და მოწინააღმდეგეების კავალკადა. მით უმეტეს, დაუშვებელია საბანკო პრობლემების თაობაზე პროფესიული პოლემიკის ან კამათისთვის პოლიტიკური სარჩულის დადება, რათა მიჩქმალულ იქნას დაშვებული შეცდომების მნიშვნელობა. თუმცა, სრულიად ბუნებრივია, ეროვნული ბანკის ამჟამინდელი პრეზიდენტის სწრაფვაც, შეინარჩუნოს პოსტი.

ისიც ყველასთვის ბუნებრივი უნდა იყოს, რომ არსებობენ პოლიტიკური თუ საფინანსო მსურველი ჯგუფები, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლის, თავიანთ მიერ მხარდაჭერილი პიროვნების ხილვა უნდათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად. და ასეთი ჯგუფი თუ პიროვნება, ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოში არაერთია და ეს ასეც უნდა იყოს, თუნდაც, იმ ფანტასტიკური სიტუაციის ფონზე, რომ ბევრისთვის სანატრელი გამხდარა ეროვნული ბანკის 43 ლარი ხელფასის მქონე პრეზიდენტის სავარძელი.

და კიდევ, საქართველო აღარ არის ის ქვეყანა, ვიღაცას რაღაც დააბრალო. მით უმეტეს, საკუთარი ცოდვები სხვას აჰკიდო, ვიღაცას ის გაუხსენო, სად მუშაობდა, ვიღაცას ვიღაცასთან მეგობრობა წამოაძახო, ვიღაცა ლაპარაკის მანერის თუ ჩაცმის სტილის გამო გააქილიკო. ყველამ უნდა შეიგნოს — საქართველო არ არის ჯუნგლი, სადაც ყველაფერი გაგივა, როცა მოდაშია, პრორუსული ორიენტაცია გიშველის, როცა დროა — პროდასავლურის დეკლარირებით გასვალ ფონს.

პარლამენტი და მისი კომიტეტი უაღრესად სერიოზული სტრუქტურები და დონეა. მისი პოზიცია და დამოკიდებულება ყველამ უნდა დააფასოს — ბანკირმაც და მოქალაქემაც, ჟურნალისტმაც და ექსპერტმაც. მითქმა-მოქმის დონეზე, ყურით მოთრეული ჭორებით საუბარი უნდა გამოირიცხოს, და რაც შეიძლება მალე. ეს ხრიკები უკვე ყავლგასულია, ხოლო კონტროლის პალატის შემოწმების მიმართ ეროვნული ბანკის მესვეურების მხრიდან არსებული პათოლოგიური შიში უამრავ ეჭვს აღძრავს. ალბათ, ეროვნულ ბანკში უფრო მეტი დარღვევის და ხარვეზის დაფიქსირებაა მოსალოდნელი.

და მაინც, რასთან გვაქვს საქმე და რამ გამოიწვია ნოდარ ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების, თაყვანისმცემელთა გააფთრება? მხოლოდ იმან, რომ პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტში მოღვაწე პროფესიონალებმა დემაგოგიურ განცხადებებსა და მიკიბმოკიბულ არალოგიკურ მსჯელობას არჩიეს კონკრეტულ ფაქტებზე და ხარვეზებზე პასუხის გაცემა და წინა წლებისგან განსხვავებით თვალი არ დახუჭეს დარღვევებზე. საინტერესოა, რომ ზოგიერთმა კომიტეტზე გამოთქმული შეფასებები ბრალდებად მონათლეს და სამართლებრივი ლაბირინთების უჩვეულო წყობის საკუთარ მოდელში გადაწყვიტეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა.

გაუგებარია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოზიცია საერთაშორისო აუდიტის დანიშვნის თაობაზე. მაშინ, როცა ყველა კომერციული ბანკის ბალანსის პრესაში გამოქვეყნებასთან ერთად, იგი სავალდებულოდ მოითხოვს მათ აუდიტორულ შემოწმებას და დასკვნის წარმოდგენას. ყველა ცივილიზებულ ხელმძღვანელს აუდიტორიის დასკვნა არსებული სიტუაციის გაანალიზებისკენ უბიძგებს და სამომავლოდ გარკვეული ხარვეზებისა თუ შეცდომების განმეორებისგან აზღვევს. სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობს თავად ჯავახიშვილი და პარადოქსული გულუბრყვილობით უცხადებს ჟურნალისტებს — საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 5-ჯერ შემამოწმა და ვერაფერი საგანგაშო ვერ იპოვა, საერთაშორისო აუდიტმა რაღა უნდა მითხრასო. აი, აქ კი, მართლაც ვერ გაიგებთ, ვისი დაბნევა სურს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები განსაზღვრული პარამეტრების შესრულებას და გაცემული კრედიტების ხარჯვას უწევენ კონტროლს, აუდიტი ეროვნული ბანკის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს აკეთებს, ხოლო კონტროლის პალატა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესწავლით იქნება დაკავებული.

„წყალწაღებული ხავს ეჭიდებაო" — ისეა ახლა საქმე, თორემ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების საქმიანობის სპეციფიკა კარგად რომ უნდა ესმოდეს, ტრივიალური ჭეშმარიტებაა. ცნებების და მოვლენების აღრევა, ერთი სიტყვით „საბანკო აბრაკადაბრა" საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე გათვლილი და საქმის არსის შეგნებული, უხამსი დამახინჯებაა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნა (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1995 წელს გაწეული საქმიანობისას გამოვლენილ სერიოზულ ნაკლოვანებათა გაანალიზებისა და აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების მიზნით), ეროვნული ბანკის საქმიანობის შესასწავლად, კონტროლის პალატის მხრიდან შემოწმებას ითვალისწინებს.

ვფიქრობ, შემოწმება ბევრ ჭორსა და მონაგონ მითებს გააქარწყლებს.

**გიორგი ნემსაძე**

მართლწესრიგი

# პოლიცია მოქმედებს, ყაჩაღები კოშკებში იმალებიან

პირველი გვერდიდან

## სმაგინი და მისი რაზმი



მესტიის პოლიციის გაძლიერებლად ამჟამად სვანეთში მივლინებით იმყოფება კრიმინალური პოლიციის უფროსი, მაიორი მარლენ სმაგინი, რომელმაც მანამდე თავი გამოიჩინა მშობლიური ქალაქის, ფოთის დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლაში. დღეისთვის სმაგინმა თავის რაზმთან და მესტიის პოლიციასთან ერთად შეძლო ყაჩაღური ჯგუფების საქმიანობის ლოკალიზება. ამჟამად ბანდები ჩაკეტილი არიან კოშკებში, ან ტყეებში იმალებიან და მხოლოდ ფარულად ცდილობენ მოქმედებას. გზები თავისუფალია, მოსახლეობა უსაფრთხოდ მოძრაობს.

## ორი ეპიზოდი პოლიციის და ბანდიტების ურთიერთობიდან

ეპიზოდი პირველი

### „ბიძია, მამაა ჩემი, არ მომიკლა!“

ჭკადუების ჯგუფში გაერთიანებულია სამი ძმა — შამილი, ტარიელი, ფრიდონი, მათ შვილები: გუტა, ბუდა, მანუჩარი.

მარლენ სმაგინი ტარიელ ჭკადუას თორმეტი და ცამეტი წლის ბიჭებთან ერთად მთელი ღამე მიდიოდა შამილის ჯგუფის განლაგების ადგილისკენ. თენდებოდა, როდესაც წინ შემოეფეთათ ცხენზე ამხედრებული კაცი. დაპირისპირებულ მხარეებს შორის მანძილი სამოციოდე მეტრი იყო. პოლიციელმა ავტომატი შემართა და მხედარს მოუნოდა, ჩამოქვეითებულიყო. უცნობმა ცხენი გასაქცევად შემოატრიალა... უცებ გაისმა ერთ-ერთი პატარა მეგზურის ხმა:

— ბიძია, მამაა ჩემი, არ მომიკლა!

ცხადი გახდა, ცხენოსანი ძებნილი ტარიელ ჭკადუა იყო. სმაგინმა არ ესროლა...

— მე რომ თორმეტი და ცამეტი წლის ბავშვების თვალწინ მათი მამა მომეკლა, — განაცხადა კრიმინალური პოლიციის უფროსმა, — რა კაცი ვიქნებოდი და, რაც მთავარია, ის ბავშვები რად გაიზრდებოდნენ?

ეპიზოდი მეორე

### „დაგხვდებათ ტარიელი და დაგხოცავთ!“

ეს ამბავი ზემოთ აღწერილი ისტორიიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მოხდა ზედა ვედში, სოფელ ხაიშთან ახლოს.

პოლიციის ოცდაორკაციანი ჯგუფი წარმატებული ოპერაციის შემდეგ ბრუნდებოდა. თან მოჰყავდათ დაკავებულები — ფრიდონ და მანუჩარ ჭკადუები. დაჭრილი მანუჩარი ცხენზე შესვეს და ჩქარობდნენ მის ექიმთან მიყვანას. დაკავებისას ცხრამეტი წლის მანუჩარმა პოლიციელებს განუცხადა: „დაგხვდებათ ტარიელი და დაგხოცავთ!“

ხეობაში მდინარეზე გადასვლისას ტარიელი, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, მართლაც დახვდა პოლიციელებს და ალყაში მოაქცია ისინი. მთების ფერდობებზე მყოფ ყაჩაღებს ხელის გულზე ჰყავდათ პოლიციელები და ცეცხლიც გახსნეს, ცხენი დაფრთხა, გაიქცა და დაჭრილი მანუჩარიც თან გაიყოლა. სროლის შედეგად მსუბუქად დაიჭრა ერთი პოლიციელი. ოცდაორი კაცის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. საპასუხო ცეცხლი მათ უეჭველ დაღუპვას გამოიწვევდა. სმაგინმა ყაჩაღებთან მოლაპარაკება აჯობინა.

შამილ და ტარიელ ჭკადუებმა მოითხოვეს ფრიდონის გათავისუფლება და პოლიციის მიერ შამილის სამალავებში ნაპოვნი იარაღის დაბრუნება.

ოცდაორი, პოლიციელის სიცოცხლის გადასარჩენად სმაგინმა ჭკადუების მოთხოვნა შეასრულა.

ფრიდონის და მანუჩარის გათავისუფლების შემდეგ შამილ და ტარიელ ჭკადუებს შეეძლოთ, სიტყვა გაეტეხათ, პოლიციელები განეიარაღებინათ ან ამოეხოცათ, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს.

თუ პირველი ეპიზოდის შეფასებისას სმაგინის საქციელი კეთილშობილების ნიმუშად შეიძლება გამოდგეს, მეორე ეპიზოდში ყაჩაღების ქმედება, არა გვგონია, მსგავსი ტერმინით შეფასდეს და აი, რატომ: თუ ყაჩაღები პატივს სცემენ პოლიციას, მაშ, რაღად ძარცვავდნენ მოსახლეობას, რად მოაქციეს საკუთარი კუთხე იზოლაციაში, რად ღვრიდნენ ადამიანების სისხლს, რად შეაჩერეს სვანეთის განვითარება?

ყაჩაღების ცალკეული ქმედებები მხოლოდ კეთილშობილების ნიღაბია, რომლის მიღმაც მათ მიერ გაძარცვული და გაუბედურებული ადამიანების ტრაგედია უნდა დავინახოთ.



## ჭორი და სინამდვილე

შამილის მიერ პოლიციელების ალყაში მოქცევას ათასგვარი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ისიც თქვეს, შამილმა პოლიციელებს იარაღი აჰყარა და ისე აჩუქა სიცოცხლეო.

მარლენ სმაგინი: „ჩვენი მონაცემებით, შამილ ჭკადუას მკვლელობა არ ჩაუდენია, მან ისიც იცოდა, რომ რამდენიმე კვირის წინ მის ძმას, ტარიელს შეგნებულად არ ვესროლე. ხმები მომივიდა, თითქოს იგი აპირებს პოლიციასთან მოლაპარაკებას, ვნახოთ, რა მოხდება. შამილი ოცდაცხრა წლის ახალგაზრდა კაცია, ვიცი, ძალიან მძიმედაა ავად და აუცილებელ მკურნალობას საჭიროებს. ხოლო რაც შეეხება ხმებს, თითქოს, შამილის ჯგუფმა პოლიციას აჰყარა იარაღი, ტყუილია. უფრო მეტიც, მართალია, ზედა ვედში შამილს დავუბრუნეთ მის სამალავებში ნაპოვნი იარაღი, მაგრამ ერთი ერთეული მაინც შევინარჩუნეთ. ეს გახლავთ შამილის „ბრაუნინგი“.

## სამი შამილი

ზედა ვედში დაჭრილი პოლიციელი თამაზ ჩაჩიბაია ამჟამად თავს კარგად გრძნობს. დაჭრის ამბავს კი ასე გიამბობთ: „აფხაზეთში შამილ ბასაევს ვებრძოდი, ზედა ვედში შამილ ჭკადუამ დამჭრა, მესტიაში ოპერაცია შამილ ფილფანმა გამიკეთა. ნეტა, რას გადამეკიდნენ ეს შამილები, რა უნდათ ჩემგან?“

## პოლიცია თავის საქმეს აკეთებს, ჯერი მოსახლეობაზეა

ექვსი თვის განმავლობაში სვანეთში მოხდა 63 სისხლის სამართლის დანაშაული, გახსნილია — 47, 19 მძიმე დანაშაულიდან გახსნილია — 13.

წელს სვანეთში არ მომხდარა მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, ადამიანის გატაცება.

პოლიციამ გაანადგურა 7896 ძირი კანაფი, რომლისგან შესაძლებელი იყო 115,5 კგ. მარიხუანას მიღება. ნარკოტიკის ეს რაოდენობა ერთ წელიწადს ეყოფოდა საქართველოს ნარკომანებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 6 თვეში სვანეთის მოსახლეობაში გავრცელებული იარაღიდან მესტიის პოლიციამ ჩაიბარა 71 ავტომატი, 4 ყუმბარმტყორცნი, 1 ტყვიამფრქვევი, 5 შაშხანა, 2 რევოლვერი, რამდენიმე ხელყუმბარა. მითი, თითქოს, სვანები იარაღს არ დათმობენ, იმსხვრევა.

მესტიის პოლიცია კატეგორიულად აცხადებს, რომ ბანდიტურ ჯგუფებს უახლოეს მომავალში დააკავებს, შეებამიცემული სვანეთის მოსახლეობა კი ნელა, მაგრამ მაინც იწყებს კაპიტალისტურ ცხოვრებას.

ვვენიშნა, ბეჩოს მჟავე წყალთან „ჯიპი“ გაჩერდა. მანქანიდან კაცები გადმოვიდნენ, გერმანელი და ავსტრიელი ტურისტები აღმოჩნდნენ. ევროპელებმა იციან სიცოცხლის და სილამაზის ფასი. ისინი თავს საფრთხეში არ ჩაიგდებენ.

სვანეთი ცოცხლობს, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეებზე მეტად უჭირს. მას ახლა სჭირდება მაქსიმალური ხელშეწყობა და თანადგომა.

ვახტანგ სალია

# რა იქნა დალის ხეობისთვის განკუთვნილი თანხა?

გასულ კვირაში მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის პრობლემების კომპლექსური შესწავლის კომისიის სხდომაზე დალის ხეობის პრობლემების შესახებ გაიმართა მსჯელობა.

კომისიის სწავლულმა მდივანმა, აკადემიკოსმა ბერდო გოიშვილმა დამსწრეებს მოუთხრო იმ გაჭირვების შესახებ, რასაც ხეობის მკვიდრნი განიცდიან. მოსახლეობას არა აქვს ფქვილი, შაქარი, ასანთი, საპონი, სიგარეტი, უგზოობის გამო ვერ ხერხდება იქაური პროდუქტის — ხორცის, სულგუნის, თაფლის გამოტანა. თუ ვინმეს სასწრაფო დახმარება დასჭირდა და სოხუმიდან წითელი ჯვრის ან გაეროს მეთვალყურეების ვერტმფრენი არ ამოვიდა დასახმარებლად, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დახმარების იმედი ნაკლებადაა.

მეჟავე სამშენებლო ტრესტის უფროსის ამირან სუბელიანის თქმით, რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცების დროს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ხუთასი ათასი ლარი გამოეყო სამშენებლო ხარჯებისთვის. აქედან 306 ათასი დალის ხეობის სკოლებისა და საავადმყოფოს რემონტს უნდა მოხმარდეს, ბიუჯეტში კი გამოიყო, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ თანხის გადარიცხვას აღარ დააყენა საშველი. აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ არაერთხელ მიმართა თხოვნით ფინანსთა სამინისტროს, რომ დროზე გადმოერიცხა აღნიშნული თანხა, მანამ, სანამ კოდორის ხეობაში გადამავალი გზა დაიკეტება და სამშენებლო მასალების გადაზიდვა შესაძლებელია, მაგრამ ამ საქმეს დღემდე არ დაადგა საშველი.

აფხაზეთის პრობლემებზე როცა იწყება ლაპარაკი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებიან პატრიოტიზმის გამოვლენაში. არადა, მთელ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია მხოლოდ კოდორის ხეობაში ვრცელდება. წლების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებული მოსახლეობა განაგრძობს ცხოვრებას, ხელისუფლებამ კი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სამასი ათასი ლარის გამოძებნა ვერ შეძლო მათი პრობლემების თუნდაც ნაწილობრივ გადასაჭრელად.

კვირიკე სუბარი

ენერგეტიკა

# „ამოკოსთვის“ განკუთვნილი ტვირთები სახელმწიფო სტრატეგიულ ტვირთებად გამოცხადდა

ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების პროგრამის პრაქტიკული განხორციელება დაიწყო. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმისთვის განკუთვნილი ტვირთების გადაზიდვა. ივლისსა და აგვისტოში საქართველოს გავლით 49500 ტონა მილები გადაიზიდება. სატვირთო გემებს, ძირითადად, ფოთის პორტი მიიღებს. 13 ივლისს პორტში შემოვა 3500 ტონა, 24 ივლისს — 23000 ტონა, 20 აგვისტოს — 23000 ტონა მილები.

ტვირთების ტრანზიტს საქართველოს მხრიდან კოორდინაციას უწევს საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია. პროცესში მონაწილეობს სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანია „ინტერპორი“, ფოთის და ბათუმის პორტები, რკინიგზა. ტვირთების დაცვას საქართველოს სატრანსპორტო პოლიცია უზრუნველყოფს. ნავთობსადენის მაგისტრალის რეაბილიტაციისთვის და მშენებლობისთვის საჭირო მილებს ამერიკის სატრანსპორტო კომპანია „ტრანსოშიანიქ“-ი მიაწვდის აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმს.

აღსანიშნავია, რომ ტვირთების გადაზიდვაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ საქართველოს სატრანსპორტო სტრუქტურები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ფირმები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნავთობსადენის ძირითად კაპიტალდაბანდებებს თან მოჰყვა ქვეყანაში ფინანსური და დასაქმების სფეროების არეალის გაფართოება-გააქტიურება.

ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების პროექტში ჩართულია ქვეყნის საბანკო სისტემა, სამშენებლო ფირმები, სადაზღვევო კომპანიები. გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები.

ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება და მუდმივი კაპიტალის შემოდინება — ეს ორი ძირითადი პრინციპი განაპირობებს და მკვეთრად განსაზღვრავს საქართველოსთვის ნედლი ნავთობის პროექტის განხორციელების მნიშვნელობას. ამიტომაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ნავთობის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიისთვის განკუთვნილი ტვირთები სახელმწიფო, სტრატეგიულ ტვირთებად გამოცხადდა.

თამარ ლაბაძე

ლიტერატურული საღამოები

# ‘შეხვედრა „კავკასიურ სახლში“

სოლოლაკში, გალაკტიონის ქუჩის № 20 სახლი ფასადით გარშემომყოფი შენობებისგან არაფრით განსხვავდება. ამ სახლს სხვებისგან მასში მოქმედი საზოგადოებრივ-კულტურული გაერთიანებების სიმრავლე გამოარჩევს. კავკასიის ეკოლოგიურმა საბჭომ, კავკასიელ მხატვართა გილდიამ, რილკეს საერთაშორისო საზოგადოებამ, პუშკინის საერთაშორისო საზოგადოებამ, ევროპული ენების შემსწავლელმა წრემ და ბევრმა სხვამ, ყველამ აქ, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში“ დაიდო ბინა. ოთხშაბათობით აქ იმართება სემინარები კულტურის, ეკოლოგიის, პოლიტიკის პრობლემებზე. ცენტრი ცდილობს, მაქსიმალურად გაამრავალფეროვნოს თავისი ცხოვრება — ჩატარდა მხატვართა პერსონალური და ჯგუფური გამოფენები. ამჟამად გახსნილია გამოფენა — „გერმანელი მხატვრები საქართველოში“.

„კავკასიურ სახლში“ ტრადიციად იქცა გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოების გამართვა. ორი ასეთი საღამო გარსია ლორკასა და რილკეს შემოქმედებას მიეძღვნა. წაიკითხეს მათი ლექსების ქართული თარგმანები. რუსული პოეზიის ვახუშტი კოტეტიშვილისეულმა თარგმანებმა ყველას მოსალოდნელი სიამოვნება მიანიჭა.

ამ შეხვედრებისგან განსხვავებით, 6 ივლისს გამართული საღამო არც რომელიმე პოეტის გახსენება ყოფილა და არც მის პოეზიასთან ზიარების დღე. ამავე შენობაში არსებული სმირნოვების მუზეუმის მთავარი მცველის, ალექსანდრე სვიატიკოვის ინიციატივით შემდგარი შეხვედრა მიეძღვნა ადამიანს, რომელიც თავად იქცა პოეტებისა და მხატვრების შთაგონების წყაროდ.

საუკუნის დასაწყისის ქართული არისტოკრატიის წარმოდგენა სალომე ანდრონიკაშვილის კოლორიტული სახის გარეშე შეუძლებელია. სწორედ სალომეს, მისსა და ანა ახმატოვას მეგობრობას მიუძღვნა პუშკინის საზოგადოებამ ეს შეხვედრა.

საქართველოში სალონური ცხოვრების ერთ-ერთი დამაარსებლის გახსენება მისთვის ბუნებრივ ატმოსფეროში მოხდა. ოთახის ინტერიერი, შეკრებილი საზოგადოება, მშვიდი საუბარი, ალექსანდრე ვერტინსკის მიერ შესრულებული რუსული რომანსების ჩანაწერები სალონური ყოფის ასოციაციას იწვევდა.

სალომე ანდრონიკაშვილის ცხოვრებაზე, მისი დროის ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობაზე, მის ახლო მეგობრებზე ისაუბრა საქართველოს კულტურის მუზეუმის განყოფილების გამგემ, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ირინა ძუცოვამ. მართალია, სალომე ანდრონიკაშვილი პოეტი არ ყოფილა, მაგრამ პოეზიის გარეშე ამ შეხვედრას მაინც არ ჩაუვლია. სალომეს ხომ ანა ახმატოვამ დოლსიპ მანდელშტამმა უძღვნეს თავისი ლექსები. აქვე წაიკითხა ირინა ძუცოვამ საქართველოში ანა ახმატოვას პოეზიაზე გრიგოლ რობაქიძის მიერ დაწერილი პირველი რეცენზია. ქალბატონ ირინას დიდძალი მასალა აქვს მობოვებული ევროპაში ემიგრირებული ქართველი არისტოკრატების შესახებ, მან მათი ცხოვრების მრავალი, ბევრისთვის უცნობი დეტალი იცის და შემდგომ შეხვედრებში ამის შესახებაც ისაუბრებს.

